

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
კრიმინოლოგიის ინსტიტუტი
**GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY INSTITUTE OF
CRIMINOLOGY**

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი
THE CENTRE OF STUDY AND PREDICTION OF CRIME

კრიმინოლოგი
CRIMINOLOGIST
1(6)

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან
JOURNAL HAS BEEN ISSUED SINCE 2007

საქართველო. თბილისი
GEORGIA. TBILISI

2011



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის
ინსტიტუტი
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

კრიმინოლოგი 1(6)

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან

ექვეყნება დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებს

**Институт Криминологии Университета имени Григола Робакидзе
Центр Исследования и Прогнозирования Преступности**

Научно-практический журнал

Криминолог 1(6)

Журнал выходит с 2007 года

Посвящается проектам Центра Исследования и прогнозирования преступности и
Университета имени Григола Робакидзе

**Grigol Robakidze University Institute of Criminology
The Centre of Study and Prediction of Crime**

Scientific-practical journal

Criminologist 1 (6)

Journal has been issued since 2007

Dedicated to the projects carried out by The Centre of Study and Prediction of Crime and The Grigol
Robakidze University

თბილისი – Тбилиси – Tbilisi
2011

წინასიტყვაობა ჟურნალ “კრიმინოლოგის” მეექვსე გამოცემისთვის

2011 წლის 20 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა “დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი“-ს დაფუძნებიდან 10 წლისა და სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ “კრიმინოლოგი“-ს გამოსვლის 5 წლის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ამავდროულად გაიმართა ჟურნალ “კრიმინოლოგის” მორიგ - მეხუთე ნომერის და სამართალმცოდნეობის დოქტორის მიხეილ ბაძაღუას წიგნის "ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი"-ს პრეზენტაცია.

შეკრებილებს სიტყვით მიმართა ცენტრის ხელმძღვანელმა, ჟურნალ "კრიმინოლოგი"-ს მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა მალხაზ ბაძაღუამ, რომელმაც მოკლედ ისაუბრა ცენტრისა და ჟურნალის განვლილ გზებსა და მომავლის ხედვებზე, და ბოლოს ცენტრისა და ჟურნალის მხარდამჭერებს გადასცა მადლობის ბარათები, ასევე გაახმოვანა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრის, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის, პროფესორ კრის ესკრიჯის მისასალმებელი წერილი.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ:

ჯემალ გახოკიძე - ჟურნალ "კრიმინოლოგი"-ს ექსპერტ-კრიმინოლოგთა საბჭოს წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, სამართალმცოდნეობისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი. რომელმაც გააცნო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებები და საქართველოში კრიმინოლოგიის განვითარებაში მისი მნიშვნელობა;

შენგელია რომანი - ცენტრის მთავარი კონსულტანტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ხვედელიძე მანანა - ცენტრის თანადამფუძნებელი, სამართალმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, პოლკოვნიკი;

გვეტაძე გურამი – ჟურნალ "კრიმინოლოგი"-ს ექსპერტ-კრიმინოლოგთა საბჭოს წევრი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი;

ჯანაშია ჯემალი - ცენტრის და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი;

კვაჭაძე ოთარი - ცენტრის თანადამფუძნებელი, გამგეობის და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი;

მოსულიშვილი მანანა – სამართლის დოქტორი, გრ რობაქიძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

ჩალათაშვილი აკაკი - ცენტრის წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი;

ასანიძე სოფიო – ცენტრის წევრი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი;

გალდავა გულიკო – სამართლის დოქტორი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

ღლოტი გოგი – ცენტრის თანადამფუძნებელი, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

დადუნაშვილი ია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, გაეროს ნარკორტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ეროვნული პროგრამის ოფიცერი;

ბიბილაშვილი ლია – ცენტრის თანადამფუძნებელი, პოლკოვნიკი;

კვაშილავა ალექსანდრე – ჟურნალ "კრიმინოლოგი"-ს ექსპერტ-კრიმინოლოგთა საბჭოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები:

- ჟურნალ "კრიმინოლოგი"-ს მე-5 ნომრის და სამართალმცოდნეობის დოქტორის, მიხეილ ბაძაღუას წიგნის „ადამიანებით ვაჭრობა - ტრეფიკინგი საქართველოს მაგალითზე“ შესაბამის ორგანიზაციებში დაგზავნის შესახებ;
- ცენტრის და ჟურნალის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადდეს კონკურსი „ჟურნალის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი მისი გამოცემიდან დღემდე“, დოქტორანტებს, მეცნიერ-მუშაკებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ერთი ნაშრომი, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის ერთი ნაშრომი. გამარჯვებული ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდნენ და ნაშრომები გამოქვეყნდეს ჟურნალის მომდევნო ნომერში;
- თადარიგის გენერალ-მაიორი რუბენ ასანიძე შეყვანილი იქნეს ჟურნალის “კრიმინოლოგის, ექსპერტ-კრიმინოლოგთა საბჭოს წევრად;
- გაზიარებული იქნეს პროფესორების მალხაზ ბაძაღუასა და ჯემალ ჯანაშიას ინიციატივა ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემებზე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარების თაობაზე;
- მოწონებული იქნეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აღებული ვალდებულებები.

2010 წლის 21 დეკემბერს, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ინიციატივით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე მსოფლიო წესრიგი – დანაშაულობა და დანაშაულებრივი ორგანიზაციები".

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ რობაქიძის, დავით აღმაშენებლის, ქართულ-ამერიკული და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები. კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს პროფესორებმა ჯემალ ჯანაშიამ, მანანა მოსულიშვილმა, გიორგი ღლონტმა, მიხეილ გაბუნიაშვილმა და მალხაზ ბაძაღვამ.

კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგნენ:

1. **ნინო კიკალიშვილი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრი. თემა: “ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები”;

2. **აკაკი ჩალათაშვილი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრი. თემა: “მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული – გენოციდი”;

3. **რუსუდან მეფარიშვილი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრი. თემა: “გენოციდი – კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული”;

4. **ქეთევან ბაუჟაძე** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. თემა: “ტერორიზმი – საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული”;

5. **სოფიკო ჭელიძე** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი. თემა: “ტერორიზმის გამოწვევები თანემდროვე საქართველოში”;

6. **ვანო გენებაშვილი** – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. თემა: “დანაშაულობა, როგორც თანამედროვე საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი მოვლენა”;

7. **ილია ბასილაშვილი, ილია ასანაშვილი** – თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები. თემა: “დამნაშავის პიროვნების საკითხი კრიმინოლოგიაში”;

8. **მაკა ედიშერაშვილი** - თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი. თემა: “ვიქტიმოლოგია- დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში”;

9. **ნათია ბუცხრიკიძე** - თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი. თემა: “ლატენტური დანაშაულობა თანამედროვე საზოგადოებაში”;

10. **გვანცა წულუკიძე** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი. თემა: “ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებლების პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემები”;

11. ელენე ჩომახიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი. თემით: “ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგის მიზეზები და ძირითადი ვექტორები”;

12. ილია ტორუა - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი. თემით: “შიდა ტრეფიკინგის თავიდან აცილების კრიმინოლოგიური ღონისძიებები”;

13. ნინო ნანიტაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი. თემით: “ტერორიზმის გამომწვევი სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები”;

14. გიგა გიგაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. თემით: “ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლები”;

ჟურნალში გამოქვეყნებულია ზემოთაღნიშნული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ასევე ცალკეულ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების სამეცნიერო შრომები.

სათაურით “ჩვენი მილოცვები” ქვეყნდება ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრის, ცენტრის მთავარი კონსულტანტის, პროფესორ რომან შენგელიას 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისალოცი წერილი. ასევე ქვეყნდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2010 წლის დანაშაულის სტატისტიკა.

სარედაქციო კოლეგია:

მალხაზ ბაძაღუა – მთავარი რედაქტორი

მამუკა თავხელიძე

რომან შენგელია

მაკა კვაჭაძე

ოთარ კვაჭაძე

კრის ესკრიჯი – აშშ

რამაზ ბერიძე – აშშ

მიხეილ ბაძაღუა – აღმასრულებელი რედაქტორი

ჯემალ ჯანაშია

ცირა ჭანტურია

გიორგი ღლონტი

გიორგი თოდრია

© გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

© დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

რედაქციის მისამართი : ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.

criminologist@cspc.org.ge

Предисловие к шестому изданию «Криминолог»

20 октября 2011 года в конференц-зале университета им. Григола Робакидзе состоялось юбилейное мероприятие посвященное датам: 1. 10 лет основания «центра исследования и прогнозирования преступности» и 2. 5 лет выхода в свет научно-практического журнала «Криминолог».

Одновременно с этим была проведена презентация книги доктора правоведения Михаила Бадзагуа «Торговля людьми — трафикинг».

К собравшимся обратился руководитель центра и главный редактор журнала «Криминолог», профессор Малхаз Бадзагуа, который коротко охарактеризовал пройденный путь и достижения центра и журнала, наметил новые задачи. Вместе с тем, господин Бадзагуа зачитал приветственное письмо члена редколлегии журнала, исполнительного директора общества криминологии Америки, профессора Криса Эскриджа.

Выступили:

Джемал Гахокидзе — член совета эксперт-криминологов журнала «Криминолог», председатель представительского совета технического университета Грузии, доктор правоведения и политических наук, профессор, генерал-лейтенант запаса. Он ознакомил присутствующих с обязанностями и значением для развития криминологии в Грузии меморандума о сотрудничестве университета им. Григола Робакидзе, технического университета Грузии, Батумского университета им. Шота Руставели, а также центра изучения и прогнозирования преступности.

Шенгулия Роман - главный консультант центра, доктор юридических наук, профессор;

Хведелидзе Манана - со-основатель центра, доктор юридических наук, профессор, полковник;

Гветадзе гурам - член совета эксперт-криминологов журнала «Криминолог», генерал-лейтенант запаса;

Джанашия Джемал - член центра и редколлегии журнала, доктор юридических наук, профессор университета им. Григола Робакидзе, генерал-майор запаса;

Квачадзе Отар - со-основатель центра, член редколлегии и управления журнала, профессор, полковник запаса;

Мосулишвили Манана - доктор права, профессор университета им. Григола Робакидзе;

Чалаташвили Акаки - член центра, студент III курса юридического факультета ТГУ имени И. Джавахишвили;

Асанидзе Софо - Член центра, докторант школы права университета им. Григола Робакидзе;

Галдава Гулико - доктор права, заместитель ректора университета им. Григола Робакидзе;

Глонти Гоги — со-основатель центра, член редколлегии журнала, профессор и заместитель ректора университета им. Григола Робакидзе;

Дадунашвили Ия - докторант технического университета Грузии, офицер национальной программы ООН по борьбе с наркотиками и преступностью;

Бибилашвили Лия - со-основатель центра, полковник;

Квашилава Александр - член совета эксперт-криминологов журнала «Криминолог», доктор юридических наук, профессор, полковник запаса.

Участники собрания приняли следующие рекомендации:

- Об отправке пятого номера журнала «Криминолог» и книги доктора права Михаила Бадзагуа «Торговля людьми — трафикинг на примере Грузии» в соответствующие организации;
- В связи с юбилеем журнала и центра объявить конкурс «Лучшая научная работа журнала с момента издания по сегодняшний день» - одна работа среди докторантов, научных работников и преподавательского состава и одна работа среди студентов бакалавров и магистрантов. Авторы победивших работ будут награждены, а работы будут опубликованы в следующем номере журнала
- Ввести генерал-майора запаса Рубена Асанидзе в состав совета эксперт-криминологов журнала «Криминолог»;
- Принять инициативу профессоров Малхаза Бадзагуа и Джемала Джанашия по проведению научно-практической конференции по проблемам организованной преступности;
- Одобрить обязательства взятые в связи с меморандумом о сотрудничестве университета им. Григола Робакидзе, технического университета Грузии, Батумского государственного университета им. Шота Руставели и центра изучения и прогнозирования преступности.

21 декабря 2010 года по инициативе центра изучения и прогнозирования преступности и юридической клиники университета имени Григола Робакидзе была проведена студенческая научная конференция на тему «Современный мировой порядок - преступление и преступный организации». В конференции принимали участие студенты университета имени Григола Робакидзе, университета имени Давида Агмашенебели, грузино-американского университета и студенты государственного университета имени И. Джавахишвили. Участники приняли соответствующие рекомендации. Работу конференции подытожили профессора Джемал Джанашия, Манана Мосулишвили, Георгий Глонти, Михаил Габуня и Малхаз Бадзагуа.

На конференции с докладами выступили студенты:

1. Нино Кикалишвили - студентка IV курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе, член центра исследования и прогнозирования преступления. Тема «Транснациональные преступные организации»;
2. Акаки Чалаташвили - студент I курса юридического факультета Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили, член Центра исследования и прогнозирования преступления. Тема «Преступление совершенное против мира - геноцид»;
3. Русудан Мепаришвили - студентка IV курса юридического факультета, член центра исследования и прогнозирования преступления. Тема «Геноцид - преступление против человечества»;
4. Кетеван Баужадзе - студентка IV курса юридического факультета им. Григола Робакидзе. Тема: «Терроризм - международное организованное преступление»;
5. Софико Челидзе - студентка III курса юридического факультета им. Григола Робакидзе. Тема: «Террористические вызовы в современной Грузии»;

6. Вано Генебашвили - студент IV курса юридического факультета грузино-американского университета. Тема: «Преступление, как явление содержащее угрозу для современного общества»;
7. Илья Басилашвили, Илья Асанашвили - студенты III курса университета имени Давида Агмашенебели. Тема: «Вопрос личности преступника в Криминологии»;
8. Мака Эдишерашвили - студентка III курса юридического факультета университета имени Давида Агмашенебели. Тема: «Виктимология - проблема жертвы преступления в современном обществе»;
9. Натия Буухрикидзе - студентка III курса юридического факультета университета имени Давида Агмашенебели. Тема: «Латентная преступность в современном обществе»;
10. Гванца Цулукидзе - студентка III курса юридического факультета университета им Г. Робакидзе. Тема: «Правовые проблемы ответственности потребителей наркотиков не в медицинских целях»;
11. Елена Чомахидзе - студентка I курса юридического факультета ТГУ имени И. Джавахишвили. Тема: «Торговля людьми - причины и основные векторы трэфикинга»
12. Илья Торуа - студент III курса юридического факультета университета им. Г. Робакидзе. Тема: «Криминологические методы и способы по предотвращению трэфикинга внутри страны»;
13. Нино Наниташвили - студентка факультета социально-политических наук ТГУ им. Джавахишвили. Тема: «Социальный терроризм - общество как жертва терроризма»;
14. Гига Гигашвили - студент IV курса юридического факультета им. Григола Робакидзе. Тема: «Правовые основы экстрадиции»;

В журнале опубликованы материалы вышеуказанных студентов представленные на студенческой научной конференции. А также научные труды представителей профессорско - преподавательского состава.

Раздел - "Наши поздравления" посвящается главному консультанту центра и члену Редакционного совета журнала «Криминолог», доктору юридических наук, профессору Роману Шенгелия, которому исполнилось 70 лет. Здесь же помещена вкратце статистика преступности зарегистрированные МВД Грузии за 2010 год.

Редакционный совет:

Малхаз Бадзага - Главный редактор
 Роман Шенгелия
 Отар Квачадзе
 Крис Эскридж – США
 Михеил Бадзага - исполнительный редактор
 Цира Чантурия

Мамука Тавхелидзе
 Мака Квачадзе
 Гиоргий Тодрия
 Рамаз Беридзе - США
 Джемал Джанашия
 Гиоргий Глonti

Preface to the Sixth issue of the journal "Criminologist"

Dear Reader, On October 20, 2011, at the conference hall of Grigol Robakidze University was held event dedicated to the 10 years anniversary of The Centre of Study and Prediction of Crime and 5 years anniversary of the magazine "Criminologist", where was presented the 5th number of the Journal and the book of Doctor of Law Mikheil Badzagua – "Human Trafficking".

Malkhaz Badzagua – Director of The Centre of Study and Prediction of Crime, Professor, Chief Editor of "criminologist", opened meeting. He briefly spoke about the history and the views of the future of the Centre and the Journal, gave thank cards to supporters and aired welcome letter of a member of the Journal Editorial Board, Executive Director of American Society of Criminology, Professor Chris Eskridge.

At the event Speeches were delivered by:

Jemal Gakhokidze – member of the group of expert criminologists of the Journal, Lieutenant-General in retire, speaker of the board of representatives of the Georgian Technical University, Doctor of Political and Legal Sciences, Professor. He introduced to the public memorandum between and obligations hence imposed on the Grigol Robakidze University, the Georgian Technical University, Batumi Shota Rustaveli state University and The Centre of Study and Prediction of Crime.

Roman Shengelia – Senior Consultant of the Center, Doctor of Law, Professor;

Manana Khvedelidze - co-founder of the Center, Doctor of Law, professor, colonel;

Guram Gvetadze - member of the group of expert criminologists of the Journal, retired Lieutenant-General;

Jemal Janashia - member of the Center and the Journal Editorial Board, Doctor of Juridical Science, Professor, retired Major-General;

Otar Kvachadze - co-founder of the Center, member of the Journal Editorial Board, Professor, retired Police Colonel;

Manana Mosulishvili - Doctor of Law, Professor;

Akaki Chalataashvili - Member of the Centre, Bachelor at the Faculty of Law Javakhishvili Tbilisi state University.

Sofia Asanidze – member of The Centre, Grigol Robakidze University Law School Doctorate;

Guliko Galdava - Doctor of Law, deputy Rector of The Grigol Robakidze University;

Giorgi Ghloti - co-founder of the Center and a Member of the Journal Editorial Board, Doctor of Law, deputy Rector of The Grigol Robakidze University;

IA Dadunashvili - Georgian Technical University Doctorate, United Nations Bureau of Drug and Crime -the National Program Officer;

Lia Bibilashvili - co-founder of the Centre, Police Colonel;

Alexander Kvashilava - member of the group of expert criminologists of the Journal, Doctor of Law, Professor, retired Colonel.

Meeting participants adopted following recommendations:

- To distribute The fifth number of the Journal “Criminologist” and the book “Human Trafficking” to the relevant Government and Non-government organizations;
- To Announce the contest on the occasion of the Centre and the Journal Anniversary: “The best scientific work among the Journal publications until now”;
- Retired Major-General - Ruben Asanidze be included in the council of the group of expert criminologists of the Journal;
- Endorse Memorandum commitments between Grigol Robakidze University, Georgian Technical University, Batumi Shota Rustaveli State University and The Centre of Study and Prediction of Crime.

On December 21, 2010, The Centre of Study and Prediction of Crime and Grigol Robakidze University initiated student scientific-practical conference - "the new world order - Crime and criminal organizations."

The conference was attended by Students from Grigol Robakidze University, David Agmashenebeli University, Georgian-American University and Javakhishvili Tbilisi State University. The participants drew up recommendations. Professors Jemal Janashia, Manana Mosulishvili, George Glonti, Mikheil Gabunia and Malkhaz Badzagua summarized the conference.

Speeches were delivered by:

1. **Nino Kikalishvili** - Grigol Robakidze University graduate student, member of The Centre of Study and Prediction of Crime. Article: "Transnational criminal organizations;"
2. **Akaki Chalataashvili** - Javakhishvili Tbilisi State University graduate student, member of The Centre of Study and Prediction of Crime. Article: " Genocide - crime against peace;"
3. **Rusudan Meparishvili** - Grigol Robakidze University graduate student, member of The Centre of Study and Prediction of Crime. Article: "Genocide - a crime against humanity;"
4. **Qetevan Bauzhadze** - Grigol Robakidze University graduate student Article: "Terrorism - International organized crime;"
5. **Sophiko Chelidze** - Grigol Robakidze University III course student. Article: "Challenges of Terrorism in Georgia;"
6. **Vano Genebashvili** - Georgian-American University Faculty of Law. IV year student. Article: "Crime as a dangerous phenomenon in modern society;"
7. **Ilya Basilashvili, Ilya Asanashvili** – Davit Agmashenebeli Tbilisi University Law Faculty, III year students. Article: "issue of the offender personality in Criminology;"
8. **Maka Edisherashvili** – Davit Agmashenebeli Tbilisi University Law Faculty, III year student, Article: "Victimology - a problem of the crime victim in modern society;"
9. **Natia Butskhrikidze** - Davit Agmashenebeli Tbilisi University Law Faculty, III year student, Article: " latent Crime in modern society;"

10. **Gvantsa Tsulukidze** - Grigol Robakidze University III course student. Article: " issues of legal responsibility for drug abusers;"
11. **Elene Chomakhidze** - Javakhishvili Tbilisi State University I year student. Article: "Human trafficking - main reasons and vectors;"
12. **Ilia Torua** - Grigol Robakidze University III course student. Article: " Criminological measures for Prevention domestic trafficking;"
13. **Nino Nanitashvili** - Javakhishvili Tbilisi State University, socio - political science faculty I year student. Article: "Social, Cultural and Psychological factors of Terrorism;"
14. **Giga Gigashvili** - Grigol Robakidze University graduate student. Article: "The legal basis for extradition;"

Above-mentioned articles are published in the journal, along with scientific works of other professors and students.

Editorial council:

Malkhaz Badzagua – Chief Editor
Roman Shengelia
Chris Eskridge – USA
Ramaz Beridze – USA
Jemal Janashia
Giorgi Todria

Mamuka Tavkheldze
Otar Kvachadze
Maka Kvachadze
Mikheil Badzagua - Executive Editor
Giorgi Glonti

სარჩევი

წინასიტყვაობა ჟურნალ “კრიმინოლოგის“ მეექვსე გამოცემისთვის	3
გივი აბაშიძე დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება	16
ნინო კიკალიშვილი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები	24
აკაკი ჩალათაშვილი მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული – გენოციდი	31
რუსუდან მეფარიშვილი გენოციდი – კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	37
ქეთევან ბაუჟაძე ტერორიზმი – საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული	43
სოფიკო ჭელიძე ტერორიზმის გამოწვევები თანემდროვე საქართველოში	49
ვანო გენებაშვილი დანაშაულობა, როგორც თანამედროვე საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი მოვლენა	53
ილია ბასილაშვილი, ილია ასანაშვილი დამნაშავის პიროვნების საკითხი კრიმინოლოგიაში	57
მაკა ედიშერაშვილი ვიქტიმოლოგია – დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში	61
გვანცა წულუკიძე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებლების პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემები	66
ელენე ჩომახიძე ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ძირითადი ვექტორები	72
ილია ტორუა შიდა ტრეფიკინგის თავიდან აცილების კრიმინოლოგიური ღონისძიებები	76
ნინო ნანიტაშვილი ტერორიზმის გამომწვევი სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები	81
ანუკი მაისურაძე ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულობა	88
გივი აბაშიძე ქალთა დანაშაულობა	94
ჩვენი მილოცვები	101
საქართველოს შსს 2010 წლის რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა	103

Содержание

Предисловие к шестому изданию «Криминолог»	7
Гиви Абашидзе Криминологическая характеристика личности преступника	16
Нино Кикалишвили Транснациональные преступные организации	24
Акаки Чалаташвили Преступление совершенное против мира — геноцид	31
Русудан Мепаришвили Геноцид - преступление против человечества	37
Кетеван Баужадзе Терроризм — международное организованное преступление	43
Софико Челидзе Террористические вызовы в современной Грузии	49
Вано Генебашвили Преступность, как явление содержащее опасность для современного общества	53
Илья Басилашвили, Илья Асанашвили Вопрос личности преступника в Криминологии	57
Мака Эдишерашвили Виктимология — проблема жертвы преступления в современном обществе	61
Гванца Цулукидзе Проблемы правовой ответственности потребителей наркотиков в немедицинских целях	66
Елена Чомахидзе Торговля людьми — причины и основные векторы траффинга	72
Илья Торуа Внутренний траффинг и криминологические меры по борьбе с ним	76
Нино Наниташвили Культурные, социальные и психологические факторы вызывающие терроризм	81
Ана Маисурадзе Торговля Людьми (Траффинг) как международная преступность	88
Гиви Абашидзе Женская преступность	94
Наши поздравления	102
Статистика преступности МВД Грузии за 2010 год	103

The Content

Preface to the sixth issue of the journal "Criminologist"	10
Givi Abashidze The Criminological Character of the Criminal Personality	16
Nino Kikalishvili Transnational Criminal Organizations	24
Akaki Chalataashvili Genocide - Crime against Peace	31
Rusudan Mefarishvili Genocide - crime against humanity	37
Qetevan Baujadze Terrorism - International organized crime	43
Sophiko Chelidze Challenge of Terrorism in Georgia	49
Vano Genebashvili Crime as a dangerous phenomenon in modern society	53
Ilya Basilashvili, Ilya Asanashvili Offender personality in Criminology	57
Maka Edisherashvili Victimology - a problem of a crime victim in modern society	61
Gvantsa Tsulukidze Legal responsibility of drug abusers	66
Elene Chomakhidze Human trafficking - main reasons and vectors	72
Ilia Torua Criminological measures for Prevention domestic trafficking	76
Nino Nanitashvili Social, Cultural and Psychological factors of Terrorism	81
Ana Maisuradze Human Trafficking as International Crime	88
Givi Abashidze Criminological Description of crime committed by women	94
Our Congratulations	102
Statistical data of registered crimes committed in Georgia in 2010, according to the Ministry of internal affairs of Georgia	103

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავის პიროვნების გამოკვლევას და შესწავლას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კრიმინოლოგიაში დანაშაულის ჩამდენი პირის პრობლემა დღემდე ერთ-ერთ ძირითად და რთულ პრობლემად რჩება. საერთოდ, დანაშაულობის, მისი წარმოშობი მიზეზების, ხელისშემწეობი პირობების გამოკვლევა დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

დამნაშავის პიროვნების შესწავლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დანაშაულობის კვლევაში. დამნაშავის პიროვნების გამოკვლევა, მისი კრიმინოლოგიური მექანიზმის შესწავლა, განსაკუთრებით კი ამ საქმეში პიროვნული მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სხვა მეთოდების გამოყენებით ვერ იქნება დადგენილი.

„დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ მოვლენების და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.“¹ ამასთან, „დამნაშავის პიროვნება დანაშაულობის ისეთი შემადგენელი კატეგორიაა, რომლის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს შევიძუშაოთ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ეფექტური ზომები.“²

დამნაშავის პიროვნების შესწავლის, მისი სწორად გააზრების საკითხს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის შესწავლის, ასევე დამნაშავეთა სოციალური დახასიათების თვალსაზრისით. ცალკეული დანაშაულის, მისი მიზეზებისა და ხელისშემწეობი პირობების, აგრეთვე დამნაშავე პიროვნების შესწავლა პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. იგი უნდა განხორციელდეს გამოძიების სტადიაზე, ასევე საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

დამნაშავის პიროვნების გამოკვლევას ის ზოგადი მიზნები გვეკარნახობს, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების და მეცნიერ იურისტთა წინაშე დგას. კერძოდ, დამნაშავე პირის მიმართ ყველაზე ეფექტიანი ზომების შემუშავება და გამოყენება, რაც საჭიროა პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებისათვის; დანაშაულის ჩადენის კონკრეტული მიზეზების და პირობების გამორკვევა და ამის საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა; ეფექტური ორგანიზაციულ-აღმზრდელობითი ზომების შემუშავება იმ პირთა გამოსასწორებლად და აღსაზრდელად, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.³

დამნაშავის პიროვნების გამოკვლევის და მისი კრიმინოლოგიური დახასიათების მეცნიერულ-პრაქტიკული ასპექტების გასარკვევად საჭიროა

¹ კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ღლონტი, თბ. 2008 წ., გვ. 97.

² მ. გაბუნია. დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში. ჟურნალი „თემიდა“, №4(6), 2010 წ., გვ. 68.

³ რ. ჭოდოშვილი. კრიმინოლოგია. თბილისი, 1995 წ., გვ. 12.

შევეხთ ზოგიერთ თეორიულ საკითხს, რომელთა გარეშე შეუძლებელია დავადგინოთ დამნაშავე პიროვნების გამოკვლევის მიზანი და მოცულობა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით.

დამნაშავის პიროვნების დახასიათებისას კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება გამოდის იმ დებულებიდან, რომ გარეგანი პირობების გავლენა ხორციელდება არა მექანიკურად, არამედ ადამიანის ფსიქიკის, ხასიათის და ტემპერამენტის მეშვეობით. საჭიროა ყველა კონკრეტული პირობების, გარემოებების გამოკვლევა, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებს დამნაშავე პირის ყოფაქცევაში. დანაშაულის ჩამდენი პირი დახასიათებული უნდა იქნეს მთელი მისი ინდივიდუალობით, უნდა გაირკვეს დანაშაულის ჩადენის მოტივები, პიროვნების საშიშროების ხარისხი, მისი წარსული, საყოფაცხოვრებო ჩვევები და სხვა. დამნაშავის კრიმინოლოგიური დახასიათებისას საჭიროა ასევე დამნაშავის პიროვნება შესწავლილი იქნას სოციოლოგიური თვალსაზრისითაც.

„დანაშაულის ჩამდენი პირი ანუ დამნაშავის პიროვნება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით არის ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ მართლსაწინააღმდეგო ანუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენაში და რომელსაც ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“¹. დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მექანიზმის გაცნობიერებაში კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება ეფუძნება სოციალური მეცნიერების, პირველ რიგში სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის მონაცემებს.

დამნაშავის პიროვნების მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა. მეცნიერებმა გადაწყვიტეს დანაშაულის ჩამდენი პირი თავიანთი ინტერესთა სფეროში მოექციათ. ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით კრიმინოლოგებმა დაიწყეს ანთროპოლოგიური, ფსიქოპათოლოგიური, ფსიქიატრიული და სოციოლოგიური ცნებების და კრიტერიუმების ინტენსიური დანერგვა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია იტალიელი ფსიქიატრის ჩ. ლომბროზოს წიგნი „დამნაშავე ადამიანი“ (1895 წელი), რომელშიც ავტორმა თანმიმდევრულად გადმოსცა დამნაშავეზე ჩატარებული ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგები².

კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში ასეთი გამოკვლევების დაწყების შემდეგ, დამნაშავის პიროვნების, როგორც შესწავლის ძირითადი ობიექტის მიმართ ინტერესის გამოვლენა დაიწყო მედიცინაზე და სოციოლოგიაზე ორიენტირებულმა სხვა მეცნიერებმაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარებს, მათი განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, აერთიანებდათ საერთო სწრაფვა – დაემტკიცებინათ იდეა, რომ დანაშაულის ჩადენა ძირითადად განპირობებულია პიროვნული თავისებურებებით და ძირითადი ყურადღება გადაეტანათ დანაშაულის ჩამდენ პიროვნებაზე. ასეთი მიდგომით კი მიღწეული იქნა ის შედეგი, რომ სისხლის სამართალში სასჯელის დაკავშირება არა მხოლოდ დანაშაულთან, არამედ დამნაშავესთანაც დაიწყო. მეცნიერების მხრიდან პიროვნულ თავისებურებებს და დანაშაულს შორის კავშირის არსებობის ფაქტის აღიარებამ, ხელი შეუწყო მეცნიერებას აქცენტი გაეკეთებინათ მათი შესწავლის

¹ ზ. წულაია. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003 წ., გვ. 73.

² კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ღლონტი, თბ. 2008 წ., გვ. 98

აუცილებლობაზე. ამან კი, დასაბამი მისცა პიროვნების კრიმინოლოგიური ნიშნების შესწავლას. სწორედ, თანამედროვე პირობებში დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლა ემსახურება დანაშაულის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას.

ადამიანის პიროვნება მუდმივად იცვლება, ვითარდება სოციალური გარემოს ცვლილებებთან ერთად. განვითარების პროცესში იგი ერთ ნიშანთვისებას, საარსებო გამოვლინებას კარგავს, მეორეს იძენს, მესამეს ავითარებს და განამტკიცებს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თვითონ სოციალური გარემოც არ არის ერთგვაროვანი. მასში ყოველთვის არის აწმყოს საფუძვლები, წარსულის ნიშნები და მომავლის ჩანასახები. ამის გათვალისწინებით ადამიანი საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორიაა. ისინი არ არიან ერთნაირი და ტოლფასოვანი. ერთნი აქტიურად უწყობენ ხელს საზოგადოებრივ მოვლენებს, მეორენი არანაკლებ აქტიურად აფერხებენ მის განვითარებას, მესამენი პასიურ პოზიციას იკავებენ. საბოლოოდ ადამიანის პიროვნების ყველა ნიშანთვისება განისაზღვრება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობით – ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამართლებრივი და სხვა მსგავსი ურთიერთობებით. ცხადია ამ ურთიერთობათა ზემოქმედების შედეგად ყალიბდება ადამიანის პიროვნება.

დანაშაულის ჩამდენი პირი ფართო მნიშვნელობის ცნებაა. დამნაშავის პიროვნება არის რთული კომპლექსი, რომელიც ახასიათებს მის თვისებას, გამოვლინებებს, კავშირებს, მის შინაგან ზნეობრივ და სულიერ სამყაროს აღებულს მოძრაობაში, ასევე ავლენს ურთიერთკავშირებს ზოგად სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ, ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოგვიდგება.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავის პიროვნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც დანაშაულებრივი ქცევის (დანაშაულის) სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ის კრიმინოლოგიური თვისებები, რომლებიც ერთმანეთთან და აგრეთვე გარემოს ფაქტორებთან ურთიერთმოქმედებაში განაპირობებენ მის მიერ დანაშაულის ჩადენას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავის პიროვნების შესწავლისადმი კრიმინოლოგიური მიდგომის არსი განსხვავდება სისხლის სამართლებრივი მიდგომისაგან. კერძოდ, სისხლის სამართალი სასჯელზე ორიენტირებულ დარგს წარმოადგენს და თავის მიზნებს იგი სასჯელის მეშვეობით ახორციელებს, ხოლო კრიმინოლოგია დანაშაულის პროფილაქტიკაზე ორიენტირებული მეცნიერების დარგია, რომელიც დანაშაულის სუბიექტის კრიმინოლოგიური ხასიათის პიროვნული თვისებურებების შესწავლის მეშვეობით, მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების სოციალური მექანიზმის დადგენაზე აკეთებს აქცენტებს.

დამნაშავის პიროვნებას კრიმინოლოგიურად ახასიათებს: სოციალურ-დემოგრაფიული და სისხლისსამართლებრივი ნიშნები; სოციალური როლი და დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებისადმი; ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისება და ღირებულებითი ორიენტაციები.

დამნაშავის პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიულ ნიშნებს, როგორც არის სქესი, ასაკი, განათლება, დამნაშავის სოციალური, მატერიალური, ოჯახური მდგომარეობა, საბინაო პირობები, საქმიანობა და სხვა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის პიროვნების დახასიათების დროს, იმის მიუხედავად, რომ

ეს ნიშნები დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში მეორადია და დანაშაულებრივ ქცევაზე ისინი პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენენ. ამის მიუხედავად, დამნაშავის პიროვნების დემოგრაფიული ნიშნების არსებობა დამნაშავის პიროვნების დახასიათების დროს მათ განხილვას და გათვალისწინებას მოითხოვს.

დამნაშავის პიროვნების განაწილება სქესობრივი ნიშნის მიხედვით, ახასიათებს ქალთა და მამაკაცთა კრიმინოგენურობას, საზღვრავს, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაშია აქტიურები ქალი ან მამაკაცი.

დანაშაულობის ასაკობრივ ნიშანს შეუძლია მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების (არასრულწლოვანების, ახალგაზრდების, ზრდასრული პირების) კრიმინოლოგიური აქტივობა გამოავლინოს.

საინტერესო და მნიშვნელოვანია აგრეთვე მონაცემები დამნაშავის სოციალური მდგომარეობისა და საქმიანობის სახისადმი (მუშა, მოსამსახურე, მოსწავლე, პენსიონერი), ანუ საზოგადოებრივ ცხოვრების რომელ სფეროშია უფრო მეტად გავრცელებული ამა თუ იმ სახის დანაშაული.

დამნაშავის პიროვნების დახასიათების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ისეთ მონაცემებს, რაც უკავშირდება დამნაშავე პირთა საცხოვრებელ ადგილს (ქალაქი, სოფელი, დასახლება), მათ ოჯახურ და მატერიალურ მდგომარეობას. მნიშვნელოვანია აგრეთვე დამნაშავე პიროვნების ისეთი სისხლისამართლებრივი ნიშნები, როგორც არის მონაცემები ანტისაზოგადოებრივ მოქმედებათა ცალკეულ ან ჯგუფურ ხასიათზე, წარსულში ნასამართლობის ან რეციდივის შესახებ და სხვა.

დემოგრაფიულ ნიშნებს არ აქვს კრიმინოლოგიური მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ახასიათებს ყოველ ადამიანს, ადამიანთა ყველა ჯგუფს.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავე პიროვნების დასახასიათებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისი სოციალური როლისა და დამოკიდებულების გარკვევა. პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის ცხოვრებისეულ როლს, ღირებულებითი ორიენტაციას განსაზღვრავს მისი კულტურულ-საგანმანათლებლო დონე.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნებას შესაძლებელია დაკისრებული ჰქონდეს სხვადასხვა სოციალური როლი. სამრეწველო სფეროში შეიძლება იყოს კვალიფიციური მუშა, ხელმძღვანელი ან რიგითი მომუშავე პირი. საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში პირი შეიძლება იყოს ცოლიანი ან უცოლო, ოჯახის თავკაცი, შრომისუნარო მშობელი და სხვა. ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირი შესაძლებელია იყოს აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, სპორტსმენი, ქეიფის ორგანიზატორი, კოლექტიური ღრეობის მომწყობი ან ქუჩის დებოშიორი და ა.შ

საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების როლი არ არის მუდმივი, იგი ცვალებადია სხვადასხვა გარემოებების გამო. ამ როლის ხშირმა ცვლამ, მისი შესრულების დაბალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი, მათ შორის ისეთი, რომელიც მას მიიყვანს დანაშაულის ჩადენამდე. ე. ი. კონფლიქტის წყარო შეიძლება იყოს შეუსაბამობა ფაქტობრივად შესასრულებელ სოციალურ როლსა და პიროვნების დაჩემებას შორის, ანუ რისი მიღწევაც სურს და რაზედაც აცხადებს პრეტენზიას. ამდენად, კონფლიქტი არ არის გამორიცხული, როცა დაკავებული სოციალური როლი პიროვნებას მისთვის

არასაკმარისად ეჩვენება, ხოლო მისი დაჩემების დონე არ შეესაბამება მის რეალურ შეაძლებლობას და სუბიექტურ უნარს. ამიტომ, დამნაშავის დახასიათების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ნიშნის გათვალისწინებას, რომელიც კრიმინოლოგიურად ახასიათებს დამნაშავის პიროვნებას.

რა თქმა უნდა, სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები და სოციალური როლები არ იძლევა სრულ წარმოდგენას დამნაშავის პიროვნებაზე, რადგან ისინი ახასიათებს დამნაშავე პიროვნების მხოლოდ გარეგნულ მხარეს, ხოლო დამნაშავის შინაგანი ბუნება უფრო მეტად ვლინდება დამნაშავის პიროვნების ზნეობრივ თავისებურებებსა და ფსიქოლოგიურ განსაკუთრებულობაში.

ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისება და ღირებულებითი ორიენტაციები მნიშვნელოვანი ელემენტებია, რაც კრიმინოლოგიურად ახასიათებს დამნაშავის პიროვნებას. დამნაშავის პიროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სფეროს დეფექტებს მიეკუთვნება მოთხოვნილებათა და ინტერესების სფეროს დეფექტები, ამ მოთხოვნილებისა და ინტერესების შეუსაბამობა მათი დაკმაყოფილების ლეგიტიმურ შესაძლებლობებთან, გადახრები თვითშეფასების სფეროში, მართლშეგნების დეფექტები და სხვა. მართლშეგნების დეფექტებში, უპირველეს ყოვლისა მოიაზრება პიროვნების ზნეობრივი სფეროს დეფორმაციები, არაფორმალური ურთიერთობების პრიორიტეტულობა სამართლებრივ ნორმებზე და ეფექტური სამართლებრივი კონტროლის არარსებობა.

მოთხოვნილებათა და ინტერესთა სფეროს დეფექტების შესწავლის დროს, კრიმინოლოგიაში ყურადღებას ამახვილებენ დამნაშავე პიროვნების ჩამოუყალიბებლობაზე, მის აღზრდაში დაშვებულ ხარვეზებზე, მოთხოვნილებებისა და ინტერესთა დონის, კერძოდ, განათლების, ინტელექტუალური განვითარების, პროფესიული აღზრდის, ოჯახის შექმნის, სამართლებრივი ღირებულებების პატივისცემის დაქვეითებაზე, თვითდამკვიდრების ძალადობრივი ფორმებით ჩანაცვლებაზე, მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის კრიმინალური გზების ძიებაზე, ქცევის სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფაზე და სხვა.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ დამნაშავის პიროვნების ზემოთ აღნიშნული ზნეობრივ-ფსიქოლოგიური დახასიათება არ არის სტანდარტული დამნაშავეთა ყველა კატეგორიისათვის. ამასთან, ბევრი კრიმინოლოგი ვერ პოულობს არსებით განსხვავებას დამნაშავეებისა და დანაშაულის არ ჩამდენი პირების შედარებისას. კრიმინოლოგიური დარგის მეცნიერები ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს რაიმე პიროვნული ნიშნების სისტემა, რომელიც მხოლოდ დამნაშავეებისთვისაა დამახასიათებელი¹.

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათებისათვის ასევე ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პიროვნების ინტელექტუალურ, ემოციურ-ნებელობით სფეროს, რაც გარკვეულ როლს თამაშობს დანაშაულის ჩადენაში. ემოციურ-ნებელობით სფეროში გარკვეული ხარვეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს აღმზრდელი პროცესში, აგრეთვე ალკოჰოლიზმის,

¹ Шнайдер Г. Криминология. Изд. Группа „прогресс“. 1994 г, стр. 127, 317. Эдвин М. Наше преступное общество. М. 1997 г, стр. 87

ნარკოტიკის გავლენის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმების დროს და ა.შ, რამაც შესაძლოა სხვა არაკეთილსაიმედო პირებთან ერთად დანაშაულის პროვოცირება მოახდინოს.

პიროვნების ინტელექტუალურ თვისებებს მიეკუთვნება გონებრივი განვითარების დონე, ცოდნის მოცულობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, შეხედულებების და ინტერესების შინაარსი და სხვა.

ემოციურ-ნებელობითი სფეროს დანაშაულზე გავლენის განხილვისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული პიროვნების ტემპერამენტის, ხასიათის თავისებურებების, ინტელექტუალური შესაძლებლობების, გრძნობების დინამიკურობის, განსხვავებული სიტუაციაში რეაქციის ძალის და ტემპის, განცდების ცვალებადობის ფაქტორები. ფეთქებადმა ტემპერამენტმა და აღნიშნულმა სხვა ფაქტორებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს პიროვნების თავშეუკავებლობას, მის აგრესიულობას. ძლიერ ხასიათს შეუძლია პიროვნებისაგან დამნაშავე პირის, მათ შორის გარკვეული დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერის შექმნა. განვითარებული ინტელექტი, კარგი შემოქმედებითი უნარი შესაძლოა თაღლითობისაკენ მიდრეკილებას დაედოს საფუძვლად. პირიქით კი, სუსტი ტემპერამენტი, დაბალი ინტელექტუალური და სხვა დეფექტები პიროვნების განვითარებაში ხელს უწყობს ასეთი თვისებების მქონე პიროვნებების დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას.

ნებისყოფის თავისებურება ვლინდება პიროვნების ისეთ თვისებებში, როგორცაა მიზანსწრაფვა, თანმიმდევრობა, საზრიანობა, აქტიურობა, ენერგიულობა, ინიციატივა და სხვა, რაც აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში დამნაშავეს პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათების დროს.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავეს პიროვნების დახასიათების დროს ასევე ხაზი უნდა გაესვას გამოსაკვლევი პირის ყოფაქცევის ფაქტს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მოტივებს და სხვა, რაც ბრალდებულის პიროვნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესახებ მსჯელობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია.

ზემოთ აღნიშნული ნიშნები, რაც ახასიათებს დანაშაულის ჩამდენ პირს ანუ დამნაშავეს პიროვნებას, მჭიდრო ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. მაგალითად, პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები გარკვეულ წილად განსაზღვრავს მის სოციალურ როლს და ამ უკანასკნელთან კავშირში წარმოადგენს პიროვნების ზნეობრივი თვისებებისა და ფსიქოლოგიური თავისებურების ფორმირებისა და განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს. თავის მხრივ, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისებები უქვეყელი ასახვას იმისა, თუ როგორ აეწყო პიროვნების ცხოვრების სოციალური პირობები, როგორ გავლენასა და ზემოქმედებას დაექვემდებარა იგი და სხვა¹.

დამნაშავეს პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლა ხელს უწყობს დამნაშავეს პიროვნების სოციალური ნიშნების დადგენას და გაანალიზებას; დამნაშავეს პიროვნების შესწავლისადმი დიფერენცირებული მიდგომის

¹ ზ. წულაია. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003 წ., გვ. 84.

უზრუნველყოფას, რომელიც დამნაშავის სხვადასხვა ტიპების გამოყოფის მეშვეობით უზრუნველყოფს მის უფრო ღრმად შეცნობას; ცალკეული დამნაშავის კრიმინოგენური ნიშნების ანალიზს, რაც მაქსიმალური ეფექტურობით ხელს შეუწყობს დანაშაულისა და მისი რეციდივის პროფილაქტიკას; დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის, როგორც დანაშაულის მოტივაციის გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ურთიერთმოქმედების პროცესის შესწავლას.

გივი აბაშიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
დოქტორანტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი მასწავლებელი

ლიტერატურა:

1. კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ლლონტი, თბ. 2008 წ.
2. მ. გაბუნია. დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში. ჟურნალი „თემიდა“, №4(6), 2010 წ.
3. რ. ჭოლოშვილი. კრიმინოლოგია. თბილისი, 1995 წ.
4. ზ. წულაია. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003 წ.
5. Шнайдер Г. Криминология. Изд. Группа „прогресс“. 1994 г.
6. Эдвин М. Наше преступное общество. М. 1997 г.

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია დამნაშავის პიროვნების ცნება და მისი დამახასიათებელი კრიმინოლოგიური ნიშნები. განხილულია დამნაშავის პიროვნების შესწავლის და გამოკვლევის მნიშვნელობა და მექანიზმები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის პიროვნების პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული მიზეზების და პირობების აღკვეთის, პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარების და დანაშაულის ჩამდენი პირის აღზრდისა და გამოსწორების საქმეში.

Givi Abashidze

**Криминологическая характеристика личности преступника
Резюме**

В труде рассмотрено понятие личности преступника и его характерные криминологические признаки. Разобраны механизмы и значение исследования и изучения личности преступника, что имеет большое значение в деле осуществления принципа индивидуализации наказания и ответственности, пресечения конкретных причин и условий совершения преступления, проведения профилактических мероприятий и в воспитании и исправления лица, совершившего преступления.

Givi Abashidze

**The Criminological Character of the Criminal Personality
The Summary**

The work describes the concept of criminal personality and its typical criminal signs. Here are considered main reasons of analyzing criminal personality its sense and the mechanisms, which are so important in considering responsibility and the punishment of the criminal, in conducting preventive policy, in rehabilitation and social integration of former criminal.

ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები

საყოველთაოდ აღიარებულია საერთაშორისო დანაშაულის გლობალიზაცია (ტრანსნაციონალიზაცია), რომელიც ეკონომიკური გლობალიზაციის თანმხლები ფაქტორია.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაცია აუცილებელი გახდა “მაფიოზური სამყაროს” გამოჩენამ. იტალიელები ევროპაში ყიდიან კოლუმბიის ნარკოტიკებს, რუსული დაჯგუფებები მოპარულ მანქანებს ყიდულობენ იაპონური დაჯგუფებებისგან, ალბანური ბანდებს აზიის ჰეროინი გადააქვთ თურქული კარტელებისთვის. დანაშაულის ტრანსნაციონალიზაცია ნათლად ჩანს როცა საკითხი ეხება არალეგალურ მიგრაციასა და ადამიანით ვაჭრობას, ტერორიზმს, იარაღით ვაჭრობას, ნარკობიზნესს და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები: ბოლო 30 წლის განმავლობაში დანაშაულობა 4 ჯერ გაიზარდა. გაეროს მონაცემების მიხედვით, 90-იანი წლებიდან დანაშაულობა მსოფლიოში დაახლოებით 5% -ით იზრდება, მაშინ როცა მოსახლეობა, მხოლოდ 1 % -ით იზრდება. მიმდინარე წლის ბოლოს მსოფლიოში დარეგისტრირებული იქნება არანაკლებ 450 მლნ დანაშაულებრივი აქტისა, მაგრამ რეალური რიცხვი შეიძლება 3-4 ჯერ მეტი იყოს. ეს კი 200 ათასი დანაშაულია საათში.

სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ადამიანებით ვაჭრობის ფაქტები მუდმივად იზრდება. თუ უკანასკნელი 4 საუკუნის მანძილზე ადამიანებით ვაჭრობის მაჩვენებელი 12 მლნ ადამიანს არ აღემატებოდა, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კი მხოლოდ აზიაში სექსუალურ მონობაში გაყიდული ქალების და ბავშვების რიცხვი 30 მილიონს აღემატება. ამ კრიმინალური ბიზნესის უდიდესი ნაწილი კი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ხელთაა.

გაეროს 2000 წლის მე-20 კონგრესზე, რომელიც დანაშაულობის პრობლემებს ეძღვნებოდა, აღნიშნავდნენ, რომ ადამიანებით ვაჭრობა ყველაზე სწრაფად განვითარებადი ბაზარია მსოფლიოში. იგი შემოსავლების მხრივ მეორე ადგილზეა ნარკობიზნესის შემდეგ. ყოველწლიურად 4-5 მილიონი ადამიანი გადაჰყავთ არალეგალურად და ყიდიან მათ, რაც დამნაშავეთა სამყაროსთვის 7 მილიარდ დოლარის შემოსავლის მიღებას ნიშნავს.

მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები. 2000 წლისთვის დაფიქსირებული იყო 423 ტერორისტული აქტი, რაც 8 %-ით უფრო მეტი იყო, ვიდრე 1999 წლის მაჩვენებლები. 2001 წლამდე ტერორისტული აქტების პიკი 1987 წელს იყო დაფიქსირებული (667). ტერორისტების მსხვერპლთა რაოდენობა 2000 წლისთვის გაიზარდა. წლის განმავლობაში მოკლული იყო 405 ადამიანი და 791 ადამიანი დაიჭრა. 2001 წლის სექტემბერი შევიდა მსოფლიო ისტორიაში როგორც უპრეცედენტო და საზარელი აქტი, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გლობალურ პრობლემად რჩება ასევე ნარკობიზნესი, რომელიც სულ უფრო მჭიდროდ ურთიერთობს დანაშაულთა სხვა ფორმებთან. მაგალითად, “ტალიბანის” რეჟიმი ავღანეთში, რომელმაც უსამა ბენ ლადენს და სხვა ტერორისტებს საშუალება მისცა ემოქმედა თავის ტერიტორიაზე, რითაც ხელი შეუწყო ნარკობიზნესის განვითარებას და მისგან მოგების მიღებას. ზოგიერთი

ისლამური ექსტრემისტები თვლიან, რომ ნარკობიზნესი არის იარაღი, რომელსაც დასავლეთის წინააღმდეგ გამოიყენებს და ის ასევე მათი საქმიანობის დაფინანსები ერთ-ერთი წყაროა.

როგორც ცნობილია, დღეისათვის ავღანეთის ტერიტორიაზე მსოფლიო ნარკოტიკების 75% მზადდება. ამ ნარკოტიკების 60%-ზე მეტის ტრანსპორტირება ხდება ცენტრალური აზიიდან. ძალიან მძიმეა მსოფლიოში ნარკოდანაშაულებრივი მდგომარეობა. ოფიციალური მონაცემებით მსოფლიოში 180 მლნ ადამიანი არის ნარკოდამოკიდებული (რაც მსოფლიო მოსახლეობის 3% შეადგენს). ნარკოტიკების ყოველწლიური ბრუნვისგან მიღებული თანხა დაახლოებით 500 მლრ აშშ დოლარს შეადგენს.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ტერორიზმის და ნარკობიზნესის პრობლემა ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა, ვინაიდან დანაშაულის ეს სახეები თავისი შინაარსით და მასშტაბებით აღმოჩნდნენ პირველ ადგილზე, სახელმწიფოთა მიერ ამ პრობლემების გადაჭრისასთვის გაწეული ძალისხმევის მიხედვით.

კვლევის საგანია საერთაშორისო დანაშაულობასთან ბრძოლისათვის სამართლებრივი რეგულირების შესწავლა. აღნიშნული ქმედების მიზანია კრიმინოგენური სიტუაციის და ნორმატიული ბაზის ანალიზი და კონტროლის დაწესება, სახელმწიფოს და მისი ორგანოების თანამშრომლობის შესწავლა საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლისათვის.

გლობალიზაციის პროცესმა თვისობრივად შეცვალა დანაშაულობის არსი, რომელიც სულ უფრო ხშირად არის დაკავშირებული რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევასთან. სწორედ ასეთი დანაშაულების აღსაწერად კრიმინოლოგებმა შემოიღეს ტერმინი “ტრანსნაციონალური დანაშაული”. ტრანსნაციონალური დანაშაული განისაზღვრება, როგორც დანაშაული, რომელიც ცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს. ტრანსნაციონალური დანაშაულის სტრუქტურაში ტრადიციულად გამოიკვეთება სამი ელემენტი: საერთაშორისო დანაშაული, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები და დანაშაულები, რომლებიც უცხოელებს უკავშირდებათ. საერთაშორისო დანაშაულებებს განეკუთვნება ადამიანის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. მათ განეკუთვნებათ: აგრესია, გენოციდი, აპარტეიდი, ბირთვული იარაღის გამოყენება, რასიზმი, ტერორიზმი და ა.შ. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები ზიანს აყენებენ საერთაშორისო თანამეგობრობის და თანამშრომლობის განვითარებას, სახელმწიფოთა მშვიდობიან ურთიერთობას. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებს განეკუთვნებათ: კონტრაბანდა, ნარკოტიკების არაკანონიერი გავრცელება და გაყიდვა, არალეგალური მიგრაცია, მეკობრეობა, წყალქვეშა კაბელების დაზიანება, პორნოგრაფიული ლიტერატურის გავრცელება, ადამიანებით ვაჭრობა და სხვა. დანაშაულებს, რომლებიც უცხოელებს ეხება განეკუთვნება ის დანაშაულები, რომლებიც უცხოელების წინააღმდეგ არის მიმართული.

ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებია:

-იტალიური მაფია. ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებიდან იტალიური, სიცილიური მაფია გამოირჩევა თავისი რთული და საიდუმლო სტრუქტურით. იტალიაში სიტყვაში “მაფია” ძირითადად მოიაზრება სიცილიის მაფია ან ე.წ. “კოზა ნოსტრა”, ნეაპოლიტანური “კამორა”, რომელიც ძირითადად ადგილობრივი დანაშაულებრივი დაჯგუფებებისგან შედგება,

კალაბრიის “ნდრანგეტა”, რომელიც საოჯახო კლანებისგან შედგება და ძირითადად თამბაქოს კონტრაბანდას, ნარკობიზნესს და ადამიანებით ვაჭრობას ეწევა, ასევე “საკრა კორონა უნიტა” აპულიიდან, რომელიც შექმნა “კოზა ნოსტრა” რათა გამოეყენებინა ამ რეგიონის სანაპირო ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვისთვის. თუ მაფია თავის დროზე წარმოიშვა უფრო როგორც იდეა და არა, როგორც ორგანიზაცია და თანაც თანდათან ადაპტირებას გადიოდადასავლეთ სიცილიის კულტურასთან, კამორა პრინციპულად ჩაფიქრებული და მოწყობილი იყო, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია. მართალია, კამორას მონაწილეები არანაირ საქმიანობას არ თაკილობდნენ, რომელსაც შემოსავალი მოჰქონდა, მაგრამ მათი კრიმინალური საქმიანობის მთავარი სახე მაინც გამოძალვა იყო. გარდა ამისა, ყველას, ვისაც სურდა, გარკვეული საფასურად შეეძლო შეეკვეთა არახელსაყრელი ფიგურის მკვლელობა. თუ ეს სჭირდებოდა მეგობარს, შეიძლება მოელაპარაკათ უფასო მკვლელობაზე – უბრალოდ მეგობრის მიმართ პატივისცემის ნიშნად. ასევე აღსანიშნავია კალაბრიული “ნდრანგეტა”. ტერმინი “ნდრანგეტა” იხმარება გმირებისა და სიკეთის მაღალი ხარისხის აღსანიშნავად, იგი წარმოშობილია ბერძნულიდან და ნიშნავს “მოქცევას ისე, როგორც ეს ნამდვილი და ძლიერი მამაკაცისთვისაა დამახასიათებელი”. “კოზა ნოსტრა” (ჩვენი საქმე) მიუხედავად დიდი კონკურენციისა, მაინც ინარჩუნებს ამ “ინდუსტრიის” ლიდერის როლს.

ჩინური ტრიადა ეს არის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მოქნილ ქსელურ სისტემას, რომლის სტრუქტურა იცვლება იმის მიხედვით თუ რომელ დანაშაულებრივ ოპერაციას განახორციელებს იგი. სიტყვა “ტრიადა” გამოყენებულია ჩინეთის საზოგადოების წმინდა სიმბოლოსგან – ზეცა, დედამიწა და ადამიანი. ეთნიკური ჩინური დანაშაულებრივი ორგანიზაციები ძალიან მჭიდრო კავშირს წარმოადგენენ და შეუძლებელია უცხო პირთა შეღწევა ამ დაჯგუფებაში. არაოფიციალური მონაცემებით, ჰონგკონგში დაახლოებით 160 000 “ტრიადის” წევრია. “ტრიადის” წევრობა ნიშნავს რომ პირმა მოიპოვა ნდობა და მისი წევრები ქმნიან ერთიან კოლექტივს, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს სხვა წევრებს მიუხედავად იმისა, იცნობენ ისინი ერთმანეთს თუ არა. “ტრიადა” ეწევა მრავალი სახის დანაშაულებრივ ქმედებებს, მათ შორისაა: გამოძალვა, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნვა.

იაპონური “იაკუძა” ყველაზე გავრცელებული იაპონური დანაშაულებრივი ორგანიზაციაა. “იაკუძაში” შედის რამდენიმე მსხვილი ორგანიზაცია, რომელთა შორის ლიდერობს “იამაგუჩი-გუმი”. სწორედ იაპონიის დანაშაულებრივი ორგანიზაციებს შეაქვთ ნარკოტიკები ჰავაის კუნძულებსა და კალიფორნიაში. “იაკუძა” მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იგი სექს-ბიზნესით, აზარტული თამაშებით, თაღლითობით, ფულის გათეთრებით არის დაკავებული.

ნარკოტრაფიკი ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთო წამყვანი სახეობაა და მას დღემდე მართავს ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და ძლიერი ორგანიზებული-დანაშაულებრივი ჯგუფი – კოლუმბიური მაფია. ცოტა ხნის წინათ, ამერიკელმა ექსპერტებმა შეადგინეს მსოფლიოში მოქმედი მაფიების ათეული. სიაში რუსული და სიცილიური მაფიების შემდეგ, მესამე ადგილს იკავებს კოლუმბიური მაფია. “მაფი მაფია” – კოლუმბიური ნარკოკარტელი – ნარკოტიკების წარმოება-გასაღების მიზნით შეიქმნა და დღეისათვის მსოფლის თითქმის ყველა ქვეყანაშია შესული. კოლუმბიური კარტელი წამყვანი ჯგუფებია: “საქმიანი” კანი, “სისხლისმსმელი” მედელინა და ნორტ

დელი ვალიე. კოლუმბიური ყველა სხვა მაფიისგან იმით არის გამორჩეული, რომ მსოფლიოს კოკაინით ამარაგებს, რომელსაც თავადვე აწარმოებს კოლუმბიის ჯუნგლებში არსებულ ლაბორატორიებში.

რუსული მაფია, აგრეთვე ცნობილია როგორც “წითელი მაფია” – ეს სახელი დაერქვა მრავალეთნიკურ ორგანიზებულ კრიმინალთა ჯგუფს, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან გამოჩნდნენ, ამ ქვეყნის დეზინტეგრაციის შემდეგ. რუსებთან ერთად, ეს ტერმინი მოიცავს ჩინებს, ქართველებს, უკრაინელებს, სომხებს, აზერბაიჯანელ მაფიოზებსა და ასევე შედარებით მცირერიცხოვან მაფია-ჯგუფებს სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციათა რიგებიდან აღსანიშნავია “ჰებზოლას” შიიტურ-ისლამური რადიკალური ორგანიზაცია. (არაბულად ნიშნავს “ალაჰის პარტიას”) 80-იან წლებში “ჰებზოლა” შეიქმნა ირანული რევოლუციის გამოცდილების შემსწავლელ ჯგუფად. ლიბანში ისრაელის ჯარის შეჭრის შემდეგ, იგი გარდაიქმნა რადიკალურ შიიტურ ორგანიზაციად, რომელიც იზიარებდა ირანული რევოლუციის ლიდერების იდეებს, ისრაელისთვის გაეწიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა მანამ, სანამ არ მოხდებოდა პალესტინის სრული განთავისუფლება. პირველი ტერორისტული აქტი 1983 წლის 23 ოქტომბერს ლიბანში მყოფი ფრანგი და ამერიკელი სამშვიდობო კონტიგენტის წინააღმდეგ განახორციელეს, სადაც დაახლოებით 300 სამხედრო პირი დაიღუპა. ორგანიზაციას ჰყავს ლიდერი ჰასან ნასრალა. ორგანიზაცია შედგება საკონსულტაციო საბჭოსგან, რომელსაც ქმნის 12 რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო პირი. “ჰებზოლა” მოსახლეობის დიდი ხმარდაჭერით სარგებლობს. მას ლიბანში გააჩნია სკოლები და საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კლინიკები, ასევე გააჩნია საკუთარი პრეს-სამსახური. მას ეკუთვნის ტელევიზია “ელ-მანარი”, ასევე რამდენიმე რადიო სადგური, ინტერნეტის საიტები და გაზეთები.

ასევე მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს “ჰამასი”. “ჰამასი” (არაბულად “ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა”) არის პალესტინურ ისლამისტური მოძრაობა, პოლიტიკური პარტია და ტერორისტული ორგანიზაციაა. მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის აბდელ აზიზ ალრანთისის განცხადებით, მოძრაობის მიზანს წარმოადგენს “ისრაელის მოშორება რუკიდან”. “ჰამასის” მიერ თვითმკვლელი ბომბების გამოყენება პირველად 1993 წლის 16 აპრილს განხორციელდა. ამ პოტენციურ თვითმკვლელებს, რომელთა ასაკიც 12-დან 17 წლამდე მერყეობს, გააჩნიათ მტრის დიდი სიძულვილი და ამოძრავებთ სამაგიეროს გადახდის სურვილი. ყველა ზემოთ მოყვანილი ტერორისტული ორგანიზაციები წარმოადგენენ რელიგიური ტერორიზმის მიმდევრებს, რომელიც ყველაზე საშიშ ტერორისტულ სახეობებს წარმოადგენს.

დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანოებიდან აღსანიშნავია ინტერპოლი. ინტერპოლი ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების გაერთიანება საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლისათვის. XX საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნების კრიმინალური პოლიციის დანაყოფების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც საერთაშორისო დონეზე კოორდინაციას გაუწევდა სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთან ბრძოლას. 1923 წელს ავსტრიის ქალაქ ვენაში ჩატარდა კრიმინალური პოლიციის მე-2 საერთაშორისო კონგრესი,

რომელშიც მსოფლიო მასშტაბით 20 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღო მონაწილეობა. მათ სწორედ ამ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ და ამავე დღეს დაამტკიცეს ორგანიზაციის წესდება. ინტერპოლის მიზნებს წარმოადგენს: 1. სხვადასხვა ქვეყნების კრიმინალური პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების ფარგლებში; 2. დანაშაულის აღმკვეთი ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება პრობლემის სამართლებრივ უზრუნველყოფას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის რიგი მუხლებისა, რომლებიც ეხება ტერორიზმის, ნარკოტიკების და ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადების, გაყიდვას და ადამიანებით ვაჭრობის, ანუ ტრეფიკინგის საკითხებს. კერძოდ, ნარკოტიკულ დანაშაულებს ეხება საქართველოს სსკ-ის 33-ე თავი, ტერორიზმს 38-ე თავი, ხოლო ადამიანით ვაჭრობის საკითხი განხილულია 23-ე თავში. ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს აღსანიშნავია ევროპის კონვენცია "ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ" 1997 წ. წ. შანხაის კონვენცია "ტერორიზმთან, სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ" 2001 წ. წ. საქართველოს კონვენცია "ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ" 1999 წ. წ. კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ" 1971 წ. წ. 1997 წლის 15 დეკემბრის გაეროს კონვენცია "ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"; 2005 წლის კონვენცია "ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ"; 2000 წლის 15 ნოემბრის გაეროს კონვენცია "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ"; "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი "ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ. 1971 წლის 21 თებერვლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ"; 1988 წლის 20 დეკემბრის კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების არსებობა და გაძლიერება დიდ საფრთხეს უქმნის სრულიად მსოფლიოს. ეს ორგანიზაციები ძლიერ სისტემას წარმოადგენენ, რომელთანაც ბრძოლა განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს.

ტრანსნაციონალური დანაშაულის დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუ მის წინააღმდეგ დადგება მსოფლიო თანამეგობრობა, რადგან საერთაშორისო დანაშაული არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა. სახელმწიფოები მუდმივად უნდა ატარებდნენ საერთაშორისო დანაშაულის თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებებს და ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ დანაშაულებრივი აქტების აღმოფხვრისა და მათი განმახორციელებელი პირების დასჯისთვის. სახელმწიფოთა ურთიერთდახმარება და ურთიერთთანამშრომლობა გამოიხატება დანაშაულთან ერთობლივ ბრძოლასა და ისეთი ღონისძიებების გატარებასა და კონვენციების მიღებაში, რომელიც საშუალებას არ მისცემს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს გაძლიერდნენ, ხოლო მომავალში კი შესაძლებელი იქნება საერთაშორისო დანაშაულის სრულიად აღმოფხვრაზეც საუბარი. დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ ახალი მეთოდები ტრანსნაციონალური

დანაშაულებთან საბრძოლველად, როცა მსოფლიო შეძლებს აღმოფხვრას ის ხელშემწყობი გარემოებები, რომელთა საშუალებითაც დანაშაულებრივი სამყარო ახორციელებს თავის “საქმიანობას” შესაძლებელი გახდება უშუალოდ ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციების დაშლაზე და ამით პრობლემის მოგვარებაზეც საუბარი. თუ თითოეული სახელმწიფოს მიზანი გახდება აღმოფხვრას ნარკოტრაფიკი თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე, მკაცრი კონტროლი დააწესოს საზღვრის არალეგალურ გადაკვეთაზე, რაც ხელს უწყობს ტრეფიკინგის განვითარებას და საზოგადოებას მიაწოდებს ინფორმაციას ამ დანაშაულებების შესახებ, რათა თითოეული მოქალაქე დაინტერესებული იყოს დაიცვას საკუთარი ოჯახი, ქვეყანა, თანდათან მივუახლოვდებით დასახულ მიზანს.

ნინო კიკალიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის IV კურსის
სტუდენტი

ნინო კიკალიშვილი

**ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო დანაშაულები და ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც დღეისათვის საკმაოდ დიდ ძალაუფლებას ფლობენ და თავისი დანაშაულებრივი ქმედებით მილიონობით არალეგალურ შემოსავალს დებულობენ. ავტორის აზრით, ტრანსნაციონალური დანაშაულის დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თუ მის წინააღმდეგ გაერთიანდება მსოფლიო თანამეგობრობა, რადგან საერთაშორისო დანაშაული არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა. სახელმწიფოები მუდმივად უნდა ატარებდნენ საერთაშორისო დანაშაულის თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებებს და ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ დანაშაულებრივი აქტების აღმოფხვრისა და მათი განმახორციელებელი პირების დასჯისთვის. სახელმწიფოთა ურთიერთდახმარება და ურთიერთთანამშრომლობა გამოიხატება დანაშაულთან ერთობლივ ბრძოლასა და ისეთი ღონისძიებების გატარებასა და კონვენციების მიღებაში, რომელიც საშუალებას არ მისცემს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს გაძლიერდნენ, ხოლო მომავალში კი შესაძლებელს გახდინს საერთაშორისო დანაშაულის სრულიად აღმოფხვრაზეც საუბარს.

**Транснациональные преступные организации
Резюме**

В данной работе рассмотрены международные преступления и основные транснациональные преступные организации, которые на сегодняшний день обладают большой властью и своей преступной деятельностью получают миллионы нелегальных денег. По мнению автора, победить транснациональную преступность возможно только с помощью объединения сил международных содружеств, поскольку международное преступление проблема не только одной страны. Содружество государств постоянно должны проводить превентивные меры во избежание международного преступления и наказания лиц, которые замешаны в совершении такого преступления. Взаимопомощь и сотрудничество между государствами выражается в совместной борьбе с преступностью, проведения необходимых мер (принятые конвенции), которые не позволят транснациональному преступлению завладеть большей властью. Таким образом, в будущем можно надеется на полное устранение международного преступления.

Nino Kikalishvili

**Transnational Criminal Organizations
The Summary**

In the article are discussed some of major international crimes and transnational criminal organizations, which today have great power, and their criminal activity bring billions of illegal income to them. According to the author, it's only possible to defeat transnational crime through the union of the forces of international community, as an international crime is not just one country's problem. International community should continuously pursue preventive measures to avoid an international crime and punish those who were involved in the commitment of such offenses. Mutual aid and cooperation among nations should be reflected in the joint fight against crime, the necessary measure (adopted by the Convention), which will not allow transnational crime to seize more power. Thus, in the future we hope to see the complete elimination of international crime.

მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული - გენოციდი

XXI საუკუნის მსოფლიოში, რომელიც განვითარების დღემდე არნახულ სტადიაზეა, მოსახლეობის მართლშეგნების, ასევე რაციონალური წინსვლისა და ჰუმანური იდეების უდიდესი დამსახურების შედეგად მრავალი სერიოზული პრობლემა გადაიჭრა. თუმცა იმის თქმაც შეუძლებელია, რომ ამ პრობლემებს კაცობრიობა აღარ წააწყდება. რთულია იმის მტკიცება, გაიმეორებს თუ არა მომავალი მსოფლიოს მოქალაქე წარსულის შეცდომებს, რადგან ისტორია სავსეა საკმაოდ მტკივნეული მაგალითებით, როდესაც სახელმწიფო არ ითვალისწინებდა მიღებულ გამოცდილებას და საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა მომავალში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საფრთხეს წარმოადგენს, არის გენოციდი. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ მარკუს ფანკის მიხედვით, „გენოციდი არის სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიზანმიმართული და სისტემატიზებული განადგურება ეთნიკურ-რასობრივი, რეგილიური და ეროვნული ნიშნის მიხედვით^[1]“. დაახლოებით იმავე განმარტებას გვაძლევს გაეროს 1948 წლის გენოციდის დანაშაულის დასჯისა და პრევენციის კონვენცია^[2]. თუმცა საკამათოა ის საკითხი, რომ აღნიშნული დადგენილება არ ითვალისწინებდა პოლიტიკურ ასპექტს. სავარაუდოა, რომ ომგამოვლილ ევროპაში ცხარე დავა მიმდინარეობდა იმ საკითხზე, გამოეცხადებინათ თუ არა პოლიტიკური ფაქტორი გენოციდის მახასიათებელ ნიშნად. ერთ მხარეს თუ დავეყრდნობით, ჰიტლერის ქმედებები აშკარად მიუთითებდა აღნიშნული ასპექტის ჩართვას, თუმცა ამ შემთხვევაში სტალინის წარმატებული საგარეო კურსის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გენოციდი პოლიტიკური ნიშნით დასჯილ ადამიანებს არ აერთიანებს.

გენოციდის პრობლემის აქტიუალობა გაიზარდა XX საუკუნიდან, როდესაც კაცობრიობამ უკეთ გაიაზრა ჰუმანური იდეები. თუმცა სწორედ ამ საუკუნის დასაწყისში აღინიშნება გენოციდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოვლინება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1998 წლის რეზოლუციაში მოხსენიებულია სომეხთა გენოციდი და აღნიშნულია, რომ „ჩადენილი იყო კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული-XX საუკუნის პირველი გენოციდი^[3]“. ჩნდება კითხვა, რატომ არ აღიარა მსოფლიომ აღნიშნული დანაშაული საუკუნის დასაწყისშივე? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობა განპირობებული იყო სუფთა პოლიტიკური მდგომარეობით. პროფესორ ჰერნი ტერიოს აზრით, „შეუძლებელი იყო ყოფილი ოსმალეთის მორალურად დადანაშაულება, რადგან აღნიშნული სამართლებრივი სუბიექტი დედამიწის კონტურულ რუკაზე აღარ არსებობდა. მისი ადგილი სრულიად ახალმა სახელმწიფომ, თურქეთმა დაიკავა, თუმცა რესტიტუციული ნაბიჯების გადადგმის საკითხს აქტუალობა არ უნდა დაეკარგა^[4]“.

მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში არ არსებობდა რაიმე სახის სამართლებრივი ბერკეტი და მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა ვერ იქნებოდა პროდუქტიული. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში მეორე მსოფლიო ომმა დააყენა, როდესაც ფაშისტურმა გერმანიამ დაახლოებით 6 მილიონი ებრაელი გაანადგურა^[5]. ამ დანაშაულის პოლოკოსტი ეწოდა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, „პოლოკოსტი ასევე აერთიანებდა საბჭოთა ტყვეებს, პოლონელ და საბჭოთა მოსახლეობას, ჰომოსექსუალებს, შეზღუდული უნარების მქონე მოსახლეობას, იეჰოვას

მოწმეებსა და გერმანიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს განურჩევლად მათი გერმანული (თავად გერმანელების აზრით, არიული) და არაგერმანული ეთნიკური ჯგუფისა^[6].

აღნიშნულმა დანაშაულმა აუცილებელი გახდა გენოციდის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დაწყება. პირველი ნაბიჯი გახდა გაეროს ქენევის ასამბლეის მიერ 1946 წელს მიღებული რეზოლუცია, რომელიც გენოციდს განიხილავდა როგორც საერთაშორისო სამართალდარღვევას, თუმცა თავად ეს ტერმინი არ განუმარტავს. მნიშვნელოვანი იყო 1948 წლის გენოციდის დანაშაულის დასჯისა და პრევენციის კონვენცია. ეს ითვლება პირველ სამართლებრივ აქტად, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა გენოციდის შინაარსი. აღნიშნული დადგენილება გამოიყენება ჰააგის სამხედრო ტრიბუნალზე.

გენოციდის ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანია ადგილი უჭირავს ნიუმბერგის პროცესს, რომელიც 1948 წლის გაეროს კონვენციის განხორციელების რეალური საშუალება გახდა. კერძოდ, გაიმართა 24 ფაშისტი მაღალჩინოსნის, ასევე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეოლოგიური პირის სასამართლო პროცესი. მათ უმეტესობას სასიკვდილო განაჩენი მიუსაჯეს, თუმცა მარტინ ბორმანმა მართლმსაჯულებას თავი დააღწია, ხოლო ჰერმან ჰერინგმა განაჩენის მიღებამდე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროცესი იყო პირველი ნაბიჯი, რითაც ევროპამ მსოფლიოს დაანახა, რომ გენოციდის დაუსჯელობის სინდრომი აღარ იარსებებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიუმბერგის საქმის შემდეგაც კი სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა. ეს დაადასტურა კიდევ 1994 წლის რუანდის გენოციდმა, რომელმაც Human Rights Watch-ის მონაცემებით, 800 000 ადამიანი იმსხვერპლა^[7]. ამ მოვლენების შემდეგად ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომელსაც საკმაოდ სერიოზული სამართლებრივი ბერკეტები ეპყრა ხელთ. რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (The International Criminal Tribunal for Rwanda) 1994 წელს შეიქმნა და დღემდე განხილული აქვს 19 საქმე. თუმცა სამწუხაროდ, აღნიშნული სასამართლო ლოკალურია და მხოლოდ რუანდის მოქალაქეთა ინტერესებს ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, რუანდის ტრიბუნალი დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს გლობალური მასშტაბითაც, რადგანაც ეს ერთ-ერთი პირველი შიდასახელმწიფოებრივ საქმეთა სასამართლოა, რომელიც გაეროს ბაზაზე შეიქმნა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს განიხილავს.

1995 წელსაც არ ჩაუვლია უკვალოდ, რადგანაც ამ წელს საკმაოდ მასშტაბური ეთნიკური წმენდა განხორციელდა ევროპის კონტინენტზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპელი მოსამართლეების აზრი, რუანდის გენოციდის მსგავსი მოვლენები ევროპის კონტინენტზე აღარ განხორციელდებაო, არასწორი აღმოჩნდა.

ტერმინი „ბოსნიური გენოციდი“ გამოიყენება ორი მოვლენისადმი, კერძოდ: სერბების მიერ სრებენიცაში განხორციელებული გენოციდი ან/და 1992-1995 წლების ბოსნიის ომი (თუმცა მეორე გაგება იშვიათად გამოიყენება ხოლმე სახელმძღვანელოებში)^[8].

გენოციდის პრობლემა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასაც შეეხო. საგულისხმოა ის, რომ საკუთარ თავზე მიღებული გამოცდილების ანალიზის შედეგად

უფრო სრულყოფილად შეიძლება ამ საკითხზე მსჯელობა. თუმცა, როდესაც გამოცდილებაზეა საუბარი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი მიღება მრავალი ქართველი ადამიანის სისხლის ფასად დაუჯდა ჩვენს ქვეყანას.

ქართველების ეთნოწმენდა აფხაზეთში^{[9][10][11][12][13][14][15][16][17][18][19]} მსოფლიოს ყურადღების ცენტრში გასული საუკუნის ბოლოს მოექცა, როდესაც 1992-93 წლების ომის შედეგებზე ევროპამ ღიად დაიწყო საუბარი. თავიდან მიმდინარეობდა ცხარე დავა, გამოეცხადებინათ თუ არა კონფლიქტის შემადგენელ ნაწილად ქართველთა გენოციდის რუსეთის აშკარა ზეწოლის გათვალისწინებით, თუმცა ფაქტების დიდი რაოდენობა საკითხის ობიექტურად გადაწყვეტისკენ მიუთითებდა. 1994, 1996 და 1997 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ აღიარა ქართველთა გენოციდი აფხაზეთში^[20]. გაეროს გენარალურ ასამბლეამაც 2008 წლის 15 მაისს აღნიშნული მოვლენა შერაცხა როგორც „ქართველთა ეთნოწმენდა“^[21]. წყაროების მიხედვით, 200 000 – 250 000 ქართველს მოუწია საკუთარი სახლ-კარის დატოვება^[22] და საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლება, რასაც ქვეყანაში ქაოსი მოყვა. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ დევნილთა ელემენტარული საარსებო პირობების დასაკმაყოფილებლად დამატებით გამოყო სასტუმროები არა მარტო თბილისში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ახლანდელმა ხელისუფლებამ აღნიშნული დაწესებულებების დაცლა მოითხოვა და აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას ფულადი კომპენსაციის სახით 7 000 დოლარი შესთავაზა. ეს ფაქტი სასტუმრო „ივერიაში“ შესახებულებს შეეხო. სამწუხაროდ, აღნიშნული კომპენსაციის სიმცირის გამო დევნილებს მდგომარეობა კიდევ უფრო დაუძიმდათ.

ქართველთა წინააღმდეგ დამოკიდებულების უკეთ გასაცნობად მოვიყვან ვიტალი სმირბას 1992 წელს გაკეთებულ განცხადებას:

“საქართველოს სურდა აფხაზეთში ბლიცკრიგის განხორციელება... მაგრამ ყველაფერი ტანკებით და გრაღებით არ წყდება. აფხაზებს სხვა სამშობლო არ აქვთ, არც სხვაგან წასასვლელი გზა. მაგრამ აღარც ქართველებს ეცხოვრებათ აფხაზეთში. აფხაზეთში ისინი მხოლოდ დაიხოცებიან.”^[23]

1992-1993 წლების გენოციდი ქართველი ერისთვის დიდი დარტყმა იყო, თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის: დაიღუპა 161 ადამიანი^[24], 1000-ზე მეტი დაიჭრა და დასახიზრდა. განსაკუთრებით კი ყურადღებას იქცევს დევნილთა რაოდენობა: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 15 000-მა ქართველმა დატოვა საკუთარი სახლ-კარი^{[25][26]}. სხვა მონაცემებით კი სულ 158 000-მა ადამიანმა მიატოვა საცხოვრებელი ადგილი^[27].

ეს ციფრები ომის სისასტიკის გარდა კიდევ ერთ, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული მხარე ამტკიცებს, რომ ქართველებმა სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლო, ქართ.) ეთნიკური წმენდა განახორციელეს, ფაქტების საწინააღმდეგოს აჩვენებს. რუსული პროპაგანდა 2008-09 წლებში აქტიურად მუშაობდა ამ კუთხით, თუმცა განვითარებულმა ევროპამ ოსთა გენოციდი არ აღიარა.

მეორე მხრივ ქართული მხარე აქტიურად იბრძოდა და კვლავაც აგრძელებს ბრძოლას ქართველთა გენოციდის აღიარებისთვის. ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, საკმაოდ რთული იქნება მიზნის მიღწევა, რადგანაც ევროპისთვის

ანტირუსული ქმედებები ენერგოსაფრთხის მომტანია. როგორც ვიცით, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპა უმეტესწილად დამოკიდებულია რუსულ ენერგეტიკაზე. გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც: რუსეთი ზესახელმწიფოა უდიდესი სამხედრო რესურსით, რაც თავისთავად ითვალისწინებს უახლეს იარაღს, ატომურ და სხვა სახის შეიარაღებას. ჩემი ვარაუდით, ნაკლებად შესაძლებელია ქართველთა 2008 წლის გენოციდის აღიარება გაეროს ან სხვა ევროპული ორგანიზაციის მიერ ამ ეტაპზე, ხოლო თუ საქმე აღიარებაზე მივა, ამას უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ.

მდგომარეობის გამოსწორების რეალურ გზად მივიჩნევ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომლის საქმიანობა კონცენტრირებული იქნება გენოციდზე და განსაკუთრებით კი, მის მსხვერპლებზე გააკეთებს აქცენტს, რათა რესტიტუციული ნაბიჯები გადადგას დაზარალებულთა სასარგებლოდ. ჩემი აზრით, გაეროს 1948 წლის გენოციდის დანაშაულის დასჯისა და პრევენციის კონვენცია თავის პოტენციალს ბოლომდე ვერ იყენებს, რადგანაც პრევენციური ნაბიჯების გადაუდგმელობა და გენოციდის მხოლოდ აღიარება სიტუაციის გამოსწორების რეალურ გზად არ შეიძლება ჩაითვალოს. ასევე მიმაჩნია, რომ ახალგაზრდული სექტორის აქტივობები დიდად დაეხმარება ამ გლობალური პრობლემის დაძლევაში, რადგანაც სწორეს მას შესწევს უნარი, სისტემური ცვლილებები შეიტანოს გლობალურ პოლიტიკაში და ახალი ხედვით გაუმკლავდეს სხვადასხვა მოვალეობას.

საბოლოო ჯამში, იმედს გამოვთქვამ, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება; დევნილი მოსახლეობა, რომელიც პროცენტულად საკმაოდ დიდ წილს წარმოადგენს, დაუბრუნდება საკუთარ საცხოვრებელ ადგილს და დანაშაულები მიმართ ამუშავდება სამართლებრივი დევნის მექანიზმები, რადგან, ჩემი აზრით, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამართლება ყოველად დაუშვებელია. მტკიცედ მჯერა, რომ ჰააგის და სხვა საერთაშორისო სასამართლოები თუ ორგანიზაციები ობიექტურად შეისწავლიან სიტუაციას და დევნილ მოსახლეობაში სამართლიანობის ნაპერწკალს გააღვივებენ, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას მოხმარდება.

აკაკი ჩალათაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Funk, T. Marcus (2010). *Victims' Rights and Advocacy at the International Criminal Court*. Oxford, England: Oxford University Press. p. [1]. ISBN 0199737479.
2. Staub, Ervin. *The Roots of Evil: The Origins of Genocide and Other Group Violence*. Cambridge, UK: Cambridge University Press. p. 8. ISBN 0-521-42214-0.
3. Council of Europe Parliamentary Assembly Resolution, April 24, 1998.
4. Theriault, Henry (May 6, 2010). "The Global Reparations Movement and Meaningful Resolution of the Armenian Genocide". *Armenian Weekly*.
<http://www.armenianweekly.com/2010/05/06/reparations-2/>. Retrieved May 11, 2010.
5. Niewyk, Donald L. *The Columbia Guide to the Holocaust*, Columbia University Press, 2000, p.45: "The Holocaust is commonly defined as the murder of more than 5,000,000 Jews by the Germans in World War II." Also see "The Holocaust", *Encyclopædia Britannica*, 2007: "the systematic state-

sponsored killing of six million Jewish men, women and children, and millions of others, by Nazi Germany and its collaborators during World War II. The Germans called this "the final solution to the Jewish question".

6. Niewyk, Donald L. and Nicosia, Francis R. *The Columbia Guide to the Holocaust*, Columbia University Press, 2000, pp. 45-52.
7. Des Forges, Alison (1999). *Leave No One to Tell the Story: Genocide in Rwanda*. Human Rights Watch. ISBN 1-56432-171-1. <http://www.hrw.org/reports/1999/rwanda>. Retrieved January 12, 2007.
8. European Court of Human Rights – Jorgic v. Germany Judgment, 12 July 2007. § 47
9. Budapest Declaration and Geneva Declaration on Ethnic Cleansing of Georgians in Abkhazia between 1992-1993 adopted by the OSCE and recognized as ethnic cleansing in 1994 and 1999
10. The Guns of August 2008, Russia's War in Georgia, Svante Cornell & Frederick Starr, p 27
11. Anatol Lieven, "Victorious Abkhazian Army Settles Old Scores in An Orgy of Looting, THE Times, 4 October, 1993
12. In Georgia, Tales of Atrocities Lee Hockstader, International Herald Tribune, 22 October 1993
13. The Human Rights Field Operation: Law, Theory and Practice, Abkhazia Case, Michael O'Flaherty
14. The Politics of Religion in Russia and the New States of Eurasia, Michael Bourdeaux, p. 237
15. Managing Conflict in the Former Soviet Union: Russian and American Perspectives, Aleksei Georgievich Arbatov, p. 388
16. On Ruins of Empire: Ethnicity and Nationalism in the Former Soviet Union Georgiy I. Mirsky, p. 72
17. Freedom in the World: The Annual Survey of Political Rights and Civil Liberties by Roger Kaplan, p 564
18. Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus, p 174
19. The Politics of Religion in Russia and the New States of Eurasia, by Michael Bourdeaux, p. 238
20. . Resolution of the OSCE Budapest Summit, OSCE, 1994-12-06
21. A/RES/62/249, A/62/PV.97
22. Abkhazia Today. *The International Crisis Group. Europe Report N°176 – 15 September 2006*, page 23.
23. Quote by Vitaliy Smyr, "Komsomolskaya Pravda" December 19, 1992, p.2
24. . List of killed and missing Georgian Military Servicemen, Ministry of Defence of Georgia, 17 October 2008
25. UNHCR secures safe passage for Georgians fearing further fighting, UNHCR, 15 August 2008
26. **Polish**) 100 tys. przemieszczonych z powodu konfliktu w Gruzji, Polska Agencja Prasowa, 12.08.2008 "Russia trains its missiles on Tbilisi". *The Australian*. 2008-08-19.
27. Russia trains its missiles on Tbilisi". *The Australian*. 2008-08-19. <http://www.theaustralian.news.com.au/story/0,25197,24203940-2703,00.html>.

აკაკი ჩალათაშვილი

**მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული – გენოციდი
რეზიუმე**

თემა ეხება გენოციდის საკითხს მთელ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში. განხილულია წყაროები, რომლებიც ზუსტად საზღვრავს ამ პრობლემის მნიშვნელობას. თემაში მოყვანილია მსოფლიოში გენოციდის ყველაზე ცნობილი ფაქტები და გაანალიზებულია მათი შედეგები. წყაროებზე დაყრდნობით მოხსენიებულია ამ დანაშაულის ფაქტები აფხაზეთში და სამაჩაბლოში. გამოთქმულია რეკომენდაციები პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

**Преступление совершенное против мира — геноцид
Резюме**

Геноцид – истребления отдельных групп населения по расовым, национальным или религиозным мотивом, одна из тяжких преступлений против человечества. В теме, проведен анализ причин распространения данного преступления. Автором они закреплены наиболее известными фактами, в частности имевшим место в Абхазии и Самачабло (Южной Осетия). Автор вкратце излагает основные рекомендации и предложения для решения этой проблемы.

**Genocide - Crime against Peace
The Summary**

The article concerns genocide in the world and notably in Georgia. Author had discussed various sources and gave clear definition of the term. Also, here are given divulged examples of the crime against humanity in certain countries and are analysed their results. Accordingly, are given facts of genocide in parts of Georgia - in Abkhazia and Samachablo (South Ossetia). Finally, author gave several recommendations in order to solve the problem.

გენოციდი - კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული
დანაშაული

აღბათ ყველას გვახსოვს ფაშისტური გერმანიის ქმედებები II მსოფიო ომის დროს, როდესაც ფაშისტური გერმანია ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით და ბრძანებით ახორციელებდა ებრაელების “წმენდას”. აღნიშნულ ქმედებას შეეწირა მილიონობით ებრაელის სიცოცხლე, მათ სასტიკად გაუსწორდნენ ეროვნული კუთვნილების გამო. ჰიტლერის რეჟიმს ასევე შეეწირა უამრავი პოლონელის და საბჭოთა ხალხის სიცოცხლე. აღნიშნული მასობრივი განადგურების ფაქტის გამოვლენამ გამოიწვია ნიურბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ჩამოყალიბება, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე. გერმანელი ნაცისტების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად ქ. ნიურბერგში გაიმართა სასამართლო პროცესი, რომლის წინაშეც წარსდგა ფაშისტთა 24 ლიდერი. ტრიბუნალის შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნული ოთხი მოსამართლე და მათი მოადგილეები, ბრალდებას მხარს უჭერდა ათი მთავარი ბრალმძებელი. გერმანიის ხელმძღვანელობას ბრალს დებდნენ შეთქმულებაში აგრესიული ომის მომზადებასა და წარმოებაში, ასევე პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში. პირველად იქნა აღიარებული აგრესია, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ როგორც რიგით ფიზიკურ პირებს ისე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. 1945 წლის ნიურბერგის პროცესზე გენოციდი განმარტებულია როგორც “სამოქალაქო მოსახლეობის რასობრივი, ან ეროვნული ჯგუფების წინასწარგანზრახული და სისტემატური მოსპობა ერების და ხალხების გარკვეული რასების ან ფენების, რასობრივი და რელიგიური ჯგუფების განადგურების მიზნით”. 1948 წლის 9 ოქტომბრის კონვენციამ რომელიც გენოციდის დანაშაულის პრევენციას და დასჯას ეხებოდა, გენოციდი აღიარა როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. ორმოცდაათწლიან პერიოდშია ამ კონვენციას 150-მდე სახელმწიფო შეუერთდა, რაც დამერწმუნებით არცთუ სახარბიელო სტატისტიკაა. ამის მიზეზად მიჩნეულია სახელმწიფოებისათვის კონვენციით დაკისრებული ვალდებულების სიმძიმე რაც სახელმწიფო მეთაურთა ჩათვლით გენოციდში ეჭვიმტანილ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას და ექსტრადაციას გულისხმობს. ამ კონვენციის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ის პრონციპები რომელზეც ეს კონვენციაა დაფუძნებული ცივილიზებულ ერთა მიერ ყოველი სახელმწიფოსათვის სავალდებულო პრინციპებადაა მიჩნეული. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1992 წელს შეუერთდა

1948 წლის კონვენციას წინ უსწრებდა 1946 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის მიღება რომელიც გენოციდს საერთაშორისო სამართლის დანაშაულად აღიარებდა და ფიზიკურ პირებს მისი ჩადენის შემთხვევაში გარდაუვალი სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ აცნობებდა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ გენოციდის კონვენციამ აღიარა პირველად, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ჩადენილი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, იძენს საერთაშორისო მნიშვნელობას და იწვევს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

1948 წლის კონვენციის შესაბამისად , ხელშემკვერელი მხარეები ადასტურებენ რომ გენოციდი მიუხედავად იმისა მშვიდობიან პერიოდში იყო იგი ჩადენილი თუ ომიანობის დროს, არის ის დანაშაული რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს და რომ სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას , მიიღონ შესაბამისი ზომები მის თავიდან ასაცილებლად და მის ჩამდენ პირთა დასასჯელად.

1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ დაარსა ტრიბუნალი №827 რეზოლუციის საფუძველზე , რომლის იურისდიქციაც გაეროცელდა გენოციდის დანაშაულზე.

1994 წლის უშიშროების საბჭოს რეზოლუციით რუანდისათვის შექმნილმა ტრიბუნალმა გენოციდს “დანაშაულთა დანაშაული” უწოდა.

უპირიანი იქნება თუ განვმარტავთ ტერმინ “გენოციდს” იგი ბერძნულ-ლათინური ტერმინია. “გენოციდი” ბერძნული **genos-** იდან და ლათინური **caedere-**დან წარმოდგება. სიტყვა **genos** ბერძნულად რასას, ერს ან ტომს ნიშნავს, ხოლო სიტყვა **caedere** მოკვლას, მკვლელობას. ეს ტერმინი საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ცნობილმა მკვლევარმა რაფაელ ლემინკმა დაამკვიდრა.

გენოციდის კონვენციის II მუხლის თანახმად გენოციდად ითვლება რომელიმე ეთნიკური, ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის, მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის განზრახვით ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

- ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
- ბ) ასეთი ჯგუფის წევრთათვის სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება;
- გ) ამ ჯგუფთაგან რომელიმე ლემინკის მიზანმიმართულად ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მათი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისაკენაა მიმართული;
- დ) ასეთ ჯგუფში შობადობის შესამცირებლად სპეციალური ზომების მიღება;
- ე) ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაადგილება.

კონვენციის III მუხლის შესაბამისად დასჯადი ქმედებებია:

- ა) გენოციდი;
- ბ) შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით;
- გ) პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩასადენად;
- დ) გენოციდის ჩადენის მცდელობა;
- ე) გენოციდში თანამონაწილეობა.

ჯგუფებზე საუბროსას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საუბარია არა მარტო უმცირესობათა ჯგუფებზე, არამედ იმ ჯგუფებზეც, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ. გენოციდის კონვენციაში ჩამოთვლილი 4 ჯგუფიდან, რომელიმე ერთი ჯგუფისადმი პირთა კუთვნილების ობიექტურად დადგენა, ხშირად ბევრ სირთულესან არის დაკავშირებული. მისი მაგალითია 1994 წლის ჰუტუსების მიერ ტუტსების წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდი.

არსებობს მოზახრება, რომ დამნაშავე თავად ანიჭებს გენოციდის კონვენციით დაცული ჯგუფის წევრის სტატუსს ინდივიდუალურ მსხვერპლს. მაგრამ კანონი ვერ დაუშვებს დანაშაულის განსაზღვრას მხოლოდ დამნაშავეს მიერ ,

აუცილებელია დადგინდეს ხსენებული 4 ჯგუფის ობიექტურად არსებობის ფაქტი.

დანაშაული დამთვარებულად ითვლება კანონში ჩამოთვლილი გენოციდის შემადგენელ ნაწილად მიჩნეული მოქმედებების შედეგების დადგომისთანავე.

გენოციდის კონვენციაში განსაზღვრული ხუთი ქმედებიდან სამი მოითხოვს დანაშაულებრივი ქმედების დადგომას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამ შემთხვევაში როდესაც შედეგი დანაშაულის ელემენტს წარმოადგენს, ბრალდებულის მიმართ შეიძლება გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩადენის მცდელობისთვის, იმ შემთხვევაშიც როდესაც თავად შედეგი არ დასტურდება. ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს ასევე საეთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტე, რომლის თანახმადაც სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს და დაისჯება თუ იგი აღნიშნული დანაშაულის ჩადენას შეეცდება ისეთი ქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას იმ შემთხვევაში თუ დანაშაული ბილომდე არ იქნა მიყვანილი პირის მიზნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასევე აღსანიშნავია ის, რომ პირი რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად შეუშლის ხელს მის ბოლომდე მიყვანს, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის ამ წესდებით, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით იტყვის უარს დანაშაულებრივ ქმედებაზე.

გენოციდის კონვენცია დანაშაულის უშუალო ამსრულებელთა გარდა პასუხსმგებლობას აწესებს დანაშაულის თანამონაწილეებისათვისაც.

აღსანიშნავია, რომ გენოციდი უნდა განხორციელდეს განზრახ ან შეგნებულად. საუბარია სპეციფიკურ ან პირდაპირ განზრახვაზე. ასეთი განზრახვის არარსებობის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა გენოციდის დანაშაულთან, არამედ დევნაში გამოხატულ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან.

აუცილებელია გენოციდზე საუბრისას ერთმანეთისგან გავმიჯნოთ განზრახვა და მოტივი, რადგან გენოციდის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს მაგალითად პოლიტიკური უპირატესობის მოპოვება. გენოციდის კონვენციაში არ არის საუბარი გენოციდის ჩადენისას რაიმე გეგმის არსებობის აუცილებლობაზე, მაგრამ საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკამ ნათელყო დანაშაულის განსაზღვრის დროს ასეთი გეგმის არსებობის დადასტურების საჭიროება. ასევე უნდა აღვნიშნოთ რომ გენოციდის დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. უცილებელია, რომ გენოციდის ხუთივე აქტი მიმართული უნდა იყოს ორი ან მეტი პირის წინააღმდეგ.

გენოციდის ობიექტური მხარის განმარტება სხვადასხვაგვარია, ამ დარგის სპეციალისტი ა.ნ. ტრაინინი წერდა, რომ შეიძლება განვასხვაოთ გენოციდისსამი სახე: 1) ფიზიკური, როდესაც უშუალოდ ადამიანთა ფიზიკური განადგურება ხდება; 2) ბიოლოგიური, როდესაც საქმე ეხება ადამიანის გაჩენის საწინააღმდეგო ზომების განხორციელებას; 3) ნაციონალურ-კულტურული, როდესაც საქმე ეხება ნაციონალური კულტურის განადგურებას.

ობიექტურ მხრივ დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ ერთი მომენტიც აღსრულდა მათგან რაც დისპოზიციაში არის მოცემული. კერძოდ: ადამინათა ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება ეროვნული რასობრივი ეთნიკური ან რელიგიური ნიშნის მიხედვით; ადამინათა გარკვეული ერთიანობის, ჯგუფის სხეულის მიმე დაზიანება იგივე ნიშნის მიხედვით; შობადობის იძულებით შემცირება, ბავშვების ძალით გადაცემა მშობლიური ეროვნებიდან სხვა ერებზე, რათა ისინი გაითქვიფონ სხვა ტრადიციებში, ზნეჩვეულებებში, რელიგიაში და დაივიწყონ საკუთარი.

კაცობრიობის ისტორიას ახსოვს გენოციდის ფაქტები რომელიც დაკავშირებული იყო რელიგიურ საფუძველთან ასევე რასისტულ განზრახვებთან პოლიტიკურ მოტივებთან. ასეთი ნათელი მაგალითი არის სომხების ხოცვა-ჟლეტვა თურქების მიერ. არ იქნება სწორი ცოტას თუ არ ვისაუბრებთ ამ ფაქტის შესახებ.

1895-1896 წლებში თურქი სულთნის მიერ პროვოცირებული იქნა სომხური მოსახლეობის განადგურება რის შედეგადაც დაიღუპა 100-დან 200 ათასამდე სომეხი. სომხური საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად 1909 წლის 31 მარტს ადანის ვალის ხელმძღვანელობით ჩატარდა გუბერნიის სხდომა, რომელზეც მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: სომხები უნდა გაენადგურებინათ. 1914 აგვისტოში თურქეთის I მსოფიო ომში ჩაბმამ მათ უნიკალური შანსი მისცა სომხების საბოლოოდ გასანადგურებლად. გენოციდის ერთ-ერთი ორგანიზატორის ტაალატ ფაშას მოთხოვნით სიტყვა სომეხიც კი სამუდამოდ უნდა გამქრალიყო.

სომეხი მოსახლეობის გენოციდის დღედ მიჩნეულია 1915 წლის 24 აპრილი, როცა “ახალგაზრდა სომეხების” მმართველებმა, ბრძანეს მთელი სომხური ინტელიგენცია სტამბულში შეეკრიბათ და შემდეგ გადაესახლებინათ. მათი უმრავლესობა იმავდღეს დახოცეს. 1915 წლის 24 აპრილს დაიწყო კონსტანტინეპოლში სომეხი ინტელექტუალური, რელიგიური, ეკონომიური და პოლიტიკური ელიტის მასობრივი დაკავება. დაკავებულთა რიცხვში მოხვდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის და პროფესიის ხალხი. ერთადერთი რამ რითაც ისინი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი ეს იყო ეროვნება და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

სომხური მოსახლეობის განადგურება გრძელდებოდა 1918 წლის სექტემბრამდე. ბოლო სამიწლის მანძილზე დაიღუპა 1,5 მილიონზე მეტი სომეხი დანარჩენი კი გაიქცა ან გადაასახლეს. ერთ მილიონზე მეტი სომეხი გაიფანტა მთელ მსოფლიოში.

სომხების გენოციდი აღიარებულია ბევრი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნული ფაქტი პირველმა ოფიციალურად უნგრეთმა აღიარა. 1984 წელს ჰააგის საერთაშორის ტრიბუნალმა, 1987 წელს ევროკავშირმა, გაერომ და ა.შ.

სომხეთის გენოციდი ოფიციალურად აღიარეს საფრანგეთმა იტალიამ, გერმანიამ, რუსეთმა, შვეიცარიამ, პოლონეთმა, საბერძნეთმა და სხვა მრავალმა სახელმწიფომ. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სომხეთის გენოციდის ფაქტის უარყოფის გამო. აშშ-ში 50 შტატიდან 40-მა 24 აპრილი დააწესა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ხსენების დღედ. მსგავსი გადაწყვეტილება მიიღეს უელსმა და ავსტრალიამ. ზემოთ განხილულ ფაქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ

დღევანდელი თურქეთი კატეგორიულად უარყოფს ისტორიულ ფაქტს სომეხთა გენოციდის შესახებ.

რაც შეეხება გენოციდის საკითხს საქართველოს კანონმდებლობაში იგი განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის 407-ე მუხლში. მისი დისპოზიცია მდგომარეობს შემდგომში: გენოციდი ესე იგი ქმდება ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად, რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში.

გენოციდი – კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით თორმეტიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

როგორც ვხედავთ შინაარსობრივი განსხვავება გენოციდის განმარტებში შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო ნორმებში მის განმარტებას შორის არ არის. აღნიშნული დანაშაული ობიექტურ მხრივ იგივეა, იგივეა ასევე სუბიექტები და სუბიექტური მხარეც ანუ პირდაპირი განზრახვა.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე თავისი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული გენოციდი არის არა მხოლოდ ამ ქვეყნის იურისდიქციის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის საფუძველიც. გენოციდის შემთხვევაში ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც მოახდინა ზემოთ განხილული კონვენციის რატიფიცირება, შეუძლია მიმართოს გაეროს შესაბამის ჩარევის თხოვნით.

მიუხედავად იმისა რომ კონვენცია საყოველთაოდაა აღიარებული გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ, მისი ეფექტურობა სამწუხაროდ მინიმალურია. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნამდე კონვენცია ყოველთვის იქნება შეზღუდული.

და ბოლოს მინდა ავღნიშნო, რომ გენოციდი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დანაშაულის სახე და ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მომავალში გენოციდის ფაქტების აღმოფხვრისათვის აუცილებელია მსოფლოს ყველა სახელმწიფოს როგორც ერთობლივი ასევე ინდივიდუალური, მიზანმიმართული და დაუზოგავი ბრძოლა. რათქმაუნდა ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად და მათი დახმარებით. ამ უკანასკნელთა მიერ კი კიდევ უფრო მეტი პრევენციის გატარებაა აუცილებელი გენოციდის ფაქტების აღმოფხვრის, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში შემცირებისათვის მაინც.

რუსუდან მეფარიშვილი

გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდარ თოფურიძე , ზვიად ცაგარეიშვილი – საერთაშორისო სისხლის სამართალი; თეორია და პრაქტიკა; ქ. თბილისი; 2003 წელი.
2. 1948 წლის კონვენცია " გენოციდის პრევენციის და დასჯის შესახებ".
3. <http://ka.wikipedia.org>
4. ჯემალ ჯანაშიას სალექციო კურსი
5. <http://www.nplg.gov.ge>
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
7. ზაურ მჟავანაძე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი კომენტარები.
8. ფრიდონ საყვარელიძე – ადამიანის უფლებათა ლექსიკონი ქ.თბილისი 1999 წელი

რუსუდან მეფარიშვილი

გენოციდი -კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული რეზიუმე

ნაშრომი ეხება საერთაშორისო დანაშაულის ერთ-ერთ სახეს, კერძოდ “გენოციდს”. ნაშრომში განხილულია დანაშაულის განვითარების ეტაპები, მისი შემადგენლობა და სამართლებრივი რეგულირების ფორმები. აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე თავისი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული გენოციდი არის არა მხოლოდ ამ ქვეყნის იურისდიქციის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის საფუძველიც. აქვე ნათქვამია, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კონვენცია საყოველთაოდაა აღიარებული გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ, მისი ეფექტურობა სამწუხაროდ მინიმალურია და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნამდე კონვენცია ყოველთვის იქნება შეზღუდული.

Русудан Мепаришвили

Геноцид - преступление против человечества Резюме

Данная статья посвящается одному из видов международных преступлений – геноциду. В статье рассмотрены этапы развития этого преступления, его состав, а также формы его правового регулирования. Там же указано, что совершения государством на своей территории факта геноцида дает международному сообществу право на вмешательство. Несмотря на то, что соответствующая конвенция признана государствами-членами ООН, ее применение будет ограничено до создания международного уголовного суда.

Rusudan Mefarishvili

Genocide - crime against humanity The Summary

This article is dedicated to the worst types of international crime - genocide. The paper considers development stages of this crime, its composition, as well as form of its legal regulation. There's also pointed out that domestic genocide entitles International Community the right to intervene. Author argues, that despite the fact of having specific convention recognized by UN member states, its use will be limited until establishment of an International Criminal Court.

ტერორიზმი – საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული

XX საუკუნეში მსოფლიო სამჯერ დაიყო ორ ურთიერთ დაპირისპირებულ ბანაკად. შედეგად მოხდა ორი მსოფლიო ომი, რომელმაც ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მესამე “ცივი ომი”, რომელსაც შესაძლოა გაცილებით მეტი მსხვერპლი მოეტანა.

სამწუხაროდ, მსოფლიო XXI საუკუნეშიც ვერ აცდა გლობალური მასშტაბის ომის საფრთხეს, რომელსაც დღეს მას ტერორიზმი და ტერორისტული ორგანიზაციები უქმნიან. ამის ნათელი მაგალითია 2001წ. 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტი, რომელმაც გამოავლინა, რომ ტერორიზმისაგან არც ერთი სახელმწიფო არ არის დაცული, ისეთი ძლიერიც კი როგორც ამერიკაა.

ტერორიზმის განსაზღვრება მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. თუმცა დღეისათვის არ არის ჩამოყალიბებული მისი ერთი, საყოველთაოდ გავრცელებული განსაზღვრება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე უხლი განმარტავს ტერორისტული აქტის მნიშვნელობას: “აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით”.

თავად ტერინი “ტერორიზმი” პირველად გაიხმა 1795 წელს, პოსტრევოლუციურ საფრანგეთში, ე.წ “ტერორით მმართველობის” პერიოდში. XIX საუკუნის დასაწყისში, ჩამოყალიბდა ტერორიზმის ახალი ტიპი, რომელმაც ანტი-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. მისი ძირითადი მიმდევარი იყო იტალიელი რესპუბლიკელი კარლო პისაკანე, რომელმაც ჩამოაყალიბა თეორია “პროპაგანდა მოქმედებით”. მისი აზრით, ძალადობა საჭირო იყო არა მარტო ყურადღების მიქცევისა და საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, არამედ მასების ინფორმირებისა და განათლებისათვისათვის. პირველი ორგანიზაცია, რომელმაც პრაქტიკაში გაატარა პისაკანეს დებულება, იყო 1878 წელს რუსეთში დაფუძნებული “ნაროდნაია ვოლია”, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ტერმინი “ტერორიზმი” წარმოდგება ლათინური სიტყვიდან “ტერორი”, რაც ნიშნავს “შიშს”, “ძრწოლას”. თანამედროვე ტერორიზმის ნიშანთვისებებიდან აღსანიშნავია ის, რომ იგი ტრანსნაციონალური მოვლენაა. ტერორისტული ჯგუფები სხვადასხვა ეროვნების ინდივიდებისაგან შედგებიან, რომლებიც მოქმედებენ უამრავ ქვეყანაში. ეს ფაქტი პირველ რიგში განპირობებულია მიგრაციის პროცესებით. ტერორისტების უმრავლესობას სწორედ მიგრანტები წარმოადგენენ, რომლებიც საზოგადოების გარკვეულ ქვეჯგუფებს ქმნიან და ცდილობენ ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსი უფლებების მოპოვებას, ანდა ტერიტორიული დამოუკიდებლობის მიღებას.

რაც შეეხება ტერორისტულ ორგანიზაციებს, XXI საუკუნეში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია ალ-ქაიდას (არაბულად ნიშნავს “საფუძელს”, “ბაზას”) ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია ძირითადად

ახორციელებდა მებრძოლებების წვრთნასა და ავღანეთში მათ გადაყვანას. აღ-ქაიდას ხელმძღვანელ პირს წარმოადგენს ოსამა ბენ ლადენი. 1992 წლის დეკემბერში, იემენის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც იმყოფებოდა ამერიკული ჯარის ნაწილი, აფეთქდა ბომბი. დაიღუპა ორი ავსტრიელი ტურისტი. ამერიკული სპეცსამსახურების ინფორმაციით ეს იყო პირველი ტერაქტი ბენ-ლადენის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ტერაქტს მოჰყვა კიდევ ბევრი სხვა ტერორისტული აქტი, რომელსაც შეეწირა უამრავი ადამიანი. 1998 წელს ბენ ლადენმა ინტერვიუ მისცა აშშ-ს სამაუწყებლო არხის კორესპოდენტს. ინტერვიუში იგი რამდენჯერმე იმეორებს ფრაზას: “ყველა ამერიკელი უნდა მოკვდეს”. ინტერვიუ სკანდალური რეზონანსი გამოიწვია აშშ-ში, ხოლო ოსამამ აშშ-ს №1 მტრის სახელი დაიმკვიდრა. ამერიკამ ბენ ლადენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე, ან მის შეპყრობაზე 5 მლნ. დოლარი ჯილდო დააწესა.

ბინ ლადენის გეგმებში შედის გაერთიანებული ისლამური სახელმწიფოს შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შევიდეს აზიის, აფრიკის და ევროპის 50-მდე ქვეყანა. ამ გეგმის განხორციელების უპირველეს მიზანს წარმოადგენს არაბული სამყაროს განთავისუფლება ამერიკული გავლენისაგან. 1990 წლებში ოსამამ კავშირი დაამყარა სხვადასხვა ტერორისტულ ჯგუფებსა და ტერორიზმის მხარდამჭერ სახელწიფოებთან და შექმნა ორგანიზაცია, რომელსაც 60-მდე ქვეყანასთან აქვს კავშირი. “აღ-ქაიდა”-ს უმთავრესი სამიზნეა ამერიკა. “ამერიკელები წმინდა მიწას შეურაცხყოფენ. დღეისათვის ურწუნოები იმყოფებიან მუჰამედის წმინდა მიწაზე”- თვლის ბინ ლადენი. აღ-ქაიდა მოწყობილია პოლიტიკური პარტიის სტრუქტურის პრინციპით. ეს სტრუქტურა შემდგენაირად მოქმედებს: ორგანიზაციის სათავეში დგას ბენ ლადენი, რომლის სიკვდილის ან დაპატიმრების შემთხვევაში ადგილს დაიკაავებს სიაში მყოფი მომდევნო პირი. ბენ ლადენს ჰყავს საკონსულტაციო საბჭო “მაჯლის აღ შურა”, რომელიც ღებულობს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ამ საბჭოს ექვემდებარება ოთხი კომიტეტი. პირველია სამხედრო კომიტეტი, რომელსაც ევალება ოპერაციის ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება, როგორცაა ვიზები, პასპორტები. მეორეა ფინანსური კომიტეტი, რომლის ვალდებულებაშიც შედის ორგანიზაციის არსებობისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვა. მესამე კომიტეტი არის რელიგიური, რომელსაც ევალება ჩადენილი ქმედებების “შარიას კანონების” მიხედვით გამართლება. ხოლო - მასმედიის კომიტეტს ევალება “აღ-ქაიდას” მხარდასაჭერი ინფორმაციის გავრცელება. ტერორისტული აქტის მომზადებაში ჩართული პირები ერთმანეთს არ იცნობენ და არც ინფორაციას ფლობენ ერთმანეთის შესახებ. ამის მისაღწევად, ტერორისტული ორგანიზაცია დაყოფილია მცირე ზომის უჯრედებად, რომელშიც მხოლოდ ერთი იცნობს ერთ რომელიმე პიროვნებას მეორე უჯრედში. პირამიდის მთლიანი აგებულება იცის მხოლოდ ორგანიზაციის სათავეში მყოფმა რამდენიმე ადამიანმა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციათა რიგებიდან აღსანიშნავია “ჰებზოლას” შიიტურ-ისლამური რადიკალური ორგანიზაცია. (არაბულად ნიშნავს “ალაჰის პარტიას”) 80-იან წლებში “ჰებზოლა” შეიქმნა ირანული რევოლუციის გამოცდილების შემსწავლელ ჯგუფად. ლიბანში ისრაელის ჯარის შეჭრის შემდეგ, იგი გარდაიქმნა რადიკალურ შიიტურ ორგანიზაციად, რომელიც იზიარებდა ირანული რევოლუციის ლიდერების იდეებს, ისრაელისთვის გაეწიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა მანამ, სანამ არ მოხდებოდა პალესტინის სრული განთავისუფლება. პირველი ტერორისტული აქტი

1983 წლის 23 ოქტომბერს ლიბანში მყოფი ფრანგი და ამერიკელი სამშვიდობო კონტიგენტის წინააღმდეგ განახორციელეს, სადაც დაახლოებით 300 სამხედრო პირი დაიღუპა. ორგანიზაციას ჰყავს ლიდერი ჰასან ნასრაღა. ორგანიზაცია შედგება საკონსულტაციო საბჭოსგან, რომელსაც ქმნის 12 რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო პირი. “ჰეზბოლა” მოსახლეობის დიდი ხმარდაჭერით სარგებლობს. მას ლიბანში გააჩნია სკოლები და საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კლინიკები, ასევე გააჩნია საკუთარი პრეს-სამსახური. მას ეკუთვნის ტელევიზია “ელ-მანარი”, ასევე რამდენიმე რადიო სადგური, ინტერნეტის საიტები და გაზეთები.

ასევე მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს “ჰამასი”. “ჰამასი” (არაბულად “ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა”) არის პალესტინურ ისლამისტური მოძრაობა, პოლიტიკური პარტია და ტერორისტული ორგანიზაციაა. მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის აბდელ აზიზ ალრანთისის განცხადებით, მოძრაობის მიზანს წარმოადგენს “ისრაელის მოშორება რუკიდან”. “ჰამასის” მიერ თვითმკვლელი ბომბების გამოყენება პირველად 1993 წლის 16 აპრილს განხორციელდა.

ამ პოტენციურ თვითმკვლელებს, რომელთა ასაკიც 12-დან 17 წლამდე მერყეობს, გააჩნიათ მტრის დიდი სიძულვილი და ამოძრავებთ სამაგიეროს გადახდის სურვილი. ეს ახალგაზრდები წლების განმავლობაში “ჰამასის” მეჩეთში ისმენენ ლოცვასა და შეგონებებს, რომლების მოუწოდებენ ღმერთის სახელით ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლას, რის შემდეგაც ისინი როგორც მოწამეები, ზეცაში მოხდებიან. “ჰამასი” ისრაელს სახელმწიფოდ არ მიიჩნევს და ყველა მუსულმანის ვალად თვლის ისრაელის ტერიტორიაზე მუსულმანური სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლას.

ასევე აღსანიშნავია კამიკაძეები, რომლებიც ტერორისტული იდეებისათვის თავს წირავენ. ტერორიზმის ფსიქოლოგები კამიკაძეებს უმუშავენ სიცოცხლისა და სიკვდილისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, უვითარებენ მაღალი იდეებისათვის თავგანწირვის გრძნობებს, უვითარებენ იმის აღქმას რომ თუ ის ტერაქტს განახორციელებს, ის მოხვდება სამოთხეში, უმუშავენ მტრისადმი ზიზღს, ეს ყველაფერი კი ეხმარება მას შეიწირისოს უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე.

ყველა ზემოთ მოყვანილი ტერორისტული ორგანიზაციები წარმოადგენენ რელიგიური ტერორიზმის მიდევრებს, რომელიც ყველაზე საშიშ ტერორისტულ სახეობებს წარმოადგენს.

ტერორისტული აქტებიდან აღსანიშნავია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი. ტერორისტების ოთხმა განცალკევებულმა ჯგუფმა, სულ 19 ადამიანმა, გაიტაცეს 4 ავიალაინერი. ერთი ავიალაინერი შეეჯახა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ჩრდილოეთ ფრთას ნიუ-იორკში, მეორე სამხრეთ ფრთას, მესამე შეეჯახა პენტაგონს, ხოლო მეოთხე მათგანის შემთხვევაში, მგზავრები მიხვდნენ ტერორისტების ჩანაფიქრს და შეეცადნენ მათთვის წინააღმდეგობის გაწევას, რის შედეგადაც ავიალაინერი ჩამოვარდა. ამ ტერორისტულმა აქტმა სულ მცირე 2986 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აღნიშნული ტერაქტის განხორციელების პასუხისმგებლობა ამერიკის მთავრობამ ოსამა ბენ ლადენსა და მის ორგანიზაცია “ალ-ქაიდას” დააკისრა.

11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ პრაქტიკულად მთელი მსოფლიო გაერთიანდა აშშ-ს ირგვლივ საერთაშორისო ტერორიზმის

დასამარცხებლად. როგორც გაერო, ისე ნატო ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს მსოფლიოს №1 ტერორისტი ბენ ლადენის და მისი ორგანიზაციის “ალ-ქაიდას” წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას. ავღანეთში აშშ-ს ინტერვენცია 2001 წლის ოქტომბერში განხორციელდა. შეჭრის ოფიციალური მიზეზი იყო “ალ-ქაიდას” წევრების აღმოჩენა და ავღანეთში თალიბების რეჟიმის დასჯა, რომელიც “ალ-ქაიდას” უწევდა დახმარებას. ავღანეთში სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე, აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თალიბებს ულტიმატუმი წაუყენა, რომ გადაეცათ ამერიკისათვის ავღანეთში მყოფი ალ-ქაიდას ლიდერები, მიეცათ აშშ-თვის ტერორისტთა ბანაკებში შეღწევის თავისუფლება, დაეხურათ ავღანეთში არსებული ტერორისტთა საწვრთნელი ბაზები და ა.შ. თალიბებმა კი უარი განაცხადეს პირდაპირ ეწარმოებინათ მოლაპარაკება ბუშთან და პაკისტანში არსებული საელჩოს მეშვეობით ამერიკისაგან მოითხოვეს მტკიცებულება ბენ ლადენის 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობის შესახებ, რათა შემდეგ იგი გასამართლებულიყო ისლამურ სასამართლოში. ბუშმა თალიბების წინადადება უარყო. 2001 წლის 7 ოქტომბერს ამერიკისა და ბრიტანეთის ჯარებმა დაიწყეს ავღანეთის საჰაერო დაბომბვა, შეუტყეს დედაქალაქ ქაბულს, სამხედრო ცენტრ ყანდალარსა და ტერორისტების საწვრთნელ ბაზებს ჯალალაბადში. აშშ-ს მთავრობა ეს დაბომბვა 11 სექტემბრის საპასუხო ქმედებად შერაცხა, მაშინ როდესაც თალიბებმა მათ “ისლამის წინააღმდეგ ომი” უწოდეს. თალიბების მიერ კონტროლირებადი ერთადერთი პუნქტი იყო ყანდალარი, რომელშიც 7 დეკემბერს აშშ-ს ჯარებმა კონტროლის დამყარება შეძლეს. თუმცა არც იქ იქნა აღმოჩენილი ბენ ლადენი. სავარაუდოდ მან უახლოეს მებრძოლებთან ერთად შეძლო პაკისტანში გადასვლა.

2003 წლისთვის თალიბებმა გამოაცხადეს ჯიჰადი (წმინდა ომი) ამერიკელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დაიღუპა 20.000-დან 49.000-მდე ადამიანი, მათ შორის 3700-დან 5000-მდე მშვიდობიანი მოსახლეობა ამერიკის მიერ განხორციელებულ დაბომბვას შეეწირა.

11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ, მსოფლიო დაინახა ის საფრთხე, რომელიც მომდინარეობს ტერორისტებისა და მათი ორგანიზაციების მიერ. ნათელი გახდა, რომ საჭიროა მათ წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით ბრძოლა და მომავალში ამგვარი აქტების თავიდან აცილება. ამისთვის კი საჭიროა ტერორისტების ადგილსამყოფელის დადგენა და მათზე პრევენციული შეტევების განხორციელება. ვინაიდან საფრთხე იმისა, რომ ტერორისტები თავიანთი მიზნების მისაღწევად ეცდებიან მასობრივი იარაღის ხელში ჩაგდებას და გამოყენებას, სულ უფრო რეალური ხდება. მართალია ავღანეთში წარმოებული ომი არ წარმოადგენს პრევენციული ომის მაგალითს, მაგრამ ის გვევლინება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო მაგალითად. ვინაიდან ამ სამხედრო კამპანიის შედეგად მოხდა თალიბების რეჟიმის დამხობა, ტერორისტების საწვრთნელი ბაზების გაუქმება და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ტერორიზმის წინააღმდეგ პრევენციული დარტყმის განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ძალზედ რთულია წინასწარ ინფორმაციის ფლობა დაგეგმილი ტერაქტის შესახებ. ინფორმაციის მისაღებად კი საჭიროა ტერორისტული ორგანიზაციების მმართველ ორგანოებში შეღწევა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს და მას უწევს უკვე მომხდარ ტერაქტზე რეაგირება.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, გაბატონებული რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკა, ხელისუფლებიდან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ჩამოშორება, მკაცრი კონტრლი მედიაზე, ყოველივე ეს ქმნის აუცილებელ პირობას მომავალი ტერორისტული აქტებისათვის. რა ახსნაც არ უნდა მოეძებნოს ტერორიზმს, ერთი რამ ცხადია: მისი საბოლოო მიზანია ქვეყნებს შორის პოლიტიკურ- ეკონომიკური და კულტურული კავშირების რღვევა, საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბვა, ხალხის ფართო მასების შიშისა და პანიკის დანერგვა და, საბოლოო ანგარიშში, ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია დამკვიდრდეს ტერორიზმისა და ტერორისტული აქტის ერთიანი განმარტება, რაც ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს კონკრეტული მიდგომა ამ საკითხისადი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტერორიზმს, როგორც ტრანსნაციონალურ დანაშაულს, გაიზარდოს მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების ინტენსიური თანამშრომლობის ხარისხი ამ მიმართულებით. ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც ტერორიზმი ადვილად იკიდებს ფეხს, მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა და განმტკიცება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქეთევან ბაუჟაძე

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სუდენტი

ქეთევან ბაუჟაძე

ტერორიზმი – საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ტერორიზმის განსაზღვრება, ისტორია და ძირითადი ტერორისტული ორგანიზაციები. აღნიშნულია, რომ ტერორიზმი და ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდგომ. აქცენტები გაკეთებულია რელიგიური ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციებს განხილვაზე (“ალ-ქაიდა”, “ჰეზბოლა” და “ჰამასი”). ავტორის აზრით, ყველაზე საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციებს რელიგიურ-ეკსტრემისტული დაჯგუფებები წარმოადგენენ, ვინაიდან მათი წევრებისათვის ყველაზე დიდ ფასეულებას წარმოადგენს იდეოლოგიური თუ რელიგიური მიზნები და მათ მისაღწევად ისინი საკუთარი სიცოცხლის ფანატიკურად გაწირვასაც კი არ ერიდებიან. ნაშრომში აგრეთვე განხილულია 11 სექტემბრის ტერაქტი და მის საპასუხოდ განვითარებული მოვლენები. საბოლოოდ კი მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, სადაც ხაზგასმულია პრევენციის სტრატეგიის მნიშვნელობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

Кетеван Баужадзе

**Терроризм — международное организованное преступление
Резюме**

Терроризм – наиболее опасное деяние влекших бессмысленную гибель людей, разрушенные здания и т.д. Особенно опасным является международный терроризм. Характерным примером международного терроризма автор приводит события 11 сентября 2001 года в Нью-Йорке и в Вашингтоне, А в конце темы делает конкретные правовые оценки отдельных террористических организации политического и религиозного характера, которыми являются Аль кайда, Хесболла, Хамас и другие.

Qetevan Baujadze

**Terrorism - International organized crime
The Summary**

Article describes terrorism as one of the most dangerous criminal activity, which leads to the loss of human lives and destruction of property. On international scale terrorism took advantage from 9/11, acts done then were typical form of religious and political terrorism – the wildest form of terrorism due to motivation of terrorists, who frequently blow themselves up for achieving goals. Article discusses the events of 9/11 and governmental activities done thereof in USA and worldwide. At the end, Author gives recommendations for confronting terrorism - stressing on the role of prevention measures.

ტერორიზმის გამოწვევები თანამედროვე საქართველოში

სიტყვა ტერორი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს შიშს, საშინელებას. ტერორიზმი 21-ე საუკუნეში თითქმის ყველა სახელმწიფოს №1 პრობლემადაა ქცეული, თუმცა მას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე მისი სამართლებრივი შეფასება და კრიმინალიზაცია მოხდებოდა. მოკლედ მიმოვიხილათ ტერორიზმის ისტორიას.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებამდე ტერორიზმი ხელისუფლებასთან ბრძოლის ერთ-ერთ ხერხადაც კი გამოიყენებოდა. ტერორს მიმართავდნენ სასახლის გადატრიალებისას, არასასურველი ხელისუფლების ჩამოგდებისას, ინკვიზიციის დროს, ტერორიზმი განსაკუთრების მძვინვარებდა რევოლუციების დროს.

რაც შეეხება თანამედროვე ტერორიზმს, 20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი მსოფლიოს სერიოზულ პრობლემად იქცა. იგი პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების იდეოლოგიების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ტერორი ნიშნავს დანაშაულს, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლების დაშინებასა და იძულებას, მასზე ზემოქმედებას. ტერორიზმის მიზეზებად ასახელებენ: ნეოკოლონიალიზმს, რასიზმს, აგრესიის პოლიტიკას, პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულობას, უსამართლობას, სეპარატიზმს, რელიგიურ ფანატიზმს და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ტერორიზმის შემდეგი დეფინიცია:

„ტერორისტული აქტი არის აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხალისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.“

სსსკ-ში განიხილება ტერორიზმთან დაკავშირებული შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებები: მუხლი 323 - ტერორისტული აქტი; მუხლი 324 - ტექნოლოგიური ტერორიზმი; მუხლი 324.1 - კიბერტერორიზმი; მუხლი 325 - საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა; მუხლი 326 - საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა; ასევე: მუხლი 327- ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა; მუხლი 328 - უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება; მუხლი 329 - მძევლად ხელში ჩაგდება ტერორიზმის მიზნით; მუხლი 330 - სტრატეგიული ან გასაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით; მუხლი 331- ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება.

ტერორიზმი საქართველოში №1 პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს პრობლემა ოდითგანვე არსებობდა საქართველოში. ტერორისტული აქტები,

დივერსიები და პროვოკაციები საქართველოში 1921 წლის დასაწყისში, საქართველოში „წითელი არმიის“ შემოსვლიდან დაიწყო.

1989 წლიდან მოყოლებული, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში არბევდნენ ქართველ მოსახლეობას, თავს ესხმოდნენ ავტობუსებს, რომლებითაც ქართველები მეზარობდნენ. ადრე ტერორისტული აქტები ძირითადად საქართველოს კომფლიქტურ რეგიონებში ხდებოდა. გამოძიება ადასტურებს, რომ ეს ტერორისტული აქტები რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაკვეთილი და შესრულებული იყო, რის შედეგადაც რუსეთმა მოახერხა საქართველოს კომფლიქტური რეგიონების ოკუპაცია.

საქართველოში 2003 წლიდან მოყოლებული ხორციელდებოდა ტერორისტული აქტები ცრუ შეტყობინებებით შენობაში ბომბის არსებობის შესახებ, აფეთქებებით და ა. შ.

2005 წლის 19 აპრილს საქართველოს პარლამენტში სამუშაო პროცესი რამდენიმე საათით შეწყდა მას შემდეგ, რაც პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან აცნობეს პარლამენტში ნაღმის არსებობის შესახებ. ამის გამო საჭირო გახდა პარლამენტარების ევაკუაცია, თუმცა პარლამენტის შემოწმებისას ნაღმი ვერ იპოვეს. შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, პარლამენტში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება თავისუფლების მოედანზე მდებარე სატელეფონო ავტომატიდან იყო გაკეთებული. ეჭვიმტანილს ვერ მიაგნეს.

ეს ფაქტი ერთადერთი არ ყოფილა. 2005 წელს უამრავი ცრუ შეტყობინებები განხორციელდა, რასაც შემდგომ მოყვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 331 მუხლის დამატება ცრუ შეტყობინებების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2005 წლის 3 აგვისტოს, ა.შ.შ.-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს იყო ასევე ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობა, როდესაც ვოვა არუთინიანმა ისროლა ტრიბუნისკენ ხელნაკეთი ყუმბარა. ამ საკითხზე საქმე აღიძრა 323-ე მუხლით. საქმე იქნა გახსნილი.

2005 წელს განხორციელდა ასევე ტერორისტული აქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან, რომელსაც 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების 12 თვის მაჩვენებლის მიხედვით, 2006-2007 წლებში მომხდარი ტერორისტული აქტების მაჩვენებელი 0-ს წარმოადგენს, ანუ არც ერთი ტერორისტული აქტი დაფიქსირებულია.

2008 წელს მომხდარი ტერორისტული აქტები 12 თვის მაჩვენებლით არის 3 და არც ერთი მათგანია გახსნილი.

2009 წელს მომხდარი ტერორისტული აქტები 12 თვის მაჩვენებლით არის 2 და ამ 2-დან მხოლოდ 1 ტერორისტული აქტია გახსნილი.

2010 წლის 21 იანვარს დასრულდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა 138-ე სკოლაში განხორციელებული ცრუ შეტყობინებაში ეჭვიმტანილი არასრულწლოვანის მიმართ. სასამართლომ საპროცესო შეთანხმებით 1 წელი პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით განუსაზღვრა.

და ბოლო ფაქტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში ბოლო დროს მომხდარ ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილი 6 კაციანი ჯგუფი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საუბარია 22 სექტემბერს თბილისში ამერიკი შეერთებული შტატების საელჩოს სიახლოვეს მომხდარ აფეთქებაზე; 2 ოქტომბერს – ხობის რაიონში ჭალადიდის სარკინიგზო ხიდზე აფეთქების მცდელობაზე; 21 ოქტომბერს – თბილისის რკინიგზის სადგურთან 2 აფეთქებაზე; 28 ნოემბერს მუხიანსა და ლეიბორისტული პარტიის ცენტრალურ ოფისთან მომხდარ აფეთქებებზე. ამ უკანასკნელს ერთი ქალბატონი ემსხვერპლა.

ტერორიზმი საყოველთაო გლობალურ საფრთხედ იქცა უკანასკნელ ათწლეულებში, როცა მან საერთაშორისო ტერორიზმის ფორმა მიიღო და მთელ მსოფლიოს დაემუქრა. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ფარგლებში და მთელი კაცობრიობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ტერორისტული აქტები? პირველ რიგში, მოსახლეობა უნდა ჩაგაყენოთ საქმის კურსში თუ რა არის ტერორიზმი. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული ტერორიზმის შესახებ. მათთვის ტერორიზმი მხოლოდ ცუდ ქმედებასთან ასოცირდება. მეორე რაც უნდა გააკეთდეს, ასევე არის ის, რომ უნდა ავუხსნათ მოსახლეობას, თუ რა აუცილებელი და მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მათი ურთიერთთანამშრომლობა. ჩვენ არ უნდა ვიყოთ იდინფერენტულები ყველა საეჭვო ქმედების მიმართ, რომლებსაც შევამჩნევთ. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ყველა საეჭვო ქმედების შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოებისათვის, უფრო ადვილად მოხდება ტერორისტული აქტების თავიდან აცილება.

სოფიკო ჭელიძე

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრიმინოლოგია - თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.
2. საქართველოს სისხლის სამართალი - პეტრე დაუთაშვილი
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
4. www.wikipedia.org
5. www.police.ge
6. www.google.ge

სოფიკო ჭელიძე

**ტერორიზმის გამოწვევები თანემდროვე საქართველოში
რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ტერორიზმის ირგვლივ არსებული ქართული კანონმდებლობა და საქართველოში უკანასკნელ წლებში მომხდარი ტერორისტული აქტები. გაკეთებულია დასკვნები, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ფარგლებში და რომ იგი მთელი კაცობრიობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს, ხოლო ქვეყნის შიგნით აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება, მათ მიერ სამართალდამცველ ორგანოებთან თანაშემრომლობის და ყურადღებულობის მნიშვნელობის გაცობიერება.

Софико Челидзе

**Террористические вызовы в современной Грузии
Резюме**

Автором статьи даётся оценка о степени, характере и порядке использования в Грузии законодательных основ по борьбе с терроризмом. В связи с этим рассмотрены отдельные факты терроризма, имевшие место в Грузии за последние годы. На основе этого сделаны некоторые заключения, согласно которым борьба с терроризмом невозможна в границах одного или нескольких государств и требуются усилия всего человечества. Внутри же страны нужно поднимать уровень информированности граждан, и осознание ими важности бдительности и сотрудничества с правоохранительными органами.

Sophiko Chelidze

**Challenge of Terrorism in Georgia
The Summary**

The article discusses Georgian legislation on Terrorism, along with terrorist attacks that had occurred in Georgia in recent years. Here is made conclusion that it is impossible to defeat terrorism within the boundaries of one or few states and it requires efforts of all mankind. As for measures of domestic prevention, the country must raise awareness among its citizens about the issue and promote their due cooperation with law enforcement authorities

დანაშაულობა, როგორც თანამედროვე საზოგადოებისთვის საფრთხის
შემცველი მოვლენა

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს, მათგან შესაძლებელია გამოვეყოთ ფილოსოფიური, სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი და რელიგიური განმარტებები. თუმცა ბევრი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ კრიმინოლოგებს არ ძალუძთ წარმოადგინონ დანაშაულის ზუსტი ცნება. ანალიზი რჩება იმ დეფინიციის დონეზე, რომელიც შეიცავს თვითნებობისა და წინააღმდეგობრიობის ელემენტებს. დანაშაულობის კვლევა კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე გრძელდება. ზოგადად მეცნიერება – კრიმინოლოგია განვითარების და ჩამოყალიბების ეტაპზე იმყოფება, ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში მას მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მიაკუთვნებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინოლოგია სოციოლოგიის დარგია, ხოლო პოსტ საბჭოთა სივრცეში სამართლის მეცნიერებას მიეკუთვნება. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი განმარტება, რომლებიც იძლევიან დანაშაულობის ცნების დეფინიციას.

პირველ რიგში დანაშაულობა ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. თუმცა ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ლომბროზო და დიურკჰეიმი მიიჩნევდნენ, რომ დანაშაულობა ბუნებრივი მოვლენაა და ის ნებისმიერ საზოგადოებას თან სდევს, მაშინ ეჭვქვეშ დგება დანაშაულობის, როგორც ნეგატიური მოვლენის გაგება, თუმცა ის უარყოფითი მოვლენები, რაც დანაშაულობას თან სდევს არ გვაძლევს საშუალებას მოვიხსენიოთ ის სხვანაირად თუ არა როგორც ნეგატიური მოვლენა.

ზოგჯერ ქართველი კრიმინოლოგები უნებლიედ დანაშაულობის მაგივრად იყენებენ ტერმინს “დამნაშავეობას”. ეს ორი ცნება ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. დამნაშავეობის ტერმინი გულისხმობს ინკვიზიციურ პრინციპს, რომლის მიხედვიდაც სასჯელის საზომია პიროვნება და არა კანონით გათვალისწინებული ქმედება. დამნაშავეობა აღორძინდა საბჭოური რეპრესიებისა და ფაშიზმის დროს. როგორც ვხედავთ, ამ ორი ტერმინის გაიგივება დაუშვებელია.

დანაშაულობა სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, რადგან დანაშაულის მასა მიიღება საზოგადოებაში მოცემული დროის პერიოდში ჩადენილი დანაშაულების ჯამით. თუმცა დანაშაულობა დანაშაულთა უბრალო არითმეტიკული ჯამი არ არის. ეს არის ერთი ორგანიზმი, სადაც თითოეული დანაშაული ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ერთი მოვლენა, რომელსაც გააჩნია თავისი კანონზომიერებანი და შინაგანი წინააღმდეგობანი.

დანაშაულობა სოციალური მოვლენაა, ვინაიდან ის ხელყოფს საზოგადოების ინტერესებს. იგი წარმოიშვა საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის შედეგად. დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადია სოციალური არსით, ანუ სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია დანაშაულთა წრე თავისი დროის მონაკვეთით. დასჯადი მოქმედების მოცულობა იცვლება ისტორიული განვითარების შედეგად, ანუ გარკვეული ქმედების კრიმინალიზაცია ხდება და პირიქით, გარკვეული ქმედების დეკრიმინალიზაცია.

დანაშაულობა სამართლებრივი მოვლენაა, ვინაიდან დანაშაულებრივ ქმედებებს გააჩნიათ სამართლებრივი მახასიათებლები. ეს მოქმედებები კანონშია აღწერილი და სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენს. დანაშაულობა კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი მოვლენაა. მასში შემაჯავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. დანაშაულობის სამართლებრივი მხარე აშკარად მუდავნდება კანონმდებლობაში შეტანილი სერიოზული ცლილებების დროს. განსაკუთრებით, როდესაც ხდება დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროს შევიწროვება ან გაფართოება. დანაშაულობის ლეგალური გაგება გამორიცხავს დანაშაულობაში ისეთი ცნებების არსებობას, როგორცაა ამორალური საქციელი. ხოლო მართლწინააღმდეგობის ხარისხი განასხვავებს მას ისეთი სამართალდარღვევებისგან როგორებიცაა დისციპლინარული, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი.

დანაშაულობის სამართლებრივი გაგება ყველაზე ძველია, მისი განსაზღვრება ეფუძება ამა თუ იმ ქმედების სამართლებრივ შეფასებას, თუმცა ხშირად სოციოლოგები აკრიტიკებენ დანაშაულობის იურიდიულ მხარეს, ვინაიდან დანაშაულობას გარკვეულ შემთხვევებში თავად კანონმდებელი წარმოშობს ქმედებათა კრიმინოლოგიური დასაბუთებული აკრძალვით. კერძოდ, აშშ-ში მშრალი კანონის შემოღებამ, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა „კოზანოსტრას“ წარმოშობას. ამრიგად, წარმოდგენა დანაშაულზე არ შეიძლება შეზღუდული იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ნიშნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ადგილს დაიკავებს განუკითხაობა. ამრიგად, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ დანაშაულობას გააჩნია შემდეგი ნიშნები: “1.დანაშაულობა ყოველთვის ცოტად თუ ბევრად მასობრივი მოვლენაა; 2.დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა; 3.დანაშაულობა კლასობრივი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა; 4.დანაშაულობა სოციალური მოვლენაა; 5.დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა; 6.დანაშაულობა ცალკეულ დანაშაულთა ერთობლიობაა.“ (ზ.წულაია).

კრიმინოლოგიის განვითარება განაპირობა სოციალური მოვლენების პრობლემამ, რაც ნებისმიერ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დგას. ამ პრობლემას დანაშაულობა ეწოდება. ნებისმიერი სოციალური პრობლემის გადაწყვეტისათვის სახელმწიფოს მკაფიო მონახაზი უნდა გააჩნდეს, ასეთ მკაფიო ზღვარს კი მხოლოდ მოცემული პრობლემის დრმად შემსწავლელი მეცნიერება იძლევა. დანაშაულის შესწავლისთვის აუცილებელია არამარტო მისი კანონზომიერების გამოვლენა, არამედ რაოდენობრივი და თვისობრივი დახასიათება. ეს ორი დანაშაულობის ძირითადი მაჩვენებელი შემუშავებულია მისი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის რაობის დასანახად. დანაშაულობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება დანაშაულობის მდგომარეობა და დონე, ხოლო თვისობრივს – დინამიკა და სტრუქტურა.

დანაშაულობის მდგომარეობა ამა თუ იმ ტერიტორიაზე დროის კონკრეტულ მონაკვეთში ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობაა, ასევე იმ პირთა რაოდენობა რომლებმაც ჩაიდინეს ეს დანაშაული. ვითარების მაჩვენებელი მხოლოდ აბსოლუტურ ციფრებში გამოიხატება.

დანაშაულობის დონეს ზოგჯერ დანაშაულობის კოეფიციენტსაც უწოდებენ. მისი აღრიცხვა წარმოებს დანაშაულობათა რაოდენობიდან, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ რაოდენობის მოსახლეობაზე

განგარიშებით ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩადენილი. დანაშაულობის დონის უფრო ზუსტი განსაზღვრისთვის მთელი მოსახლეობის ნაცვლად უნდა გავითვალისწინოთ, ის ასაკობრივი ჯგუფები რომლებიც კრიმინალურად ყველაზე აქტიურია. გამოირიცხებიან არა მარტო ბავშვები, არამედ ხანში შესულებიც. თუმცა ასეთ კვლევების ჩატარება დიდ ხარჯებსა და შრომას მოითხოვს.

დანაშაულობაზე კიდევ უფრო ცრუ წარმოდგენას გვაძლევს მისი თვისობრივი დახასიათება, რომელშიც შედის დანაშაულობის დინამიკა და სტრუქტურა. დანაშაულობის დინამიკა დროის კონკრეტულ მონაკვეთში ასახავს დანაშაულობას მოძრაობაში, ანუ ახასიათებს ცვლილებაში. ცვლილებაში იგულისხმება ვითარების, დონისა და სტრუქტურის მაჩვენებლები. დრო აღნიშნული მოვლენის აუცილებელი ატრიბუტია, იმისთვის რომ ვიცოდეთ, როგორ წარმოიშვა აღნიშნული მოვლენა, განვითარების რა ეტაპები გაიარა, როგორია ახლა და როგორი იქნება მომავალში.

დანაშაულობის სტრუქტურა არის დანაშაულთა და მათ შორის ურთიერთობათა ერთობა. იგი განსაზღვრავს დანაშაულთა შორის დანაშაულებათა ცალკეულ სახეობათა და კატეგორიათა ნაწილს, რომლებიც ჩადენილი იყო გარკვეულ ტერიტორიაზე გარკვეული დროის მონაკვეთში. დანაშაულობის სტრუქტურის ცოდნა ნიშნავს ჩაწვდვამ მოვლენის არსს. იგი ძირითადად ორ პრობლემას მოიცავს დანაშაულობის შიდა მხარის განმარტებას, დანაშაულთა შორის არსებულ ურთიერთობებს და მათ ერთ მთლიანობაში შეკრებას, საზოგადოებრივი საფრთხის ხარისხის განსაზღვრასა და მისი ადგილის დადგენას სოციალური მოვლენების სისტემაში.

დანაშაულობის შესწავლისას დღეს კრიმინოლოგია ძირითადად იყენებს ორ ხერხს: 1. სტატისტიკური მასალების შესწავლას და 2. შერჩევითი ანკეტურ გამოკვლევას. სტატისტიკურ მასალების შესწავლაში იგულისხმება სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემები, ასევე ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალ-კულტურული სტატისტიკის მასალები.

შერჩეული ანკეტური გამოკვლევა ხდება სპეციალურად შედგენილი ანკეტების შევსების გზით, რომელთა მიზანია დამნაშავეთა ცალკეული ჯგუფების პიროვნებების შესწავლა, გარდა ანკეტური გამოკვლევისა, მიზანშეწონილია დამნაშავის პიროვნებაზე ფსიქოლოგიური დაკვირვება. აღსანიშნავია, რომ დანაშაულობის შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ განვსაზღვროთ ინფორმაციის შესაძლებელი წყარო, ვინაიდან მხოლოდ ასეა შესაძლებელი ენერჯის მინიმალური ხარჯვით მაქსიმალური შედეგის მიღება. დანაშაულის შესწავლის მრავალი წყაროდან შეგვიძლია ოთხი ძირითადი წყარო გამოვყოთ, ესენია: 1. სხვადასხვა სახის ოფიციალური მასალა; 2. სხვადასხვა უწყებათა ოფიციალური დოკუმენტები დანაშაულებრივ ქმედებათა და დამნაშავის პიროვნებაზე, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმე და მსჯავრდებულის პირადი საქმე. 3. თვით დამნაშავე; 4. მისი ახლობლები და ოჯახის წევრები.

სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის შესწავლის წყაროდ. ოფიციალური საუწყებო დოკუმენტები ცალკეულ სახის დანაშაულთა შესასწავლად. დარჩენილი ორი წყარო ანუ ინფორმაცია მიღებული თვით დამნაშავისგან და მისი ახლობლებისგან სუბიექტურ ხასიათს ატარებს და კრიტიკული მიდგომაა საჭირო, ვინაიდან

ხშირად აქვს ადგილი ტყუილს, ფაქტების მცდარ შეფასებას ან მათ მესხიერებაში არასწორად აღდგენას.

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ “დანაშაულობა უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, იგი არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია ცალკეული კანონზომიერებანი, ხასიათდება რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით, იწვევს საზოგადოებისა და ადამიანისთვის ნეგატიურ შედეგებს და მოითხოვს სპეციფიკურ სახლმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს” (ზ.წულაია).

ვანო გენებაშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
სამართალმცოდნეობის IV კურსის ბაკალავრი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. წულაია „კრიმინოლოგია“ 2005;
2. ვ. აგანესოვი „კრიმინოლოგია“;
3. ტ. სელინი „დანაშაულობის სოციოლოგია“ 1955;

ვანო გენებაშვილი

დანაშაულობა, როგორც თანამედროვე საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი მოვლენა რეზიუმე

სტატიაში განხილულია დანაშაულობა როგორც ურთულესი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, გადმოცემულია დანაშაულობის ახსნის თანამედროვე მიდგომები და მის შესასწავლად გამოყენებული მეთოდები. ხაზგასმულია დანაშაულობის შესწავლისას დაშვებული ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები – მაგალითად, ნათქვამია, რომ დანაშაულობის დონის უფრო ზუსტი განსაზღვრისთვის მთელი მოსახლეობის ნაცვლად უნდა შევისწავლოთ მხოლოდ ის ასაკობრივი ჯგუფები რომლებიც კრიმინალურად ყველაზე აქტიურია, ანუ შევეცადოთ მცირეწლოვანების და ხანდაზმულთა გამორიცხვა სტატისტიკიდან.

Вано Генебашвили

Преступность, как явление содержащее опасность для современного общества Резюме

В статье рассмотрена преступность, как сложнейшее социально-правовое явление, перечислены современные подходы к объяснению причин преступности и методы для ее изучения. Подчеркнуты допущенные недочеты при изучении преступности и пути их исправления. Например, сказано, что для более точного определения уровня преступности, вместо изучения всего населения нужно изучить лишь те возрастные группы, которые наиболее активны в криминале, то есть надо исключить малолетних и пожилых из статистики.

Vano Genebashvili

Crime as a dangerous phenomenon in modern society The Summary

The article deals with crime as a complex socio-legal phenomenon. Author discussed modern approaches explaining the causes of crime and methods for its study, admitted shortcomings highlighted in the study of crime and ways to correct them. For example, it is said that, for a more precise definition of the crime, instead of studying the entire population is necessary to study only those age groups who are most active in crime, e.g. to exclude young and old from the statistics.

ილია ბასილაშვილი, ილია ასანაშვილი
დამნაშავის პიროვნების საკითხი კრიმინოლოგიაში

კრიმინოლოგიაში დანაშაულის ჩამდენი პირის პრობლემა დღემდე ერთერთ ძირითად და შედარებით უფრო რთულ პრობლემად რჩება. დამნაშავის პიროვნება შენადგენი სიტყვაა, სახელდობრ იგი წარმოქმნილია „პიროვნების“ ზოგადსოციოლოგიური და „დამნაშავის“ სოციალურ იურიდიულ ცნებებისაგან. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „დამნაშავის პიროვნების ცნება“ შეცვლილიყო უფრო ზუსტი ცნებით – დანაშაულის ჩამდენი პიროვნებით. ამ დასკვნის საფუძველი გახდა თვით სახელწოდება „დამნაშავის პიროვნება“, რაც გულისხმობდა წინასწარ მოცემულს ანუ ბიოლოგიურად და სოციალურად თანდაყოლილს. დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ნებისმიერმა ადამიანმა ნებისმიერ მომენტში და ამიტომ არ საჭიროებს წინასწარ განსაზღვრას.

პიროვნების პრობლემას საზოგადოებრივი ხასიათი გააჩნია. იგი ეხება საზოგადოების ყველა ფენის და ჯგუფის ინტერესებს. დანაშაულის ჩამდენი პირი ესაა ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სმართლით გათვალისწინებულ დანაშაულში ანუ საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ჩადენაში.

დამნაშავეობას ძალზედ რთული ბუნება აქვს. მას გააჩნია მაღალი ადაპტაციის უნარი, მუდამ იცვლება და ხდება მისი სრულყოფა, ამიტომაც საჭიროა მუდმივი ანალიზი. დამნაშავე პიროვნება შეიძლება შეფასდეს, როგორც საქმიანი არსება, რომლის ცხოვრების წესიც მნიშვნელოვან კვალს ტოვებს მის იერ-სახეზე.

დამნაშავის პიროვნების საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია ე.წ პიროვნული მიდგომა, რომელიც კონკრეტული ადამიანის, მისი ქცევების, ცხოვრებისა და საქმიანობის შეცნობის საფუძველია. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ინდივიდი დინამიურია. იგი იცვლება და ვითარდება საზოგადოების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური გარემოს სრულყოფასთან დამოკიდებულებაში. თითოეული პიროვნებისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული თვისებები, რომელიც ადამიანთა გარკვეულ კლასსაც ახასიათებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ დამნაშავე პიროვნების ფსიქოლოგიურ მიდგომარეობაზე ანუ როგორ არის ინტეგრირებული საზოგადოებაში, რა მოთხოვნები გააჩნია, როგორ არის განწყობილი. ფსიქიკური განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული პიროვნების განვითარებასთან. პიროვნებაზე საუბრის დროს მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მისი ფსიქიკური თვისებები, ხასიათი, ნიჭი, ტემპერამენტი, არამედ თუ როგორ ჩამოყალიბდა იგი ცხოვრებაში, როგორ შეეთვისა საზოგადოებას, რა როლი აქვს ცხოვრებაში და ასევე როგორ გავლენას ახენს მისი საქმიანობა საზოგადოებაზე.

ადამიანის სულიერი ცხოვრება სამი (3) ელემენტისგან ყალიბდება: პირადი ცხოვრება, საზოგადოებასთან კავშირი და სახელმწიფოს მოქალაქის საქმიანობა. ადამიანის დანაშაულებრივი ცნება მისი სულიერი ცხოვრების ანტიპოდს წარმოადგენს. ასეთ ქცევაში მონაწილეობს ადამიანის ზნეობრივად დაუმუშავებელი ემოციები და გრძნობები. პიროვნება თავისი სოციალური, მორალური, სამართლებრივი და კულტურული თვისებებით სხვადასვანაირია.

ის ვინც საზოგადოებრივ მოთხოვნებს უგულბებლყოფს საშიშია საზოგადოებისთვის.

კრიმინოლოგიურად ადამიანის პიროვნება ხასიათდება სამი (3) ნიშანთვისებით, ესენია: 1. სოციალურ-დემოგრაფიული და სისხლისსამართლებრივი ნიშანი; 2. სოციალური როლი და დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსადმი; 3. ზნეობრივ ფსიქოლოგიური თვისება და ღირებულებითი ორიენტაციები.

სოციალურ-დემოგრაფიულ ნიშნებს მიეკუთვნება სქესი, ასაკი, განათლება, სოციალური მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, მატერიალური მდგომარეობა და სხვა. ხოლო სოციალური როლი არის კონკრეტული ადამიანის დამახასიათებელი ფუნქციები, დამოკიდებულებები, ყოველი ადამიანი ასრულებს სხვადასხვა სოციალურ როლს, ეს შეიძლება იყოს სტუდენტი, რიგითი მუშა და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები და სოციალური როლები არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას დამნაშავე პიროვნებაზე, ამიტომ საჭიროა ყურადღების გამახვილება ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თვისებებზე და ორიენტაციებზე, რადგან შედარებით მეტ ინფორმაციას გვაწვდის პიროვნების შინაგან მდგომარეობასა და ხასიათზე.

საკითხის განხილვისას დიდი ყურადღება უნდა გავამახვილოთ უშუალოდ დანაშაულზე, მის სიმძიმეზე, მნიშვნელობაზე, მოტივებზე, მიზანზე, რა სოციალურმა მდგომარეობამ გამოიწვია დანაშაულის ჩადენა, ასევე როგორ პირობებში იზრდებოდა თვითონ დამნაშავე, როგორი გარემოცვა ჰყავს, აღნიშნულზე ყურადღების გამახვილება იმიტომაცა საჭირო, რომ შემდგომში გაადვილდეს გამოძიება და დროულად იქნეს დანაშაული აღკვეთილი.

თანამედროვე დამნაშავეთათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები: არაადეკვატური რეაგირება ფსიქოგენურ სიტუაციაზე; სამართალდარღვევების უარყოფითი გავლენისადმი, დანაშაულებრივი გარემოს ავტორიტეტებისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წარმომადგენლობისადმი; მიდრეკილება ემოციურ არადისციპლინირებულობაზე; დანაშაულებრივი და კრიმინალური ჩვევების სწრაფი ათვისება; საყოველთაოდ აღიარებული ადამიანური ღირებულებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება; სამართლის, კანონის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება; ჯგუფური და ინდივიდუალური სისუსტე, ცინიზმი და ა.შ.¹

გასათვალისწინებელია დანაშაულებრივ მოქმედებაზე პიროვნული ანტისაზოგადოებრივი განწყობა. ინდივიდს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ მისთვის უმჯობესია დანაშაულებრივი ცხოვრების წესი და მოქმედების უარყოფითი ფორმები.

აუცილებელია მოხდეს დანაშაულის ჩამდენი პირის პროფილაქტიკა.

❖ ცხოვრების გარკვეულ პირობებში, კონკრეტული სიტუაციის ზემოქმედებით, პიროვნება შეიძლება დანაშაულამდე მივიდეს. აქ საუბარია მავნე თვისებების გამოლენაზე, რომელის წინასწარ განაწყობს პიროვნებას დანაშაულის ჩასადენად. წინასწარი განწყობის მქონე ადამიანმაც კი შეიძლება აღარ ჩაიდინოს დანაშაული, თუ მასზე დადებით გავლენას მოახდენს სოციალური გარემო.

- ❖ უნდა მოხდეს სათანადო ზნეობრივი ფორმირება;
- ❖ შეიქმნას სოციალური დახმარების ორგანიზაციები, რომლებშიც ადამიანური ცოდნის დადებითად გამოყენებას ასწვლიან;
- ❖ აუცილებელია ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებების ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია.
- ❖ საჭიროა აგრეთვე საზოგადოების ზოგადსაგანმანათლებლო დონის და სამართალშეგნების ამაღლება.

აღნიშნული პირობები ხელს შეუწყობს დანაშაულის პროფილაქტიკას, მის თავიდან აცილებას და სახელმწიფო ძლიერებას.

ილია ბასილაშვილი, ილია ასანაშვილი
თბილისის დაით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
ბაკალავრიატის სამართალმცოდნეობის III კურსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. წულაია – კრიმინოლოგია ზოგადი ნაწილი 2003 წელი
2. ი. ჯალაღონია – დამნაშავეობის პრობლემები და ქართული სინამდვილე 2005 წელი
3. ნ.დ. ერიაშვილი – კრიმინოლოგია ტომი IV, 2007 წელი.

ილია ბასილაშვილი, ილია ასანაშვილი
დამნაშავის პიროვნების საკითხი კრიმინოლოგიაში
რეზიუმე

დამნაშავის პიროვნების საკითხი კრიმინოლოგიაში ერთ-ერთ და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან უშუალოდ დანაშაულის სუბიექტი არის დამნაშავე პიროვნება. ამ ნაშრომში განხილულია დამნაშავის პიროვნება; მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და შესაძლებლობები. ასევე ნაჩვენებია თანამედროვე დამნაშავეთათვის დამახასიათებელი თვისებები, მისი კავშირი და ზემოქმედება საზოგადოებაზე. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ამ ნაშრომში მოცემულია გარკვეული რეკომენდაცია.

Илья Басилашвили, Илья Асанашвили

Вопрос личности преступника в Криминологии
Резюме

Автор статьи считает, что вопрос личности преступника можно считать одним из важных вопросов в криминологии, поскольку непосредственно субъект преступления является личностью преступника. В настоящем труде рассмотрена личность преступника; его психологическое состояние и возможности. Также показаны черты, характерные современным преступникам, их союз и воздействие на общество.

Для решения вышеуказанных проблем автором даны определённые рекомендации.

Ilya Basilashvili, Ilya Asanashvili

Offender personality in Criminology
The Summary

The issue of the “person who committed crime” may be considered as one of the most important issues in the criminology, because the actual subject of the crime is the personality of the criminal. In this study is discussed the personality of the criminal, his psychological state and abilities, also here are indicated the characteristic habits of the modern criminal, his connection and influence on the public. Finally, Author gives certain recommendations to resolve mentioned problems.

ვიქტიმოლოგია – დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში

კრიმინოლოგიის საგანში ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილის სახით შედის დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა, რომელსაც ვიქტიმოლოგიას უწოდებენ.

დღეს, 21 საუკუნეში, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: ამერიკა, გერმანია, რუსეთი, იტალია და სხვა მრავალ ქვეყანაში ვიქტიმოლოგია (დანაშაულის მსხვერპლი) საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა.

ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკისათვის სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ მოქალაქეთა ინფორმირება კონფლიქტის განვითარების საბაბთა შესახებ და ასევე იმ პირთა ნიშანთვისებების შესახებ, რომლებსაც აქვთ მომატებული მიდრეკილება კონფლიქტისადმი.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დამნაშავის ქცევა, ხშირად განპირობებულია მსხვერპლის ქცევითა და განსაკუთრებული თვისებებით, ასევე არსებული კონფლიქტური ურთიერთობებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არის ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომელთა მიმართაც დამნაშავენი იჩენენ გაძლიერებულ ინტერესს. ასეთ ადამიანებს, სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიონ დამნაშავეებს. ესენია: ბავშვები, მოზარდები, მოხუცები, ასევე ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი და ა.შ. თანაც ეს ადამიანები სოციალურად არ არიან დაცული საზოგადოებაში და კერძოდ, დამნაშავეებისაგან.

ადამიანის მდგომარეობა, რომელიც გამოირჩევა მომეტებული სისუსტით იმ თვალსაზრისით, რომ ადვილად შეუძლია გახდეს დანაშაულის მსხვერპლი ეწოდება ვიქტიმურობა.

ვიქტიმოლოგიურ თეორიაში არსებით ფაქტორად წარმოგვიდგება “დაზარალებულის ბრალის” დადგენა დანაშაულში, რის შედეგადაც იგი თავადვე დაზარალდა.

დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასწორი, არამედ უზნეოც. აზარალებულის უზნეობა დანაშაულობის მიზეზთა პრობლემისა და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის გარკვევის გასაღებია.

აღსანიშნავია იტალიელი მწერლის ანი ვიკანტის ერთ-ერთი მოთხრობა, სადაც აღნიშნულია სერიული მკვლელის პიროვნების მოტივაციური ანალიზი. კერძოდ მან აღწერა სერიული მკვლელის მანიაკის ცხოვრებიდან ერთი ისეთი ეპიზოდი, როდესაც მსხვერპლის ოპტიმალურმა ქცევამ დაიხსნა ის სიკვდილისაგან. კერძოდ, მანიაკმა შეიტყუა ქალი აგარაკზე და მოემზადა მის მოსაკლავად, მაგრამ სწორედ ამ მომენტში ქალმა თვითონ სთხოვა მას, რომ მოეკლა იგი (ინტუიცია უკარნახა მას, რომ ეს გადარჩენის ერთადერთი გზა იყო). ქალის ასეთმა უჩვეულო ქცევამ თავგზა აუბნია მანიაკს, რომელსაც სიამოვნებას გვრიდა მოცახცახე მსხვერპლის დანახვაზე, სწორედ ამან გადაარჩინა დაზარალებული.

ვიქტიმოლოგიის ძირითადი იდეა შემდეგში გამოიხატება: მსხვერპლის ქცევა არსებით გავლენას ახდენს დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციაზე. მას შეუძლია მისი შემსუბუქება, დამძიმება და პროვოცირებაც. ოპტიმალურად

დადებით ქცევას შეუძლია შეუძლებელი გახადოს დანაშაულებრივი ხელყოფა ან დაიყვანოს მისი ალბათობა მინიმუმამდე, ან ყველა შემთხვევაში თავიდან აიცილოს კრიმინალის, დანაშაულის სერიოზული უარყოფითი შედეგები.

კალიფორნიელმა პროფესორმა დაიანა რასელმა ჩაატარა მეტად შთამბეჭდავი გამოკვლევა გაუპატიურების პრობლემის თაობაზე. მან დაადგინა, რომ ამ სახეობის დანაშაულთა ლატენტურობის დონე საკმაოდ მაღალია. მისი აზრით დაზარალებულთა 85% არ აცხადებს მომხდარის შესახებ, რადგან ეშინიათ რომ მათ არ მიაკრან გაუპატიურებული ქალის იარღიყი. დაიანა რასელი აღწერს გაუპატიურებულთა სხვადასხვა სიტუაციებს და აანალოზებს დაზარალებულთა შეცდომებს.

ბევრ ქვეყანაში, როგორცაა ამერიკა, გერმანია, რუსეთი, ესპანეთი და ევროპის სხვადასხვა ქვეყნები. გამოდის სპეციალური ვიქტიმოლოგიური ჟურნალები, გაჩნდა რადიო და ტელეგადაცემათა ციკლი. ქალაქებში სტიქიურად ჩამოყალიბდა გარკვეული სახის დანაშაულისაგან (გაუპატიურებისაგან, თაღლითობისაგან) დაზარალებულთა, დაზარალებულ ბავშვთა და ა.შ. დაცვის ასოციაციები.

ვიქტიმოლოგიურმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დანაშაულობაზე ზემოქმედების პრაქტიკის თვალსაზრისით. ვიქტიმოლოგთა მიერ პრაქტიკაში დანერგილი რეკომენდაციების ნუსხა საკმაოდ დიდია. ერთ-ერთი მთავარი ვიქტიმოლოგიური იდეა, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა დანაშაულთა თავიდან აცილების პროცესზე, იყო საზოგადოებრიობის ძალთა გაერთიანების აუცილებლობა. ბევრ ქვეყანაში გაჩნდა მიკრორაიონების, დაბებისა და დასახლებების მცხოვრებთა, ასევე მშობელთა, უფროს ძმათა და ა.შ., ასოციაციები. მათ მიერ განხორციელებულ სამოქალაქო პატრულირებას, აღმზრდელობით და პროპაგანდისტულ კამპანიებს, შედეგად მოყვა დანაშაულობის შემცირება, კერძოდ, დანაშაულის სამომავლო მსხვერპლთა გადარჩენა.

სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მოსახლეობას დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად. ვიქტიმოლოგთა რეკომენდაციები მიმართულია პიროვნული ვიქტიმების შემცირებისაკენ. სპეციალისტების რჩევები ხელს უწყობს ვიქტიმოგენურ სიტუაციათა თავიდან აცილებას.

საზოგადოების ვიქტიმოგენური კულტურის ამაღლება, ვიქტიმოლოგიური აზროვნების განვითარება საშუალებას აძლევს ადამიანს დამოუკიდებლად შეიმუშავოს დამნაშავეებისაგან თავის დაცვის საკმაოდ ეფექტური ღონისძიებები. ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა შესაძლებლობას იძლევა არა მარტო შემცირდეს დანაშაულთა რიცხვი, არამედ მისი საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულობის ნეგატიური შედეგებიც.

გერმანელი ვიქტიმოლოგების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჩხუბისა და ცემის მსხვერპლი უპირატესად მამაკაცები არიან (მათი წილი შეადგენს 62%-დან 70%-მდე). საწინააღმდეგო სურათია ყაჩაღობის, ძარცვის, ძარცვის მცდელობის ჩადენის შემთხვევები. აქ მსხვერპლად გახდომის ალბათობა მეტი აქვთ ქალებს.

საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნებში: ამერიკაში, ესპანეთში და ევროპის მრავალ ქვეყანაში ლექციების გამოყენებით ვიქტიმოლოგიაში კითხულობენ პრაქტიკულად ყველა სასწავლო დაწესებულებაში (დაწყებული სკოლიდან,

უმაღლეს სასწავლებლამდე). საბავშვო ბაღშიც კი ბავშვები გადიან პირველად ვიქტიმოლოგიურ ინსტრუქტაჟს. მარტივ დონეზე ბავშვებს ასწავლიან მეტად სასარგებლო რეკომენდაციებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ ჩაუჯდნენ ავტომობილში უცხო ადამიანებს, არ შევიდნენ უცხო ადამიანების სახლში, თავი აარიდონ უცხო პირებთან ლიფტში შესვლას და ა.შ. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მსურველებს შეუძლიათ მოისმინონ ლექციები არა მარტო ვიქტიმოლოგიაში, არამედ გაიარონ სპეციალური ტრენინგი და აითვისონ თავდასხმის ილეთები.

მსხვერპლთა სახეებში შეიძლება გამოვყოთ:

1) აგრესიული მსხვერპლი, რომელის ქცევა დაკავშირებულია თავდასხმასთან ზიანის მიყენებელზე ან სხვა პირებზე, ან იმავე ხასიათის მოქმედებებთან (შეურაცხყოფასთან, ცილისწამებასთან, აბუჩად აგდებასა და სხვა). ამ ტიპის მსხვერპლისთვის დამახასიათებელია კონფლიქტური სიტუაციის განზრახ შექმნა.

2) აქტიური მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომლის ქცევა არ არის დაკავშირებული თავდასხმასთან ან ბიძგთან კონფლიქტური კონტაქტის ფორმით, თუმცა ამის მიუხედავად აქტიურად უწყობს ხელს საბოლოო ანგარიშით ზიანის მიყენებას, მიმართავენ თხოვნით ზიანის მიყენების და სხვა მოქმედებებს.

3) პასიური მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც არ უწევს წინააღმდეგობას დამნაშავეს ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.

4) ინიციატივიანი მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომლის ქცევა დადებითი ხასიათისაა, მაგრამ მაინც იწვევს ზიანის მიყენებას.

5) არაკრიტიკული მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომლისთვისაც დამახასიათებელია წინდაუხედაობა, სასიცოცხლო სიტუაციის სწორი შეფასების უუნარობა და სხვა.

6) ნეიტრალური მსხვერპლი. ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც არანაირად არ უწყობდა ხელს მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას.

რაც შეეხება ვიქტიმოლოგიურ რეკომენდაციებს მათთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ვიქტიმოლოგთა გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რეკომენდაციებს ექსტრემალურ სიტუაციაში ოპტიმალურ ქცევათა გამოძღვალების რაკურსით. ყველაზე გავრცელებული რეკომენდაციების რიცხვს მიეკუთვნება:

- თავი აარიდონ იმ ადგილებში გამოჩენას, სადაც ხალხის ნაკლებობაა და საერთოდ არ გამოჩნდნენ ქუჩაში გვიან ღამით;

- საშიშ სიტუაციაში ქალები უფრო მეტად ენდონ საკუთარ ინტუიციას და თუ დაინახეს საეჭვო მამაკაცი, საჭირო არაა გაქცევა და ნაბიჯების თანდათანობით აჩქარება, პირიქით, საჭიროა ფსიქოლოგიურად განაწყონ საკუთარი თავი გაბედული მოქმედებისათვის. შინაგანი გაბედულება და თავისი თავის მტკიცე რწმენა მუდამდება გარეგნობაში, სიარულში, ზოგჯერ ეს გარეგნული ნიშნები საკმარისია იმისათვის, რომ დამნაშავემ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ თავდასხმისთვის შეარჩიოს სხვა ობიექტი;

- ადამიანები გაბედულად უნდა მოიქცნენ თავდასხმის მომენტშიც, საქმე იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში წინააღმდეგობა საგონებელში აგდებს თავდამსხმელს, რომლებიც მიხვეულები არიან შეშინებული მსხვერპლის ხილვას. ხმაელაღი ყვირილი, თავდამსხმელზე გაწევა, დარტყმების მიყენება, დაკაწრვა, დაკბენა და ა.შ.

- არასასურველი თავდაცვის საშუალებების გამოყენება (გაზის ბალონი, პისტოლეტი) თუ მსხვერპლი დარწმუნებული არაა მათ ვარგისიანობასა და ეფექტურობაში. მათი გამოყენების ფუჭი ცდა მნიშვნელოვნად ზრდის თავდამსხმელთა აგრესიულობას;

- იარაღისა და თავდაცვის სხვა საშუალებების გამოყენების წინ დამნაშავეებზე შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ფული, ხელჩანთა, საფულე და ა.შ. რაც მათი ყურადღების გადატანას იწვევს აღნიშნულ საგნებზე და რაც, თავის მხრივ კარგ საშუალებას აძლევს მსხვერპლს გამოიყენოს მოულოდნელობის ეფექტი კონტრიერშისათვის.

ამერიკელ მეცნიერთა ვიქტიმოლოგიური გამოკვლევები შეიცავს სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს. მაგ.: იმ მოქალაქეებს, რომლებიც ჩავიდნენ უცხო ქალაქში მოუწოდებენ შემდეგს: „თუ თქვენ აპირებთ გამოხვიდეთ სასტუმროდან საღამოთი, უკეთესია გამოიძახოთ ტაქსი. უცხო ქალაქში მგზავრობისას არ უნდა ჩაიცვათ მკვეთრად თვალისმომჭრელი ტანსაცმელი, რომელიც მიიპყრობს დამნაშავეთა ყურადღებას. ქალებმა ძვირფასი ნივთები ჩანთით არ უნდა ატარონ, არ უნდა ისეირნონ საღამოს ნიუ-ორკში, არ იმგზავრონ რვა საათის შემდეგ მეტროთი, არ გაუსწორონ თვალი თუ დაჟინებით გიყურებენ, პუერტორიკანელები, განსაკუთრებით ზანგები და მრავალი სხვა.

საბოლოოდ ვიქტიმოლოგიასთან დაკავშირებით დასკვნის სახით ამ ყველაფრიდან გამომდინარე მინდა აღვნიშნო, რომ ვიქტიმოლოგია კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და შესაბამისად კრიმინოლოგია საქართველოში, როგორც საგანი უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, სასწავლო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, იყოს სპეციალური სატელევიზიო, რადიო გადაცემები, რათა ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს თუ როგორ აიცილოს თავიდან ანალოგიური სიტუაციები.

მაკა ედიშერაშვილი

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ზ. წულაია “კრიმინოლოგია”
- 2) Франк А. В. “Виктимология и виктимность”;
- 3) Ривман Д. В. “Виктимологические факторы и профилактика Преступлений”. 1975.;
- 4) Henting H. The criminal and His Victim (Studies in the Sociobiology Of Crime). N.Y. 1948.

**ვიქტიმოლოგია - დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა თანამედროვე
საზოგადოებაში
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია კრიმინოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - “ვიქტიმოლოგიის” ძირითადი პრობლემები თანამედროვე საქართველოში, ხაზგასმულია კრიმინოლოგიური ხასიათის ღონისძიებების მნიშვნელობა ვიქტიმური გარემოს და ქცევის შემცირების კუთხით. ამ მხრივ გაკეთებულია რეკომენდაციები, რომ კრიმინოლოგია საქართველოში, როგორც საგანი უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, სასწავლო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში, იყოს სპეციალური სატელევიზიო, რადიო გადაცემები, რათა ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს თუ როგორ აიცდილოს თავიდან დანაშაული და არ გახდეს მსხვერპლი.

Мака Эдишерашвили

**Виктимология — проблема жертвы преступления в современном обществе
Резюме**

Виктимология (лат. “victima” – жертва) - учение о жертве преступления, представляет собой особый раздел Криминологий предусматривающее комплексное изучение потерпевшего во всех его проявлениях, а также связь преступник – потерпевший. В данном работе приняты рекомендации, что криминология в Грузии, как предмет, должны изучать как в школах, университетах. Также должны быть специальные телевизионные и радиопередачи, чтобы наше общество знало, как избежать преступленные и люди не становились его жертвами.

Мака Edisherashvili

**Victimology - a problem of a crime victim in modern society
The Summary**

Victimology is Criminological study of people who had suffered from criminal activity. Article discusses Georgian experience in using victimological studies and argues that governmental bodies should draw more attention to the criminological measures, in order to prevent crime and raise population awareness about the matter; in particular author suggests teaching victimology in schools, universities, and broadcast TV and radio programs concerning the issue.

**ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებლების
პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემები**

ყოველ მოვლენას გააჩნია თავისი ისტორია, არც ნარკომანიაა გამონაკლისი. ადრეულ პერიოდში არსებობდა ნარკოტიკული მცენარეები, რომლებსაც წიგნებიდან, ძველი ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი მცენარეა ბანგი რომელსაც საძილე საშუალებად იყენებდნენ. მეცნიერების აზრით ნარკოტიკულ მცენარეებს ასევე ძველად იყენებდნენ შუმერები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძველი შუმერების მიერ გამოყენებულ თიხის ჭურჭელზე ოპიუმის მომზადების კვალი. შუმერები მას “გილს” უწოდებდნენ რაც სიხარულს ნიშნავდა. აღსანიშნავია ისიც რომ მაიასა და აცტეკის ტომის წევრები კოკის ფოთლებს ენის ქვეშ იღებდნენ შორეული ლაშქრობისთვის ძალების შენარჩუნების მიზნით. ასევე ჩინელები ათასწლეულების მანძილზე ოპიუმს იყენებდნენ საძილე საშუალებად. ძველი ბერძნული ხელნაწერები იუწყებიან, რომ ყაყაჩოს იყენებდნენ ტანჯვის შესამსუბიქებლად. ამაზე თავის ეპოქაში წერდნენ: ჰიპოკრატე, ჰომეროსი, ჰეროდოტე და სხვანი.

XXI საუკუნეში გააქტიურდა მსოფლიოში ნარკომანიის პრობლემა. საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია, რაშიც დიდი როლი ითამაშა საქართველოს გეოგრაფიულმა მდგომარეობამ. საქართველო გახლდათ სატრანზიტო ქვეყანა, საიდანაც ნარკოტიკები აზიიდან ევროპაში მიემართებოდა, ხოლო ნაწილი თავად საქართველოშიც რჩებოდა. ამან განაპირობა ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ზრდაც. ასევე მეორე მიზეზი გახლდათ საბაჟო სამსახურების საქმიანობის სისუსტე, რადგან ნარკოტიკული საშუალებების გადაადგილების წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ საბაჟო სამსახურის ეფექტური საქმიანობის გაუმჯობესებას მოითხოვს და საჭიროა. პრაქტიკა გვიჩვენებს რომ ქვეყანაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების ნახევარზე მეტი საბაჟო გამშვებ პუნქტზე მოდის. ნარკომანია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ნარკო – ძილს, გაშტერებას, ხოლო მანია-სიგიჟეს, მიდრეკილებას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების განმარტებით “ნარკოტიკი ესაა ნივთიერება ან ნივთიერებათა ნაზავი, რომელიც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომელთა მიღებას თან სდევს ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ცვლილებები“.

ნარკოტიკის უმთავრეს თვისებას წარმოადგენს მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალური მოგების მიღება. ამ თვალსაზრისით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ხალხი ნარკოდილერები არიან. ნარკომანიის წარმოშობის მიზეზად ყველაზე ხშირად ამათუიმ სოციალურ ფაქტორების გავლენას ახასიათებენ. დადგინდა რომ ყოველ 20 წუთში მსოფლიოში ნარკოტიკების მოხმარებისგან თითო ადამიანი იღუპება. არის შემთხვევები როცა ადამიანი ნარკოტიკულ საშუალებებს სამედიცინო თვალსაზრისით ხშირი მოხმარების გამო ეჩვევა. ბევრი მედიკამენტი რომელიც დასაშვებია ოფიციალურად იქნეს გამოყენებული სამკურნალო საშუალებად შეიცავს ცოტა ოდენ ნარკოტიკულ საშუალებებს. ესენი იქნება მაგალითად: საძილე საშუალებები, ტკივილ გამაყუჩებლები, დამაწყნარებლები და სხვა პრეპარატები. ზოგიერთ ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება დამოკიდებულია კონკრეტულ რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებთან. მაგალითად: ინდოელებისთვის კოკას ფოთლების ღებვას, მუსლიმანულ ქვეყნებში ჰაშიშის მოწევის.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში 270 000 ნარკომანია შედარებისთვის ავღანეთში, რომელიც მთელი მსოფლიოს ნარკოტიკების 95% აწარმოებს, მხოლოდ 170 000 ნარკომანია აღიქმული. ნარკოლოგთა აზრით საქართველოში ნარკოტიკების გავრცელება მის ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული. როგორც დადგინდა ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის საკმაოდ დიდია ქალების ხვედრითი წილი—8%. გამოკითხვამ გვიჩვენა რომ ნარკომანია უმთავრესად ახალგაზრდული პრობლემაა. გამოკითხულთა შორის განსაკუთრებით მაღალია 20–24 წლის ახალგაზრდების ხვედრითი წილი, რაც შეადგენს 33% ანუ დაახლოებით 1/3-ს. თუკი უფრო გავაფართოვებთ ასაკობრივ ჯგუფებს აღმოჩნდება, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი 70% 16–29 წლამდე ახალგაზრდები არიან. ამგვარად ნარკოტიკების მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი თითქმის 7/10-ს შეადგენს 16-29 წლამდე ახალგაზრდები.

ნარკოტიკში ძირითადად ქალაქის პრობლემას წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობის მიგრაცია კი ხელს უწყობს ქალაქებში ნარკოტიკში ზრდას. მონაცემების საფუძველზე ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის მიგრანტები თითქმის 1/5-ს შეადგენენ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გამოკითხულთა განათლების დონე საკმაოდ მაღალია. მათგან ნახევარს აქვს საშუალო, არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლება. დაბალია განათლების არმქონე პირების რაოდენობა. განათლების დაბალი დონის პირები ძირითადად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები არიან. ნარკოტიკების მომხმარებელთა ნახევარს ჩადენილი ქონდა ესა თუ ის დანაშაული. ეს ბუნებრივია რადგან ნარკოტიკული ნივთიერების ხანგრძლივი მოხმარება ადრე თუ გვიან აუცილებლად უბიძგებს ადამიანს დანაშაულისკენ. გამოკითხულთა უმეტესობა 57%-მა ჩაიდინა ქონებრივი დანაშაული ამასთან დანაშაულთა 79% არ იყო დაკავშირებული ძალადობასთან. ქონებრივი დანაშაული გამოიხატებოდა ქურდობაში. ქონებრივი დანაშაული ძირითადად ხორციელდებოდა ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენად მატერიალური სახსრების მოპოვების მიზნით. აგრეთვე შესასწავლია ისეთი საკითხები, როგორცაა ნარკოტიკების მომხმარებელთა აღზრდის, მათი ოჯახური მდგომარეობის, მატერიალური და ყოფითი პირობები და სხვა. გამოკითხულთა უმეტეს ნაწილის ახალგაზრდებს არ ჰყავთ დედა, მამა ან ორივე ერთად. ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების უმრავლესობას აქვს კარგი ან დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები. გამოკითხულთა 60% რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს არ აღემატებიან 24 წელს რომლებიც არიან დასაოჯახებელნი. ნარკოტიკების მომხმარებლები რომლებიც გამოკითხვის მომენტში სწავლობდნენ, იყვნენ სტუდენტები 60%. საინტერესოა რომ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა 78% ნარკოტიკების მოიხმარება სხვა პირთა გავლენით დაიწყო. მათგან 51%-მა გავლენა იქონიეს ამხანაგებმა, მეგობრებმა, 27%-მა შემთხვევითი ნაცნობების გავლენით. გამოკითხულთა უმეტესობა 86% ნარკოტიკულ ნივთიერებებს სხვებთან ერთად მოიხმარს მაგალითად ამხანაგებთან, ნაცნობებთან. ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლებს თანდათანობით მათი მიღების ავადმყოფური მოთხოვნილება უჩნდებათ. ნარკოტიკული ნივთიერებათა ყოველი მომხმარებელი ადრე თუ გვიან შესაბამისი სახსრების მოსაპოვებლად კრიმინალურ გზას ადგება. გამოკითხულთა 74% დაახლოებით აღნიშნავს, რომ დანაშაული ნარკოტიკულ ნივთიერებათა შეძენის მიზნით ჩაიდინეს. ჩატარებული იქნა გამოკითხვა სტუდენტების მიერ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში – სტუდენტების მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ. გამოკითხულ იქნა 500-მდე სტუდენტი 17-23 წლის

ასაკობრივ ინტერვალში. ახალგაზრდებში ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებად დასახელდა მარიხუანა, ჰაშიში, პლანი. ასევე გამოკითხვა ჩატარდა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლებთანაც. გამოკითხულ ნარკომანების უმრავლესობა ნარკოტიკების მოხმარების მიზეზად ასახელებს:

- უმუშევრობას
- ცუდ სოციალურ პირობებს
- უბრალოდ სიამოვნების სურვილს
- უნებისყოფობას.

ამასთან აღსანიშნავია რომ ნარკოტიკების მოხმარება იწვევს უამრავ დაავადებას როგორცაა შიდსი და C ჰეპატიტის. შიდსი აქვს ნარკომანების 70% ხოლო C ჰეპატიტის 50%. ასევე იზრდება ნარკოტიკების მოხმარების გამო ფსიქიური და ქცევითი აშლილობები. ოფიციალური მონაცემებით წელიწადში 2500-3000 აღწევს, ხოლო არაოფიციალური მონაცემები კი 3-ჯერ 4-ჯერ მეტია.

ნარკოტიკული ნივთიერებების არასისტემატური პირადი მოხმარების შემთხვევაში, თუ მას არ ახლავს რაიმე დამამძიმებელი გარემოებები, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასამართლო ორგანოების უმრავლესობა ურჩევს მომხმარებელს მომავალში თავი შეიკავოს აღნიშნული ქმედებისგან, უწესებს მას ჯარიმას ან შეუფარდებს რაიმე ადმინისტრაციულ სასჯელს (მაგ. შეუჩერებს მართვის მოწმობის მოქმედებას ან ჩამოართმევს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლებას, პასპორტს და ა.შ.). რაც შეეხება ნარკოტიკების სამართლებრივ ასპექტებს ხოგიერთ ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარება მაგალითად ესპანეთში, იტალიაში და პორტუგალიაში განიხილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, საფრანგეთში 1999 წელს მიღებული დირექტივა, რომელიც რეკომენდაციას აძლევს პროკურორებსა და მოსამართლეებს, რომ იმ პირისთვის რომელსაც არ ჩაუდენია სხვა სამართალდარღვევა გარდა ნარკოტიკების მოხმარების სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ჰოლანდიის მადაზიებში თავისუფლად შეიძლება მსუბუქი ნარკოტიკების შექმნა შეზღუდული რაოდენობით. ჰოლანდიის ქალაქებში დღე-ღამის განმავლობაში დგანან სპეციალური ავტობუსები, სადაც ნარკომანებს უფასოდ შეუძლიათ მიიღონ მეტადონი, ასევე აქ შესაძლებელია ნახმარი შპრიცების გადაცვლა ახლებზე. ლატვიაში ნარკომანებს მეტადონს უფასოდ ურიგებენ და მასთან ერთად ერთჯერად შპრიცებსაც აძლევენ. ციურისში ჩატარდა აქცია სადაც ნებისმიერ მსურველს მორფინს უკეთებდნენ. გაეროს 1961 წლისა და 1971 წლის კონვენციებში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები კლასიფიცირებულია თერაპიული ღირებულებების, მათდამი დამოკიდებულების გაჩენის რისკის, ასევე ჯანმრთელობისათვის საშიშროების ნიშნით და დაყოფილია 4 ჯგუფად. მაგალითად, კანაფი და ჰერონინმოცემულია I ჯგუფში, რადგან იწვევენ ძლიერ შეჩვევას და, ასევე, IV ჯგუფში – ყველაზე საშიშ ნივთიერებებს შორის, როგორც განსაკუთრებით საზიანოთვისებებისა და შეზღუდული სამედიცინო და ფარმაცევტული ღირებულებებისმქონე ნივთიერებები მათზე კონტროლი ხორციელდება მკაცრად წარმოების, ექსპორტი იმპორტის, ვაჭრობის, შექმნა შენახვის ან ნებისმიერი გამოყენების აკრძალვა ხდება გარდა სამედიცინო დანიშნულებით მისი გამოყენებისა. კონვენცია მასზე მიერთებულ მხარეებს ავალდებულებ სკონტროლის განხორციელებას ამ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოებაზე, შექმნა-შენახვაზე, მოხმარებასა და ექსპორტ-

იმპორტზე. მეორე ჯგუფში მოცემულია ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებები რომლებიც გამოიყენება სამედიცინო მიზნებისთვის და მათზე შეჩვევის დაბალი რისკი არსებობს. მათზე კონტროლი ნაკლებად ხორციელდება.

გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებათა შესახებ რომელსაც საქართველო 2000 წელს შეუერთდა და მხოლოდ დღეს განიხილება კანონპროექტი პარლამენტში, გულისხმობს რომ ნარკოტიკების მომხმარებლები თავისუფლების აღკვეთით არ უნდა ისჯებოდეს. საქართველოში კი ძირითადად ნარკოტიკების მომხმარებლები ისჯებიან. ჯონ სტუარტ მილი ამბობდა რომ “სახელმწიფოს არ აქ უფლება ჩაერიოს ინდივიდის საქმეში და აუკრძალოს იმ ქმედების განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს მხოლოდ მას და არა საზოგადოების სხვა წევრებს” აღისტერ ქროულის აზრით კი ნარკოტიკების გამოყენება წარმოადგენს უმსხვერპლო დანაშაულს. ნარკოტიკულ დანაშაულთა სუბიექტი არის 14 წელს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი ხოლო 2008 წლის 1 ივნისიდან 12 წლის პირი, ასევე სპეციალური სუბიექტი. საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 13 თებერვალს მიიღო დადგენილება “საქართველოს ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ” რასაც მოჰყვა შემდგომში საქართველოს პარლამენტის მიერ სპეციალური კანონის მიღება “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” ამ კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, თავიდან აიცილოს ნარკოტიკული დანაშაულობები, ასევე მისი გავრცელება და მოხმარება და სხვა. სისხლის სამართლის კოდექსში 33 თავში მოცემულია ნარკოტიკული დანაშაულობები რომელსაც კრძალავს კანონი, კერძოდ 273 მუხლი ეხება პირად მოხმარებას ექიმის რეცეპტის გარეშე ისჯება ადმინისტრაციულსახდელ შეფარდებით ხოლო ამ დანაშაულის ნასამართლევი პირის მიერ ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ან ოციდან ან ოთხმოც საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე, ამ მუხლის შენიშვნაში მოცემულია რომ აღნიშნული ჯარიმა არ უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს დაკისრებული ჯარიმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები. ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 45 მუხლი, ნარკოტიკული საშუალების მცირეოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე. ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის რეცეპტის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან გამონაკლის შემთხვევებში თუ ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება გამოიყენება ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით. მუხლი 100¹ ნარკოტიკების შემცველი ნათესების დაცვის უზრუნველსაყოფად ზომების მიუღებლობა. მუხლი 100² მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება.

2003 წელს შესულია ძალაში “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ” კანონი. რომლის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ კონტიგენტის გამოკვლევა, მკურნალობა და რეაბილიტაცია, ასევე როგორც ნებაყოფლობითი ისე სავალდებულო მკურნალობა. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გააჩნია სპეციალური სამსახური, რომელიც ნარკომანიის პრობლემათა დაკავებელი. დღესდღეისობით ნარკომანიის

მკურნალობის 2 ძირითადი მეთოდი არსებობს: 1. ჩანაცვლებითი და 2. დეტოქსიკაციური.

- ბოლო დროს მეტად პოპულარული გახდა ჩანაცვლებითი თერაპია, რომელსაც მოსახლეობა მეტადონის სახელით იცნობს. მკურნალობის ეს მეთოდი ნარკომანიით დაავადებულთათვის გარკვეული ხნის განმავლობაში საკმაოდ ტოქსიკური ნივთიერების – მეტადონის მიწოდებას გულისხმობს.
- რაც შეეხება დეტოქსიკაციის მეთოდს, ამ დროს ორგანიზმი ნარკოტიკების მიღების შედეგად წარმოქმნილი მავნე რადიკალებისაგან იწმინდება.

რაც შეეხება იმას თუ ნარკომანი რომელ ჯგუფს მივაკუთვნოთ ავადმყოფს თუ დამნაშავეს. სოციალურმა კვლევამ აჩვენა რომ ნარკომანი არის ავადმყოფი მაგრამ ამავე დროს პოტენციური დამნაშავეც. საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება “ვინც ყაყაჩოს ცრემლებს გასინჯავს, ის მთელი ცხოვრება ტირის“

საჭიროა ნარკომანიის პრობლემის გამოსწორებისთვის ბავშვი დაკავდეს სპორტის სახეობებით. აეხსნას ბავშვებს ნარკოტიკების მავნე თვისებების შესახებ სკოლის ასაკიდანვე რადგან სწორედ სკოლის მოსწავლეების უმეტესობა ინტერესის გამო ეტანება ნარკოტიკს, ცნობილია ისიც რომ ამას შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე ატარებს სკოლებში რაც მისაღები ფაქტია, ასევე საჭიროა საზოგადოების მონაწილეობა ნარკომანიასთან ბრძოლაში რადგან მხოლოდ კანონმდებლობით ამის მიღწევა თითქმის შეუძლებელია, მოხდეს საზღვრების დაცვის გამკაცრება რადგან სწორედ საზღვრების დაუცველობის გამო რჩება ნარკოტიკების დიდი ნაწილი საქართველოში. ასევე დიდ მნიშვნელობას ასრულებს მედია ნარკოტიკებთან ბრძოლის წინააღმდეგ, შესაძლებელია მოხდეს სპეციალური გადაცემის გაკეთება ნარკოტიკების როგორც მავნე ნივთიერებებთან დაკავშირებით.

გვანცა წულუკიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

- “21-ე საუკუნის გამოწვევა” ჯემალ ჯანაშია.
- “კრიმინოლოგია” თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სახელმძღვანელო
- სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი “კრიმინოლოგი” 2(3)
- ამირან მოსულიშვილის დისერტაცია თემაზე “ ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები “
- სპეც. კანონი “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”
- სისხლის სამართლის კოდექსი
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქ. პარლამენტის აპარატი – კვლევითი დეპარტამენტი – ანალიტიკური განყოფილების თემა “ ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა”.

გვანცა წულუკიძე

**ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულების მომხმარებლების
პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემები
რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ნარკოტიკების გავრცელების ისტორია რომელშიც გაანალიზებულია სხვადასხვა კვლევების შედეგები, საერთაშორისო და ქართული ანტინარკოტიკული კანონმდებლობა, პრევენციული და სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მათ საფუძველზე მიღებული შედეგები. ავტორი გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში არსებული ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანისა და მისი მოხმარების ტემპების ზრდით, და ამასთან დაკავშირებით იძლევა რეკომენდაციებს, აღნიშნული ფაქტის აღმოსაფხვრელად გატარებულ იქნას რიგი პრევენციული ღონისძიებებისა.

Гванца Цулукидзе

**Проблемы правовой ответственности потребителей наркотиков в немедицинских
целях
Резюме**

В статье рассмотрена история распространения наркотиков в мире и в Грузии. Дан и проанализирован результат различных исследований, грузинского и международного антинаркотического законодательства, превентивных и реабилитационных мер, а также их результаты. На основании этого автор рекомендует с целью предотвращения развития наркоманий в стране усилить превентивные мероприятия.

Gvantsa Tsulukidze

**Legal responsibility of drug abusers
The Summary**

The paper considers history of proliferation of drugs in the world and in Georgia. Here are analyzed results and data of various studies, Georgian and international anti-drug Legislation, prevention and rehabilitation programs, and their results. The article shows that in Georgia there is high number of drug abusers and situation is becoming unacceptable. Among preventive measures, author names selective work with young people - their involvement in sport, promoting interest to a healthy lifestyle.

ადამიანთა ვაჭრობა - ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ძირითადი ვექტორები

თანამედროვე მსოფლიო მრავალი სერიოზული დაბრკოლების წინაშე დგას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცალკეული ქვეყნებისთვის ამ პრობლემების გადაჭრა თითქმის შეუძლებელია, რადგან არა მარტო ადამიანურ, არამედ მატერიალურ რესურსებსაც მოითხოვს. მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომელიც ევროპის კონტინენტზე არ მდებარეობს, განვითარების დაბალ საფეხურზე დგას და არ ძალუძს ისეთი გლობალური მასშტაბის ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც აღკვეთდნენ ან შეამცირებდნენ ამ სახის დანაშაულს.

ერთ-ერთი გლობალური პრობლემა, რომელიც, ჩემი აზრით, მოითხოვს მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ყურადღებას, არის ტრეფიკინგი.

ტრეფიკინგი ადამიანებით არალეგალური ვაჭრობაა, რომელიც გამოიხატება სექსუალურ ექსპლუატაციაში, იძულებით შრომაში და მათი ნების საწინააღმდეგო ქმედებებში. მას სხვანაირად XXI საუკუნის მონობასაც უწოდებენ^{[1][2]}. 2000 წელს გაერომ შეადგინა ტრეფიკინგის სპეციალური პროტოკოლი, რომელშიც ადამიანთა ვაჭრობა განხილულია როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული^[3]. ეს პროტოკოლი პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა „ტრეფიკინგის“ მნიშვნელობა.

გამომწვევი მიზეზი მრავალია, თუმცა მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ყველაზე ხშირად აიძულებს ადამიანს წავიდეს ამ რისკზე. მაგალითისთვის მოვიყვან ჩვენს ქვეყანას. როგორც ვიცით, საქართველო ორი კონტინენტის გასაყარზე დგას. აქ თავისებურადაა შეთვისებული როგორც ევროპის ახალი, ასევე აზიური კულტურის ისტორიულ პრინციპებზე დამყარებული თავისებურებები. ისტორიიდან ჩანს, რომ საქართველო მრავალი დამპყრობლის სამიზნე იყო, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა ქვეყნის როგორც მატერიალური, ასევე ხალხთა ცნობიერების წინსვლა.

ითვლება, რომ საქართველო ახალი დემოკრატიის ქვეყანაა და განვითარებას რეალურად გასული საუკუნის ბოლოდან იწყებს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. ქვეყანას მარტო მოუწია პრობლემების გადაჭრა, რომელიც ძირითადად ეკონომიკური ხასიათის იყო. ამას ხელი შეუწყო ომებმა, რომლებმაც ქვეყანაში ლტოლვილთა რაოდენობა გაზარდა. მოსახლეობის ნაწილისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა საზღვარგარეთ წასვლა და მუშაობა გახდა. ამას ხელს უწყობდა სავიზო რეჟიმის გამარტივებაც მთელ რიგ სახელმწიფოებში: თურქეთი, საბერძნეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩეხეთი და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მართლშეგნების დონე საკმაოდ დაბალია და კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. ჩემი აზრით, სწორედ მართლშეგნების გამოსწორებაა საწყისი ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს ამ გლობალური დანაშაულის აღკვეთას ჩვენს ქვეყანაში. მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ ამ გლობალური პრობლემის გადაწყვეტაზე ვფიქრობთ, ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში უნდა დავიწყოთ. ეს გახდება არა მარტო მაგალითი სხვა სახელმწიფოებისთვის, არამედ ისიც, რომ შეძენილ გამოცდილებას სხვებსაც გავუზიარებთ.

ტრეფიკინგის ქართველ მსხვერპლთა ძირითადი ვექტორია მეზობელი თურქეთი. როგორც საინფორმაციო წყარო “პირველი” გვამცნობს, “ამ ქვეყანაში ქართველები ძირითადად, პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის გამო იხდიან სასჯელს”^[4]. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანთა ვაჭრობის დანაშაულში უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც არიან ჩაბმულნი.

“24 დღე სტამბულში ვიყავით გამომწყვდეულები. ერთ ადგილას ვიმუშავე დაახლოებით 2-3 დღე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ვიყავით დაახლოებით 10 კაცი და გვაჭმევდნენ მხოლოდ დღეში ერთხელ და ეს საკვები იყო მხოლოდ ერთი პური, რომელიც 10 კაცზე ნაწილდებოდა. თვითონ მთელი დღე იკარგებოდა. პასპორტები ჩამორთმეული გვქონდა. ნინო გელაშვილი და კიდევ ერთი ქალი, რომელსაც ლელა ერქვა, წამოსვლისას გვემუქრებოდნენ, ამ პასპორტებს დაგიხვეთ და აბა, როგორ წახვალთ, გნახავო... ბოლოს გორში დავრეკე ჩემებთან, სახლში, სასწრაფოდ ფული გამომიგზავნეთ, თორემ ვერც ცოცხალს და ვერც მკვდარს მნახავთ-მეთქი”, - ამბობს გორში მცხოვრები 28 წლის თამარ ძაბახიძე, რომელიც თურქეთში ტრეფიკინგის მსხვერპლი საკუთარი მეზობლის და თანატოლის ნინო გელაშვილის წყალობით გახდა.”^[5]

თანდათანობით ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის იზრდება ქართველთა რაოდენობა, რამაც შეიძლება არც თუ ისე გვიან მიგვიყვანოს სავალალო შედეგამდე და სახელმწიფომ კონტროლი დაკარგოს ამ მძიმე დანაშაულის პრევენციაზე.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 2006 წლის 28 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი №2944 „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. აღნიშნულ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დამნაშავე პირი ისჯება ვადით შევიდნან თორმეტ წლამდე, ხოლო ქმედების განმეორების შემთხვევაში – 12-დან 15 წლამდე.

ახლა რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნების ტრეფიკინგის დანაშავეთა და მსხვერპლთა ძირითად ვექტორებს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის 2010 წლის ანგარიშში აღნიშნულია ის ძირითადი ქვეყნები, რომლებშიც ადამიანთა ვაჭრობა საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს^[7]. ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ომს გაექცა პროსტიტუციაში ძალაუნებურად ჩაება. მათი უმრავლესობა, სამწუხაროდ, ქალია. ტრეფიკინგის ძირითადი ვექტორები გადის სირიაში, იორდანიაში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და თურქეთში. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 50 000 ერაყელი ლტოლვილი ქალი სწორედ სირიაში გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი^[8].

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია, თუმცა 2004 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იყო. Human Rights Center-ის ანგარიშით, მხოლოდ კალიფორნიაში 10 000 იძულებით მომუშავე იმყოფებოდა. მათი მესამედი მოსამსახურეები იყვნენ, ხოლო ნაწილი – ბავშვები^[9].

ამ ბოლო დროს პრესაში გავერცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ქართველი ემიგრანტებისთვის ტრეფიკინგის ახალი ვექტორი გაჩნდა. ერთ

ერთი წყაროს მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს ისრაელის საზღვრის გადაკვეთას გარკვეული თანხის სანაცვლოდ კპირდებოდნენ, თუმცა ეს ყოველთვის წარმატებით არ ხორციელდებოდა^[10].

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ტრეფიკინგი და მისი დამღუპველი შედეგები, მიმაჩნია, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ხალხის სისტემატიური ინფორმირება, რადგანაც სწორედ ინფორმაცია წარმოადგენს პრევენციის საუკეთესო საშუალებას. ამის გარდა, მნიშვნელოვნად მივიჩნევ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ მუშაობას. ასევე, ჩემი აზრით, ძალზე საყურადღებოა ახალგაზრდობის ჩართულობაც.

საერთო ჯამში, ტრეფიკინგის პრობლემა, ჩემი აზრით კიდევ დიდხანს იარსებებს, რადგან ამის ხელშემწყობი ფაქტორები ყოველთვის გამოჩნდება. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჯერჯერობით არცერთ სახელმწიფოს შესწევს ძალა, საბოლოოდ აღკვეთოს ზემოაღნიშნული დანაშაული. ყველაფრის მიუხედავად, იმედს ვიტოვებ, რომ არსებული ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდება და სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენენ დაზარალებული ხალხისადმი.

ელენე ჩომახიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://gylla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=498:2007--20---1200-----2-----q-xxi-q-----&catid=48:announcements&Itemid=183&lang=en
2. Silvia Scarpa. . Trafficking in Human Beings: Modern Slavery. Oxford: Oxford University Press, 2008. Pp. 230. £60. ISBN 9780199541904.
3. Convention on Transnational Organized Crime
4. საინფორმაციოსააგენტო „პირველი“
5. <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=7038&lang=geo>
6. <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=6310&lang=geo>
7. Trafficking in Persons Report
8. <http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/50000-iraqi-refugees-forced-into-prostitution-454424.html>
9. Hidden Slaves: Forced labor in the United States (September 2004), Human Rights Center, University of California, Berkeley, pp. 1, 10, 57.
10. <http://www.ambebi.ge/samartali/26851-ratom-shemoakvda-qarthvel-emigrants-beduini.html>

ადამიანთ ვაჭრობა - ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ძირითადი ვექტორები რეზიუმე

თემაში განხილულია ტრეფიკინგის არსის როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე საკითხები. ამასთან, წყაროებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულია ზუსტი დეფინიცია. მიმოხილულია XXI საუკუნის მონობის გამომწვევი მიზეზები არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ჩვენი ქვეყნისთვისაც. მოკლედ განხილულია პრევენციის მექანიზმი და მისი როლი საზოგადოებრივ და სახელმწიფო განვითარებაში. თემაში საუბარია ტრეფიკინგის ძირითად ვექტორებზე საქართველოსა და მსოფლიოში და მოყვანილია მოყვანილია მაგალითები.

Elene Chomakhidze

**Human trafficking - main reasons and vectors
The Summary**

The Author discusses Human Trafficking in the world and notably in Georgia, defines the term “Trafficking” and reasons of the problem. Article stresses on prevention measures of the “XXI century slavery” and its role in building a democratic country. Also here are named main vectors of exploitation of victims and are exposed some facts of it.

Елена Чомахидзе

**Торговля людьми — причины и основные векторы трафикинга
Резюме**

Автором статьи рассмотрены исторические данные возникновения данного преступления, как в мировом масштабе, так и в масштабе нашего государства. На основании которых автор даны конкретные рекомендации по борьбе с этим злом. В частности автор рассматривает основные причины вызывающие трафикинг и его характерные своеобразие в нашей стране. В конце статьи даны конкретные предложения о проведение превентивных мероприятий.

შიდა ტრეფიკინგის თავიდან აცილების კრიმინოლოგიური ღონისძიებები

ტრეფიკინგი, ანუ ადამიანით ვაჭრობა წარმოადგენს ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც პიროვნებები ან დანაშაულებრივი დაჯგუფებები ატყუებენ ან იტაცებენ ადამიანებს, გადაჰყავთ ისინი მოშორებულ ადგილებში და უწევენ ექსპლუატაციას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით (ჩვეულებრივ, მათ აიძულებენ სხვადასხვა საქმით დაკავებას გაუსაძლის პირობებში ძალიან მცირე ან საერთოდ ანაზღაურების გარეშე).

ადამიანით ვაჭრობის დანაშაული არის გლობალური პრობლემა, მაღალშემოსავლიანი საქმიანობა, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ადგილას ვაწყდებით, მათ შორის საქართველოშიც.

ტრეფიკინგი შესაძლოა განხორციელდეს, როგორც მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანით, ისე საზღვრის კვეთის გარეშეც, ანუ ქვეყნის შიგნით. ეროვნული საზღვრების ფარგლებში კრიმინალური ექსპლუატაციისას ხშირ შემთხვევაში ხდება მსხვერპლის გადაყვანა მისი საცხოვრებელი რაიონის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ.

შიდა ტრეფიკინგის დროს ძირითადად ადგილი აქვს შრომით ექსპლუატაციას. მაგალითად, საქართველოში დაფიქსირდა ერთი ასეთი ფაქტი: 72 წლის ცოლ-ქმარი, მოტყუებით მეზობელმა გადაიყვანა მახლობელ სოფელში და შეჰპირდა გასამრჯელოს ფიზიკური სამუშაოს სანაცვლოდ. მოხუცებს უხდებოდათ ფერმაში მუშაობა საშინელ პირობებში. იყო წყლისა და საკვების პრობლემაც, ამას გარდა აყენებდნენ როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ შეურაცხყოფას. როდესაც მოხუცები ისე დაუძღვრდნენ, რომ დადგა საშიშროება შემოკვდომოდათ, ისინი მიიყვანეს სახლში და ჭიშკართან დატოვეს. თან დაემუქრნენ, რომ არსად არაფერი ეთქვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდნენ.

შიდა ტრეფიკინგისთვის დამახასიათებელია აგრეთვე სექსუალური ექსპლუატაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასახმარებლად სახელმწიფო ქსელში შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის თანამშრომელი იხსენებს მაგალითს: “იყო შემთხვევა, როცა თბილისის ტუბდისპანსერში ჭლექით დაავადებული გოგონა მიიყვანეს, რომელსაც ტრეფიკინგის ნიშნები ჰქონდა. გოგონა ობოლი იყო. მას ქართლის ერთ-ერთ სოფელში ბებია ზრდიდა. ბებია ქალაქის რკინიგზის სადგურში მზესუმზირას ყიდდა, გოგონა კი ყოველთვის თან ახლდა. უკონტროლობამ და უყურადღებობამ ჯერ კიდევ ბავშვი, 12 წლის უბიწო გოგო ისე გარყვნა, რომ ბებიას ეჭვიც არ გასჩენია. ის უკვე იქ მყოფ მეძავ ქალთა გავლენით სხეულით ვაჭრობდა. ვიღაც მამაკაცმა ამ გოგონას საშუალებით ფულის კეთება მოინდომა. ძალმომრეობით გოგო თბილისიდან კახეთში ჩაიყვანა და ერთ სახლში რამდენიმე ქალთან ერთად ჩაკეტა, რომელნიც მამაკაცებს ემსახურებოდნენ. მას ყველაფერი აუკრძალეს, მომსახურებიდან კი დღეში მხოლოდ 5 ლარს აძლევდნენ. სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად გოგონა დასუსტდა და ტუბერკულოზით დაავადდა. როდესაც ჩვენ ის ვნახეთ უკვე 16 წლის იყო. მას არ მოსწონდა თავისუფლების შეზღუდვა და ამბობდა: კახეთიდან ამიტომ გამოვიპარეო. მაგრამ დაბრუნებულს ტუბერკულოზი აღმოაჩნდა და სადგურის ძველმა მეგობრებმა დისპანსერში სამკურნალოდ წამოიყვანეს, სადაც მკურნალობის სრულ კურსს გადიოდა. კომისიამ ის ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნია და მისი რეაბილიტაციის ცენტრში

მოთავსება გადავწყვიტეთ. მან თავშესაფარზე უარი თქვა. ისე იყო გონებადაქვეითებული საკითხში გარკვევა უჭირდა. უტიფრად გარესამყაროსკენ იღტვოდა. მკურნალობა არ დაუმთავრებია, ისე გაიპარა ტუბდისპანსერიდან. შევეცადეთ მოგვეძებნა, მაგრამ ამოად.”

მსგავსი შემთხვევები საქართველოში საკმაოდ ხშირია, მაგრამ სამწუხაროდ შეუძლებელია სტატისტიკის განსაზღვრა. ამისათვის საჭიროა უშუალოდ დაზარალებულმა განაცხადოს სამართალდამცავ ორგანოებში, რისგანაც ხშირ შემთხვევაში თავს იკავებენ. უმეტეს შემთხვევაში, მსხერპლი აქტიურად ერიდება განხმარებას თავმოყვარეობისა და ათასი სხვა მიზეზის გამო, ეშინია შურისძიებისა და შანტაჟის ტრეფიკერთა მხრიდან.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი ბოლო წლების განმავლობაში არაერთი შიდა ტრეფიკინგის შემთხვევების მოწმე გამხდარა. იგი იხსენებს ერთ ფაქტს: ახალგაზრდა ვაჟმა რაიონიდან ჩამოსული არასრულწლოვანი გოგონა ცოლად შეირთო. სოფელში მამა და და ჰყავდა. ბიჭი არასრულწლოვან ცოლს აიძულებდა მეძავად ემუშავა და საღამოს შინ ფული მიეტანა. ბიჭის მშობლები გოგონას რძლად მიიჩნევდნენ და, თუ ამგვარი რამ ხდებოდა, მათი განცხადებით ამაზე თურმე არავითარი წარმოდგენაც არ ჰქონდათ. რამდენად გულწრფელია მათი განცხადება ვერ გეტყვით. საქმე გაიხსნა და მას ტრეფიკინგის კვალიფიკაცია მიეცა. დამნაშავეს შესაბამისი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

შიდა ტრეფიკინგისთვის დამახასიათებელი ექსპლუატაციის ფორმებიდან, აღსანიშნავია აგრეთვე, არასრულწლოვანთა იძულებითი ჩაბმა მათხოვრობაში. საქართველოში, განსაკუთრებით დედაქალაქში, ძალიან მომრავლდნენ მათხოვარი ბავშვები, რომლებიც მათივე განცხადებით, მოგროვებულ თანხას ვიღაცას აბარებენ, სავარაუდოდ ამ საქმიანობის ორგანიზატორს, ანუ ზედამხედველს.

ტრეფიკინგის მრავალი მაგალითი გვაქვს აფხაზეთში რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრებაში ტრეფიკინგის არსებობა ჩვეულებრივი და დამკვიდრებული მოვლენაა, რომელზეც სამწუხაროდ რეაგირების საშუალება ქართულ მხარეს არა აქვს. იქ გამორიცხულია საკუთარი უფლებების დაცვა, რადგან ამის მექანიზმი საერთოდ არ არსებობს. ასეთ ვითარებაში ტრეფიკინგისთვის გზა ხსნილია. არსებობს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გალის მოსახლეობაში მრავლად იყო და არის შემთხვევები, როცა მათ აფხაზი ბოვეიკები ძალის გამოყენებით, დაშინებით აიძულებენ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე იმუშაონ ციტრუსებისა და თხილის პლანტაციებში, მოკრიფონ და მოაგროვონ ტონობით ციტრუსი და თხილი, და მოახდინონ მათი გადაზიდვა მოძალადის სასარგებლოდ.

ასევე ადგილი აქვს სხვა სახის ექსპლუატაციას. მაგალითად: ოჩამჩირეში მცხოვრები 35 წლის მამაკაცის განცხადებით, ის და მისი სამი მეგობარი ე.წ. აფხაზმა მეწარმეებმა წაიყვანეს ქსოხუმში საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე სამუშაოდ და სამუშაოს შესრულების შემდეგ იქიდან კუთვნილი ხელფასის გარეშე გამოსტუმრეს ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

ბოლომდე სრულად არ არის გამოვლენილი ამ რთული მოვლენის-ტრეფიკინგის ძირითადი ნიშნები და სპეციფიკა. აქედან გამომდინარე,

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ მიმდინარეობს სათანადო ღონისძიებები, ტრეფიკინგთან ბრძოლისა და პრევენციის მეთოდების შემდგომში დახვეწის მიზნით. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით, რაც ა.შ.შ.-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში დადებითად იქნა ასახული.

მიუხედავად ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან წარმატებული ბრძოლისა და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებისა, საკითხის მიმართ ახლებურმა მიდგომამ (შესწავლამ და ანალიზმა) გვიჩვენა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში აღნიშნული პრობლემატიკა პერიოდულ სახეცვლილებას განიცდის და საჭიროა კიდევ უფრო აქტიური და სისტემატიური პროფილაქტიკური მუშაობა. უფრო უნდა დაიხვეწოს სახელმწიფო პროგრამა ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში და უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მსხვერპლთა გამოვლენის საკითხებს.

განათლების დაბალი დონე და ინფორმაციის დეფიციტი - აი ის ძირითადი მიზეზები, რაც იწვევს ჩვენს თანამემამულეთა გაბმას ტრეფიკინგის მახეში. პირველ რიგში აუცილებელია ამ მიზეზების აღმოფხვრა და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება ამ მიმართულებით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სკოლებში, პედაგოგებში ამ კუთხით სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო ეფექტურად მოახდინონ ტრეფიკინგის არსის, მეთოდების, მასთან ბრძოლის პოპულარიზაცია. უნდა გაფარდოვდეს მოქმედების არეალი და მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდეს ანტიტრეფიკინგული პროგრამის რეალიზება, რადგან მთელი მოსახლეობა იცნობდეს აღნიშნულ პრობლემას და იცოდეს ტრეფიკინგის საფრთხისა და მასთან ბრძოლის თაობაზე. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე მიუთითებს ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვა, სადაც ჩანს, რომ 100 რესპოდენტიდან მხოლოდ 25% იცნობს ტრეფიკინგის პრობლემას.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ, ვინაიდან არ არსებობს ტრეფიკინგისგან თავის დასაცავად აბსოლუტურად სრულყოფილი მექანიზმი, ამიტომ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ინფორმირებული, ფრთხილი, წინდახედული, კრიტიკული!

შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის საკითხის მოგვარება, რადგან როგორც პრაქტიკიდან ჩანს, უმეტეს შემთხვევებში დაზარალებულები არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურად აისახება აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილებაზე.

თითოეულმა პირმა უნდა ითანამშრომლოს სამართალდამცავ სტრუქტურებთან, რადგან პრევენციული ღონისძიებების წარმატებისათვის აუცილებელია მკაცრად დასჯა ყველა იმ პირისა, ვისაც ოდნავი წვლილი აქვს შეტანილი ტრეფიკინგში. მან პასუხი უნდა აგოს იმაზე, რომ დაუპირისპირდა კანონს, ხელჰყო ადამიანის თავისუფლება. თითოეულმა მათგანმა უნდა ირწმუნოს, რომ “კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია!” და არსებობს იმიტომ, რომ მოისპოს უკანონობა!

სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს მკაცრი კონტროლი და აღკვეთა წერილობითი ხელშეკრულების გარეშე შემდგარი შრომითი ურთიერთობებისა, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ სიტყვიერი შეთანხმებისა და ბრმად ნდობის საფუძველზე ხდებიან პიროვნებები ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

ილია ტორუა

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის
სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

- სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი – კრიმინოლოგი, 2(3)
- გ.ლობჯანიძე – ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი, 2006 წ.
- გ.დლონტი – ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში. თბილისი, 2005 წ.
- www.google.ge
- www.police.ge

ილია ტორუა

შიდა ტრეფიკინგს თავიდან აცილების კრიმინოლოგიური ღონისძიებები რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის შიდა ტრეფიკინგი, ხაზგასმულია საქართველოსთვის აქტუალური ექსპლუატაციის ფორმები და მეთოდები. მოცემულია ტრეფიკინგის რამოდენიმე კონკრეტული ფაქტის ანალიზი და გაკეთებულია დასკვნები, რომ ტრეფიკინგის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება, რათა მათ მოახდინონ საფრთხეების იდენტიფიცირება და ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან. ასევე პრევენციული ღონისძიებების წარმატებისათვის აუცილებელია მკაცრად დასჯა ყველა იმ პირისა, ვისაც ოდნავი წვლილი აქვს შეტანილი ტრეფიკინგში. ასევე სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს მკაცრი კონტროლი და აღკვეთა წერილობითი ხელშეკრულების გარეშე შემდგარი შრომითი ურთიერთობებისა, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ სიტყვიერი შეთანხმებისა და ბრმად ნდობის საფუძველზე ხდებიან პიროვნებები ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

**Криминологические методы и способы по предотвращению трафикинга внутри страны
Резюме**

В статье рассмотрен трафикинг внутри государства, подчеркнуты актуальные для Грузии формы и методы эксплуатации. Дан анализ нескольких конкретных фактов трафикинга и сделаны выводы, согласно которым, для превенции трафикинга большое значение имеет повышение информированности населения, чтобы оно смогло идентифицировать опасности и сотрудничать с органами правопорядка. Также для успеха превентивны мер обязательно строгое наказание всех тех лиц, которые хотя бы в малейшем способствовали трафикингу. Также государство должно строго контролировать и бороться с трудовыми отношениями, которые не были оформлены в соответствующем письменном договоре. Так как в целом ряду случаев лица становятся жертвами трафикинга в результате словесного договора и слепого доверия.

**Criminological measures for Prevention domestic trafficking
The Summary**

The article describes Trafficking conducted within states boundaries, highlighting the forms and methods used by traffickers relevant to Georgia. Here are given analysis of several facts of trafficking and are made conclusions according to which, for the prevention of trafficking important is to increase awareness among possible victims, in order to enable them to identify hazards and to cooperate with law enforcement agencies. Also, for the success of preventive measures it's strongly required to punish severely all those who, at least slightly, helped committing act of trafficking. Also, the government must strictly control and deal with labor relations, which had not been decorated in an appropriate written agreement. Since cases of people becoming victims of Trafficking as a result of a verbal agreement and a blind trust is high.

ტერორიზმის გამომწვევი სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები

მეოცე საუკუნე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების მომსწრე გახდა. ორი მსოფლიო ომი, დიქტატურისა და ადამიანებზე ძალადობის უაღრესად დაუნდობელი ფორმები, ტერორი – ეს არის არასრული სია ამ პერიოდის მონაპოვრებისა. მაგრამ განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და განვითარების სისწრაფით ალბათ ტერორიზმი ნებისმიერ სხვა პრობლემას დაჩრდილავს. თუ მანამდე კაცობრიობა კონფლიქტების გადასაჭრელად აშკარა ომს მიმართავდა, თანამედროვე პირობებში გვაქვს ომის განვითარების აბსოლიტურად სტიქიური და დაუგეგმავი ფორმა. ამ ფენომენის წინააღმდეგ რეალურმა თუ მოჩვენებითმა ბრძოლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მთელ მსოფლიოში და დიდი ზეგავლენა იქონია გლობალურ პოლიტიკურ კლიმატზეც. თუმცა, იმისთვის რომ ტერორიზმთან ბრძოლას მასშტაბური შედეგები მოჰყვეს, ვფიქრობ, პირველ რიგში აუცილებელია გავანალიზოთ ის სოციალური, კულტურული თუ ფსიქოლოგიური საფუძვლები რომლებიც იწვევს აღნიშნულ დანაშაულს, ამიტომ – სჯობს ვებრძოლოთ მიზეზს და არა შედეგს.

სანამ უშუალოდ ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრებთ, მიზანშეწონილი იქნება პასუხი გაეცეს რამდენიმე კითხვას. პირველ რიგში რა არის ტერორიზმი? მისი ერთი უნივერსალური განსაზღვრება არ არსებობს. ტერორიზმის მკვლევარებმა შმიდტმა და იანგმენმა გამოყვეს ტერორიზმის 109 დეფინიცია, რომლებიც მოიპოვეს დარგის წამყვანი მეცნიერების გამოკითხვის შედეგად. ის კომპონენტები რომლების ყველაზე ხშირად ფიგურირებდა ამ განსაზღვრებებში, შემდეგია: ძალადობა, ძალის გამოყენება (83.5%), პოლიტიკური (65%), შიში (51%), მუქარა (47%), ფსიქოლოგიური ზეგავლენა და მოსალოდნელი რეაქცია (41.5%), განსხვავება სამიზნეებსა და მსხვერპლს შორის (37.5%), მიზანმიმართული, დაგეგმილი, სისტემატური, ორგანიზებული ქმედება (32%), საბრძოლო, სტრატეგიული, ტაქტიკური მეთოდები (30.5%).

გაერთიანებული სამეფოს მთავრობა აცხადებს რომ ტერორიზმი არის მუქარის გამოყენება პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად, რომელიც მოიცავს სერიოზულ ძალადობას ნებისმიერი პიროვნების ან საკუთრების წინააღმდეგ. ამერიკელი ექსპერტი უოლტერ ლაკერი კი ამბობს რომ ამ არასახელმწიფოებრივი ძალადობის აქტის მთავარი მიზანია დანერგოს საზოგადოებაში შიში და პანიკა. მსოფლიოში არსებული განმარტებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი ცხადია, რომ უმთავრესი რაც ტერორიზმს სხვა სახის დანაშაულებებისაგან განასხვავებს, არის არა უშუალო მიზნის მიღწევა, არამედ მასთან ერთად ამ აქტით უფრო ფართო მასებზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა. ამიტომ, ტერორიზმის მსხვერპლთა წრე გაცილებით ფართოა, ვიდრე უშუალოდ მათი რიცხვი, ვინც ფიზიკური დაზიანება მიიღო.

ისმის მეორე კითხვა, თუ ვინ შეიძლება გახდეს ტერორიზმის მსხვერპი. პასუხის გაცემა მარტივია – პირობითად ყველა. ტერორიზმის სამიზნე სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება უბრალო ადამიანები, მშვიდობიანი მოსახლეობა. თუ ადრეულ პერიოდში ტერორისტები მსხვერპლს უფრო საგულდაგულოდ არჩევდნენ (ჩინოვნიკები, ბიზნესმენები, მონარქები და სხვ), დღეს, რაც შეიძლება მასშტაბური ეფექტის მოხდენის მიზნით, უფრო ხელსაყრელი ხდება არაფრით გამორჩეული ადამიანების ამოღება მიზანში,

რათა ამ მოვლენისადმი არავინ დარჩეს გულგრილი. ტერორისტული აქტის მთავარი ფუნქციაც სწორედ ეს არის, რომ ბრძოლაში ნებისთ, თუ უნებლიეთ ჩართონ ყველაზე დაუინტერესებელი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანებიც კი, აგრძობინონ, რომ ის, რაც მათ თითქოს არ ეხებათ, სინამდვილეში ძალიან ახლოს შეიძლება აღმოჩნდეს მათთან. მიზანი ერთია – არ მისცენ საზოგადოებას მოდუნების საშუალება. მაგალითად, 2002 წელს მოსკოვის თეატრალურ ცენტრში მიუზიკლის სანახავედ მისულთა უმრავლესობა ტერორისტების მიერ შენობის დაკავებამდე შესაძლოა, სრულიადაც არ ფიქრობდა რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტზე და თვლიდა, რომ ეს მათი საქმე სულაც არ იყო.

ტერორისტული აქტის მიზანი ნათელია – დათესოს შიში მოსახლეობაში, ამგვარად მოახდინოს გავლენა ხელისუფლებაზე და მოიპოვოს ძალაუფლება. ამის მიღწევის მარტივი გზა უნდააშაულო, უბრალო ადამიანებზე თავდასხმაა. თუმცა, ყველაზე საინტერესო და რთული იმის დადგენაა თუ რატომ ირჩევენ ტერორისტები ბრძოლის ამ ხერხს, როგორ მიდიან იმ დასკვნამდე რომ მოცემულ მომენტში და ადგილას ყველაზე მეტად შესაფერისი სწორედ ტერორისტული აქტია. არის ეს მათი პიროვნული არჩევანი, თუ თემის ცხოვრების წესს აყოლილი გაუთვიცნობიერებელი ადამიანების ქცევა? ბოლომდე სწამთ თუ არა ტერორისტებს იმ დიადი მიზნების რომლებსაც ემსახურებიან? იბადებიან ისინი ტერორისტებად თუ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე არსებული კულტურული, სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფონის საფუძველზე ხდებიან ყველაზე საშიში და არაპროგნოზირებადი დამნაშავეები? სწორედ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შევეცდები მოცემულ ესეში.

ტერორიზმის წყაროებისა და საფუძვლების შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. მიზეზები რთული და მრავალწახნაგოვანია და ტერორიზმი ხშირად არა ერთი, არამედ მიზეზთა რთული რიგით არის გამოწვეული. შეიძლება ითქვას, რომ კულტურული და სოციალური ფაქტორები ტერორიზმის ფენომენების ახსნისას ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ ისინი იძლევა საშუალებას აიხსნას ადამიანთა ესოდენ მაღალი ჩართულობა ამ საქმიანობაში. ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება მივიჩნიოთ სიღარიბე და უთანასწორობა, რეგიონალური კონფლიქტები, დასავლური და განსაკუთრებით ამერიკული ექსპანსია, დეფორმირებული ფსიქიკის მქონე ადამიანების არსებობა. თუმცა, საკითხავია თუ რამდენად შეიძლება მათზე ტერორიზმის დაყვანა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პრობლემებს ყოველთვის და ყველგან ტერორიზმით არ პასუხობენ. შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს, რომ ტერორიზმი ყოველთვის ურთიერთდამოკიდებული ფაქტორების რთული კომპლექსის შედეგია და ის რაც დამახასიათებელია ერთი ჯგუფისთვის შეიძლება სრულებით არ პასუხობდეს მეორე ჯგუფის ქმედებებს.

კულტურა აყალიბებს ღირებულებებსა და მოტივაციებს სამოქმედოდ. იგი აწესებს ადამიანთა ქცევის რაციონალობა-ირაციონალობას, რომლებიც შესაძლოა გაუგებარი და მიუღებელი იყოს მის ფარგლებს გარეთ. საზოგადოებაში, სადაც ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენენ ჯგუფის (ოჯახი, კლანი და ა.შ.) ტერმინებში, შეიძლება არსებობდეს მზაობა თვითშეწირვისათვის, რაც იშვიათია სხვაგვარ კულტურებში. ზოგჯერ ტერორისტები მზად არიან გაწირონ სიცოცხლე ორგანიზაციისა და მისი ინტერესისათვის, მით უფრო არად აგდებენ სხვების სიცოცხლეს, რომელიც მათი გადმოსახადიდან ღირებულების არმქონეა.

ზოგიერთი ავტორი საუბრობს ტერორიზმის ეთნოკულტურულ ფესვებზეც. მაგალითად, გ.ხუციშვილი ფიქრობს, რომ ტერორიზმის ეთნოტრადიციულ ძირს წარმოადგენს სისხლის ადების ადათი. თემურ წყობილებაში, სადაც ადამიანთა ძირითადი იდენტიფიკაცია ხდებოდა სისხლისა და გვარის მიხედვით, კონკრეტული ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულში ბრალს მის „ცუდ სისხლს“ სდებდნენ და შურისძიებაც კოლექტიურ მტერზე ხდებოდა. მოგვიანებით ეს პრინციპი შეიცვალა და მთავარი გახდა ადამიანი, რომელიც პიროვნულად აგებს პასუხს და არა კოლექტიურად, როგორც გვარის ან ტომის წარმომადგენელი. თუმცა, მსგავსი მოდერნიზაცია ბოლომე ყველა საზოგადოებას არ განუცდია. ხუციშვილი დასძენს, რომ მსოფლიოში დღესაც არსებობს ისეთი გადმონაშთები როგორცაა ეთნო და რელიგიური სტერეოტიპები, კულტურული იზოლაციონიზმი და ქსენოფობია.

რელიგია არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კულტურული მაიდენფიცირებლებიდან, რადგან როგორც ღირებულება არის ძალიან ღრმა და წმინდა. რელიგია განსაზღვრავს აწყმოს, წარსულსაც და მომავალსაც. რელიგიურად მოტივირებული ტერორისტებიც, სხვებისგან განსხვავებით, თავიანთ ქმედებებს არა მარტო მორალურად გამართლებულად, არამედ ღმერთის მიერ სანქცინირებულადაც კი თვლიან. აქედან მოდის რელიგიურ-ექსტრემისტულ ჯგუფებში, ხშირად სიკვდილისათვის მზადყოფნაც კი. მათ მიეკუთვნება ისლამური ფუნდამენტალიზმიც რომელიც დღეს ყველაზე ძლიერ შეშფოთებას იწვევს. მუსულმანისათვის არ არსებობს სასულიერო ხელისუფლება გამოყოფილი საერო ხელისუფლებისაგან. ამას ნათელყოფს ის ფაქტი, რომ ხალიფა როგორც სასულიერო ისე საერო ხელისუფალია. ფუნდამენტალიზმი შეიძლება არა მხოლოდ ქადაგებდეს რწმენის დაცვასა და განწმენდას, არამედ იყოს აშკარად აგრესიული ხასიათის – მოუწოდებდეს ჯიჰადისაკენ, რომელიც სხვა ფორმებთან ერთად გამოიხატება ურჯულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგულისხმებიან ქრისტიანებიც, რომლებიც დასავლეთს განასახიერებენ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური ჩვევები და ისტორიული ტრადიციები, რომლებიც სანქციას აძლევენ ძალადობის გამოყენებას მთავრობის წინააღმდეგ, ხდიან მორალურად და პოლიტიკურად გამართლებადს და ზოგჯერ ხელსაყრელ ფორმასაც კი კარნახობენ, როგორცაა დემონსტრაციები, სახელმწიფო გადატრიალება ან ტერორიზმი. ამის საუკეთესო მაგალითია ირლანდია, სადაც ფიზიკური ძალის გამოყენების ტრადიცია მოდის მეთურამეტე საუკუნიდან.

ტერორიზმის ერთ-ერთი პირობა შეიძლება იყოს კონკრეტული წყენის და უკმაყოფილების არსებობა იდენტიფიცირებულ სუბჯგუფებში უმრავლესობის მიმართ. უმცირესობებში სოციალური მოძრაობები ვითარდება იმ მიზნით, რომ შეამციროს ეს წყენა და მიაღწიოს თანაბარ უფლებებს უმრავლესობასთან. ასევე მნიშვნელოვანი პირობაა პოლიტიკური შესაძლებლობის ნაკლებობა. რეჟიმი, რომელშიც ძალაუფლება არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი და იდენტიფიკაციის ოპოზიციონერები, იწვევს უკმაყოფილებას. ხშირად მთავრობის არაადეკვატური რეაგირება, მოულოდნელი უჩვეულო ძალის გამოყენება რაიმე სახის პროტესტის ან რეფორმების მიმართ, ახდენს ტერორისტური შურისძიების პროვოცირებას.

ტერორიზმის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს დემოგრაფიაში. დემოგრაფიული გამოკვლევებით მტკიცდება, რომ იმ ზონებში სადაც მაღალია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის დონე, ასევე მაღალია შობადობის

მაჩვენებლები, განვითარებისა და ცხოვრების პირობები კი – დაბალი. ამგვარი ვითარება აძლიერებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აგრესიულობას, აძლიერებს „დიადი სახელმწიფოს“ შენების იდეებს და მშვენიერ გარემოს ქმნის ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, შიდა და გარე ეთნიკური კონფლიქტებისათვის. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში ტერორიზმის პიკი (1960-1970-იანი წლები) მოდის მაქსიმალური შობადობის პერიოდში. მას შემდეგ რაც შობადობამ იკლო, შემცირდა იმ ახალგაზრდათა რიცხვი ვინც პოტენციურად შეიძლება ყოფილიყვნენ ამ ორგანიზაციების წევრები.

მრავალი ექსპერტი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ტერორიზმის განვითარების მაღალი დონისა გარკვეულ რეგიონებში მას არ აქვს ეროვნება და საამისო პოტენციული ყველა ხალხში შეიძლება არსებობდეს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტერორისტები ხშირად ახალგაზრდა, საკმაოდ განვითარებული და განათლებული ახალგაზრდები არიან, რომელთათვისაც ძალადობა მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. ტერორისტები გულმხურვალედ ერთგულებენ რაღაც იდეას, რომელიც აიძულებთ კიდევ მისი სახელით ჩაიდინონ ძალადობა. თუმცა, ხშირად ტერორისტებად ყალიბდებიან არა იმიტომ, რომ თავად მივიდნენ ამა თუ იმ იდეის სიდიადის გაცნობიერებამდე, არამედ იმიტომ, რომ ჩართულნი აღმოჩნდნენ ამ საქმიანობაში უშუალო გარემოს მიერ, ეს განაპირობა მათ გარშემო არსებულმა ლოკალურმა კულტურამ. ამ შემთხვევაში, ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულობა არის მასთან იდენტიფიცირების გზა, ან უბრალოდ შიშის შედეგი, რომ არ დაგწამონ ლაჩრობა და დალატი. მაგალითად, საკითხავია აქვს თუ არა ბელფასტელ ახალგაზრდას არჩევანი, რომლის ყველა უახლოესი ადამიანი ტერორისტულ საქმიანობას ეწევა.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ტერორისტები ძირითადად არიან გატყევილი ბედის, გაზვიადებული თავმოყვარეობისა და მაღალი თვითშეფასების მქონენი. ბევრი მათგანი ფატალისტიც არის, რომლებიც ეძებენ მაღალ იდეებს, შემდეგ კი ცდილობენ მათ განხორციელებას. ტერორისტებში შეიძლება გამოიყოს კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი – რაღაცის ნაკლებობის, დეფიციტის, ზიანის განცდა. ეს შეიძლება იყოს ბავშვობაში დახოცილი ახლობლები, რაც იწვევს შურისძიების სურვილს, ნაკლებობა სოციალურ-ეკონომიკურ პლანში, უმწეობისა და უპერსპექტივობის განცდა. მაგალითად, პალესტინის ლტოლვილთა ბანაკებში, სადაც არ არის შექმნილი განათლების მიღების, დასაქმებისა და თვითგანვითარებისათვის ელემენტალური პირობები, ახალგაზრდებში იზრდება დეპრესიული ფონი და სასოწარკვეთა, საიდანაც მარტივი გამოსავალი სუიციდია. ეს ცოდვაა, შაჰიდად სიკვდილი კი დიდი პატივია და წამებულის გვირგვინის დადგმას ნიშნავს.

ტერორისტებს შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომლებსაც განათლების მიუხედავად სოციალურ კიბეზე აღმასვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ, ოჯახურ-ნათესაური კლანების არსებობის გამო. ამ სფეროში კი იპოვეს საკუთარი თავი (მაგალითად, არაბულ სამყაროში მოღვაწე ტერორისტები). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტერორისტული ორგანიზაციები მატერიალურადაც ეხმარებიან თავიანთ წევრებს. მათში გაერთიანებით ამ ახალგაზრდების სიცოცხლეს და სიკვდილს რაღაც მნიშვნელობას იძენს.

ტერორისტთა უკვე განხილულ ტიპებს ვოლშანსკი აყალიბებს მათი მოტივების მიხედვით და გამოყოფს მოტივთა ექვს კატეგორიას:

1. მერკანტილური მოტივი, ანუ რაიმე მატერიალურისადმი სწრაფვა.
2. იდეოლოგიური მოტივი.
3. სამყაროს გარდაქმნის მოტივი.
4. საკუთარი ძალაუფლების სხვებზე გავრცელების მოტივი.
5. ტერორიზმის, როგორც მოღვაწეობის სფეროს მიმზიდველობა და საინტერესოება. (განსაკუთრებით ეხებათ მატერიალურად უზრუნველყოფილ და განათლებულ ტერორისტებს, რომლებსაც არ ამოძრავებთ მერკანტილური და იდეოლოგიური მოტივები)
6. თვითრეალიზაციის მოტივი.

ამბობენ, რომ ადამიანები, რომლებმაც ერთხელ მაინც მიიღეს მონაწილეობა ტერორისტული ჯგუფის საქმიანობაში, სამუდამოდ ხელფეხშეკრულნი არიან. გამორიცხული არ არის, რომ მათ შორის ბევრს, განსაკუთრებით კი პოტენციურად სასიკვდილოდ განწირულს გულის სიღრმეში იმედი აქვს, რომ შეძლებს გაექცეს ასეთ ბედს. საინტერესოა როგორ ახერხებენ კამიკაძეები სიკვდილის შიშის გადალახვას? ერის ფრომი აღნიშნავდა, რომ საამისოდ ერთადერთი გზაა არ მიფუდგეთ ცხოვრებას, როგორც საკუთრებას. სიკვდილის შიში საკუთარი მე-ს, სხეულის, საკუთრების, იდენტურობის დაკარგვის შიშია. რადგან ადამიანი მესაკუთრეა, მას ეშინია სიკვდილის. ამ შიშის გადალახვა კი შესაძლებელია საკუთრების პრინციპის შემცირებით. ტერორისტთა უმრავლესობა ყოველთვის იყო უქონელი, ისინი კი ვინც შეძლებული ფენებიდან იყვნენ, ტერორისტული მოღვაწეობის დაწყებისთანავე წყვეტდნენ კავშირს ძველ გარემოსთან და უარს ამბობდნენ ყველაფერზე, მათ შორის ქონებაზე. ეს კი სიცოცხლეზე უარის თქმასაც აადვილებს.

როგორც უკვე აღინიშნა ტერორიზმი წარმოიშევა, როგორც პასუხი რაღაც პრობლემაზე, ან როგორც მისი გადაჭრის გზა. ძნელია გადაჭრით იმ რეკომენდაციების შემუშავება თუ რა უნდა გაკეთდეს ტერორიზმის დასაძლევად ან თუნდაც მისი ზრდის თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან ეს არის ძალიან რთული და კომპლექსური ფენომენი რომელიც ამოდის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. მიმაჩნია, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ვერ გამოიღებს დიდ შედეგებს თუ იგი განიხილება როგორც პოსტ ფაქტუმ, ანუ უშუალოდ შედეგებიდან ამოსვლით მისი მიზეზების გაანალიზების გარეშე. ტერორიზმის პრევენციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ფაქტორების ცოდნა და მათზე რეაგირებაა. ასე მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს ტერორიზმის სოციალურ ფესვებთან, რაც გამოიხატება სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობაში, ცხადია შეუძლებელია აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა, მაგრამ სახელმწიფო უნდა ეცადოს შექმნას ძლიერი საშუალო ფენა და გარკვეულწილად ადაღინოს წონასწორობა. როდესაც ტერორიზმს აქვს რელიგიური ფესვები, ასევე აუცილებელია გარკვეული სტრატეგიის შემუშავება და არა ახალი სექტების აკრძალვა და მისი მიმდევრების დაპატიმრება, რის შედეგადაც ისინი უფრო პოპულარულები ხდებიან და შესაძლოა უფრო მეტი სურვილიც გაუჩნდეთ სახელმწიფოს გადატრიალების. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობებისადმი უსამართლობის ფაქტებიც. ასევე პოლიტიკაში ჩართულობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პირისათვის.

და მაინც ტერორიზმი არ არის ის თემა, რომელზე საუბრისას ან ლიტერატურის გაცნობის შემდეგ მეტ-ნაკლებად ზუსტი და მკაფიო აზრი ჩამოყალიბდება. პირიქით, რაც უფრო უღრმავდები მას უფრო მეტი ეჭვი და პასუხგაუცემელი კითხვა რჩება. ისევე როგორც ტერორიზმის განსაზღვრებები,

მისი საფუძვლები და გადაჭრის გზები მაინც საკამათოა, ექსპერტების მიერ ამ საკითხის წლობით შესწავლის შემდეგაც კი. ტერორისტული საქმიანობის განხილვისას აუცილებელია სერიოზული დასაბუთება და კონკრეტული ადგილის, დროის და გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება. თუმცა, ამ პრობლემაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება და ჩაღმავება მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისათვის. ამ ფენომენისათვის ხომ არ არსებობს უდანაშაულო ადამიანი და არავინ იცის თუ ვინ იქნება შემდეგი.

ნინო ნანიტაშვილი

თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საყვარელიშვილი მ., ტერორიზმის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული საფუძვლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2004;
2. ხუციშვილი გ., ტერორიზმი რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ? თბილისი, 2003;
3. Ольшанский Д.В., Психология Террора, Москва, 2002
4. Terrorism Research Centre, The Terrorism Reader, 2003
5. Ganor B., Terror As a Strategy of Psychological Warfare, 2002
6. <http://phyfaqtor.org>

ნინო ნანიტაშვილი

ტერორიზმის გამომწვევი სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტერორიზმის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა რომელიც გამომდინარეობს ამ მოვლენის სირთულის და მრავალსახოვნებისგან. აქცენტი გაკეთებულია ტერორისტთა მოტივებზე, რომლებთან გამოირჩევა მერკანტილური, იდეოლოგიური, სამყაროს გარდაქმნის, საკუთარი ძალაუფლების სხვებზე გავრცელების და თვითრეალიზაციის მოტივები. შესაბამისად ავტორი ტერორიზმის წყაროებისა მიზეზთა შორის განიხილავს კულტურულ და სოციალურ ფაქტორებს, მათ შორის: სიღარიბეს და უთანასწორობას, რეგიონალური კონფლიქტებს, დასავლურ და განსაკუთრებით ამერიკული ექსპანსიას, სოციალურ ჩვევებს და ისტორიული ტრადიციებს (რომლებიც სანქციას აძლევენ ძალადობის გამოყენებას მთავრობის წინააღმდეგ), კონკრეტული წყენის და უკმაყოფილების არსებობას იდენტიფიცირებულ სუბჯგუფებში უმრავლესობის მიმართ, რელიგიურ მოძღვრებას და სხვა მრავალ ფაქტორებს. ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ტერორიზმი წარმოიშობა, როგორც პასუხი რაღაც პრობლემაზე, ან როგორც მისი გადაჭრის გზა, რისგამოც ძნელია გადაჭრით იმ რეკომენდაციების შემუშავება თუ რა უნდა გაკეთდეს ტერორიზმის დასაძლევად ან თუნდაც მისი ზრდის თავიდან ასაცილებლად.

ვინაიდან ეს არის ძალიან რთული და კომპლექსური ფენომენი რომელიც ამოდის კონკრეტული ვითარებიდან. - რომ, ტერორიზმთან ბრძოლა ვერ გამოიღებს დიდ შედეგებს თუ იგი განიხილება როგორც პოსტ ფაქტუმ, ანუ უშუალოდ შედეგებიდან ამოსვლით მისი მიზეზების გაანალიზების გარეშე. და, შესაბამისად, აუცილებელია სერიოზული დასაბუთება და კონკრეტული ადგილის, დროის და გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება.

ნინო ნანიტაშვილი

**Культурные, социальные и психологические факторы вызывающие терроризм
Резюме**

В статье рассмотрена вытекающая из дефиниции терроризма проблематика, которая обусловлена сложностью и многоликостью этого явления. Из мотивов террористов в основном акцентирован меркантильные, идеологические мотивы, а также присутствует мотив передела мира, самореализации, и распространения своей власти над другими. Автор рассматривает следующие культурные и социальные причины терроризма: неравноправие и бедность, региональные конфликты, экспансию американских и западных ценностей, религия и многое другое. Автор делает заключение, что терроризм зарождается как ответ на какую-то проблему, или как способ ее решения. Поэтому трудно давать однозначные рекомендации по борьбе с терроризмом или же с ростом его уровня, так как это очень сложный и комплексный феномен, который зарождается из конкретной ситуации. Так же автор считает, что борьба с терроризмом не даст больших результатов, если терроризм будет рассматриваться постфактум, то есть исходя только из результатов без анализа его причин. По мнению автора нужен серьезный анализ, и выводы можно делать только исходя из конкретного места, времени и обстоятельств.

Nino Nanitashvili

**Social, Cultural and Psychological factors of Terrorism
The Summary**

The article discusses problems related to the definition of terrorism, which is due to the complexity of this phenomenon. Author emphasizes on the motives of terrorists, who are distinguished by mercantile, ideological motives, willingness to transform the world and spread their power over others and self-realization –finding a place in society. Author talks about the reasons of terrorism as cultural and social factors: including poverty and inequality, regional conflicts, the Western and especially American expansion, social habits and historical traditions (which sanction their violence against the government), the specific offense and dissatisfactions, religious doctrines and other factors.

The author concludes that terrorism arises as a response to some problem, or as a mean to solve this problem. Therefore it's hard to develop recommendations on what should be done in combating terrorism in order to overcome or at least avoid its growth, because it is a very complex phenomenon which is coming from concrete situation. Fight against terrorism cannot bring great results if it is treated as a Post-factum, i.e., from the results without analyzing its causes. Conclusions should be made only after analyzing concrete place, time and circumstances.

ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულობა

ადამიანთ ვაჭრობა, ტრეფიკინგი, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ განიხილება როგორც მონობის თანამედროვე სახეშეცვლილი ფორმა. ტრეფიკინგი მოიცავს პირის ძალისმიერ, მოტყუებით ან იძულებით რეკრუტირებას, მალვას შექენას, ტრანსპორტირებას ისეთი არანებაყოფლობითი აქტების ჩადენის მიზნით როგორცაა: კომერციულ-სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული აქტები ან არანებაყოფლობითი შრომა.

ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხშირ შემთხვევაში არიან საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენის წარმომადგენლები, ასავე შეიძლება იყვნენ უმაღლესი განათლების, ყველა რასისა და კლასის წარმომადგენლები. მისი ხელშემწყობი პირობებია: მიგრაციული პროცესების ინტენსივობა ეკონომიკური კრიზისი, ქვეყნის კანონმდებლობის ნაკლოვანებები. ტრეფიკერები ფაქტობრივად ერთსა და იმავე კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს მიმართავენ: მსხვერპლისათვის პასპორტის, დაბადებისა და პირადობის მოწმობის, უბის წიგნაკის წართმევას, ფიზიკურ ძალადობას (ცემა, გაუპატიურება) დამცირებას, კრიმინალურ ქმედებაზე დახმარებას, იზოლირებას, ოჯახის წევრებისათვის ზიანის მიყენების მუქარას და ა.შ.

UNICEF-ის საორიენტაციო მონაცემებით ყოველწლიურად 1,2 მილიონი ადამიანი ხდება ვაჭრობის მსხვერპლი. მათი უმრავლესობა აღმოსავლეთ აზიიდან მოდის. ევროპაში 500000 ადამიანი არის ყოველწლიურად ტრეფიკინგირებული, 20000 ამერიკის შეერთებულ შტატებში. ადამიანთ ვაჭრობა ასავე მატულობს აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და სამხრეთ ამერიკაში. ტრეფიკინგის მსხვერპლთა 70% არიან ქალები და გოგონები, ასევე არასრულწლოვნები. ისინი უმეტესად სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან. გარდა ამისა მათ იაფ მუშახელად იყენებენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. პატარა ბიჭებს კი აიძულებენ “საბავშვო არმიაში” გაწევრიანდნენ, რომელიც ძირითადად აფრიკის ქვეყნებში მოქმედებს. ექსპერტთა გამოთვლებით, დანაშაულებრივი სამყაროსათვის ტრეფიკინგს ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიარდი მოგება მოაქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასკვნით, მსოფლიოში ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული ყოველი მეხუთე არასრულწლოვანია. საერთაშორისო ანგარიშის ავტორებმა ადამიანთა ვაჭრობის საკითხის გარკვევისას 155 ქვეყნის მდგომარეობა შეისწავლეს და გაკეთებული მონიტორინგის საფუძველზე განაცხადეს, რომ ფინანსური კრიზისის ფონზე, ადამიანებით ვაჭრობის ფაქტების რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. 2009 წლის განმავლობაში ქალებისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტებმა დიდ მასშტაბებს მიაღწია. მთელ მსოფლიოში 12 მილიონი ადამიანი ცხოვრობს სხვადასხვა ფორმისა და სახის ექსპლუატაციის ქვეშ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, თანამედროვე მონობის მსხვერპლი მსოფლიოში 200 მილიონი ადამიანი გახდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შავ სიაში მოხვდნენ საუდის არაბეთი, კუვეითი, კატარი, ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, ალჟირი, კუბა, ირანი, მოლდოვა, ახალი გვინეა, კორეა, სუდანი და სირია. მაგალითად: 2009 წელს

ჩინეთის პოლიციამ ნახევარი წლის განმავლობაში 2 ათასზე მეტი გატაცებული ბავშვი იპოვა, რომელთა გაყიდვასაც გამტაცებლები აპირებდნენ. ჩინელი სამართალდამცავების განმარტებით, ყოველწლიურად ჩინეთში ასობით ბავშვი იკარგება. სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემებით ციფრი ათასებს აღემატება. განსაკუთრებით ადამიანით მოვაჭრეები დაინტერესებულნი არიან ჩინელი ბიჭებით, რომელთა ღირებულება 6000 დოლარს აღწევს, მაშინ როდესაც გოგონებს 500 დოლარად ყიდიან. არა ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ბავშვებს აიძულებენ შეასრულონ მძიმე სამუშაო. დაკარგული ბავშვების მშობლები უმეტესწილად ღარიბი ფენის წარმომადგენლები არიან. იმისათვის, რომ გაადვილდეს დაკარგული ბავშვების პოვნა, ჩინეთის ხელისუფლებამ შექმნა ღმ-ის ნაციონალური ბაზა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპერტამენტის მონაცემებით, იმ ქვეყნებს შორის, სადაც მონური შრომა და ადამიანების სასტიკი ექსპლუატაცია ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციაა. ამავე მონაცემებით, რუსეთში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფებები არა მარტო სხვა ქვეყნებში ახდენენ ადამიანთა ექსპორტს, არამედ “იმპორტის შემოტანითაც” არიან დაკავებულნი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თავად რუსი სამართალდამცავებიც ამხვილებენ ყურადღებას. რუსეთის ფედერაციის საქმეთა სამინისტროს საგამომიებო კომიტეტის ინფორმაციით, მონური შრომისათვის გაყიდული რუსეთის მოქალაქეების რიცხვი ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიზარდა. დაკარგულ მოქალაქეთა უმრავლესობა მოზარდია. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მონური შრომისათვის რუსეთიდან ძირითადად ქალები და ბავშვები შეჰყავთ, ეს არა მარტო ქვეყნის უსაფრთხოებას, არამედ ნაციონალურ გენოფონდსაც სერიოზულ საშიშროების წინაშე აყენებს, აცხადებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რუსეთის წარმომადგენელი.

თვით შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იძულებით 17 ათასი თანამედროვე მონა შეჰყავთ.

ქსოფიაში ერთ-ერთ კონფერენციაზე საზოგადოებრივი პოლიტიკის არასამთავრობო და არაკომერციულმა ინსტიტუტმა **RISKMONITOR**-მა წარმოადგინა ანგარიში, რომლის თანახმად ბულგარეთიდან ადამიანის გაყიდვით ყოველწლიურად 1,3 მილიარდ ევროს გამოიმუშავენ.

აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლის როლში საქართველოს მოქალაქეებიც გვევლინებიან. ფაქტის დამადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვან: 2003 წლის 12 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ვინმე მარიამ არუთინოვის მიმართ. დადგენილია, რომ ყალბი პასპორტით გადალახა საქართველოს სახმელეთო საზღვარი და მოტყუებით სამუშაოზე მოწყობის მიზნით ანკარაში წაიყვანა თერჯოლის რაიონში მცხოვრები ორი მოქალაქე, წაართვა პასპორტები, ჩააბარა ვინმე “სეველას”, რომელიც შანტაჟით ფიზიკური და მორალური ზეწოლით აიძულებდა სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას.

მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე სახელმწიფოები შეიძლება დავეყთ:

- ტრეფიკინგის წარმომშობი სახელმწიფოები-რომლის მოქალაქე არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი.

- დანიშნულების სახელმწიფოები - რომლის ტერიტორიაზეც ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას.
- ტრანზიტი სახელმწიფოები-რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანთა ვაჭრობა.

კვლევებით დადგინდა, რომ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული მსოფლიოს დანაშაულების რიცხვში სიმძიმითა და გავრცელებით მესამე ადგილზე დგას. მის შესაფასებლად და საბრძოლველად სამი დონე განსაზღვრეს.

- კანონი-სადამსჯელო ღონისძიებები
- დაცვისა და დახმარების ღონისძიებები
- პრევენციული და დახმარების ღონისძიებები

ამ პროცესში ჩაერთო მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ სამივე დონეს. არიან სახელმწიფოები, რომლებიც რომელიმე დონეს აკმაყოფილებენ და სახელმწიფოები რომლებიც არ აკმაყოფილებენ და არც აქვთ სურვილი დააკმაყოფილონ რომელიმე დონე.

დღეს ადამიანთა ვაჭრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი სახელმწიფო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციაა ჩაბმული. მიღებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მაგალითად: ევროსაბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლის მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვა, მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვისა და დახმარების ყოვლისმომცველი გარემოს შექმნა, რომელშიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას გენდერული თანასწორობა, ასავე ეფექტური გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა. იგი 16 მუხლისგან შედგება.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით საქართველო ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა წარმოშობისა და სატრანზიტოდ გამოყენებული ქვეყნის როლში გამოდის. ამიტომ ამის მიმართულებით მსხვერპლთა დაცვისა და დანაშაულის ეფექტური გახსნისათვის, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკული საქმიანობით, მთელი რიგი ღონისძიებები დაიგეგმა და განხორციელდა.

1. 2006 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილია ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საორბიწო საკოორდინაციო საბჭო., რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი და კოორდინირებას უწევს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის სისხლის სამართლის სამართლებრივი დევნისა და ამ დანაშაულის პრევენციის მიმართულებით.

2. 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია დოკუმენტი “საქართველოს კანონი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

3. 2006 წლიდან მოქმედებს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი. ფონდი უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას, სამედიცინო დახმარებას, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, ეხმარება თავშესაფართ, დაცულია ანონიმურობა. საქართველოში ამ დროისათვის არსებობს ოთხი ასეთი თავშესაფარი – ორი ტრეფიკინგით დაზარალებულთათვის და ორი ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულთათვის. საცხოვრებელი ადგილი კონფედერაციულურია. ოთხი ადამიანი იმყოფება თბილისში, ოთხი ბათუმში. თვითოეულ მსხვერპლზე განსაზღვრულია თანხა. თავშესაფარში დარჩენა ნებაყოფლობითია.

4. საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავა 2009–2010 წლების ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის ერთ-ერთი საკითხია “ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების უფლებების დაცვა”.

5. საქართველო შეუერთდა “ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციას, რომლის თანახმად საქართველო თანამშრომლობს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებთან ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორცაა გატაცებული ბავშვების დაბრუნების უზრუნველყოფა და სხვა. მუშაობის პროცესში ჩაერთო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელმაც ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით 2005 წელს დაიწყო სამწლიანი პროექტი “არა!–ადამიანებით ტრეფიკინგი”. პროექტის ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩატარდა სემინარები მოსახლეობის და სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის.

6. 2010 წელს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით ქალაქ ბათუმში ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის წინააღმდეგ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. იძულებითი შრომა უკანასკნელ პერიოდამდე არ განიხილებოდა, როგორც კერძო ბიზნესისა და მეწარმეთა ორგანიზაციების პრობლემა. ბოლო პერიოდში ეს ტენდენცია შეიცვალა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებმა აჩვენა, რომ იძულებითი შრომა ხუთი შემთხვევიდან მთელ მსოფლიოში ოთხი დაკავშირებულია კერძო სექტორთან. იძულებითი შრომა ეს არის კრიმინალური პრაქტიკა, რომელიც აკრძალულია, როგორც საერთაშორისო სამართლით, ისე ყველა ეროვნული კანონმდებლობით. ნებისმიერი ბიზნესი, რომელიც სარგებლობს მსგავსი ექსპლუატაციით, მის წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია საქართველოში 2003 წელს მოხდა. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი 143¹ მუხლით დასჯადად გამოცხადდა ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რომელიც მიმათულია სრულწლოვანი ადამიანის წინააღმდეგ. 143² მუხლი დასჯადად აცხადებს არასრულწლოვნით ვაჭრობას. 143³ მუხლი კი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წელს შევიდა, დასჯადად აცხადებს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას.

2006 წელს შეტანილი ცვლილებებით გაიზარდა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩადენისათვის გათვალისწინებული სანქცია და დაწესდა იურიდიული პასუხისმგებლობა. მინიმალური სასჯელი, გათვალისწინებული 143¹ მუხლით, არის თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, მაშინ როდესაც 143²

მუხლი მინიმალურ სანქციით 8 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მაქსიმალური სანქციები კი განსხვავებულია. კერძოდ, 143¹ მუხლის მაქსიმუმ 20 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, 143² მუხლის შესაბამისად შესაძლებელია უვადო თავისუფლების აღკვეთაც. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლით მომსახურების სარგებლობა კი, 143³ მუხლის შესაბამისად, 3-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიღებული დოკუმენტები, კანონები, ჩატარებული ღონისძიებები, ალბათ გახდა საფუძველი იმისა, რომ 2010 წლის 14 ივნისს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას, მსოფლიოს მაშტაბით შეფასებული 176 სახელმწიფოდან, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ე.წ. “პირველ კალათაში” მოხვდა. შეფასება ეფუძნება სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, როგორცაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნა და პარტნიორობა მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ამ მიმართულებით.

აღნიშნულ ანგარიშში სპეციალური ნაწილი ეთმობა თითოეული შეფასებული ქვეყნისთვის რეკომენდაციებს. ამერიკის დეპარტამენტის მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციები შემდეგია: “გაგრძელდეს მსხვერპლთა დახმარების პროგრამების დაფინანსება; გაგრძელდეს იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა რაოდენობის გაზრდა, რომელთა რეფერირება მოხდება დახმარების არსებულ სისტემაში; გაგრძელდეს პრაქტიკა, რომლის თანახმად აკრძალულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაჯარიმება, ან სხვაგვარი დასჯა უშუალოდ ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებებისთვის; გაგრძელდეს სერიოზული საქმიანობა როგორც შრომითი, ისე სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისათვის”.

ანუკა მაისურაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ღლონტი, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოში, თბილისი 2005 წელი
2. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში <http://www.state.gov/gtip/tis/tiprpt/2010/14.06.2010> წელი.
3. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
4. “საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის” კონფერენციის “სამხრეთ კავკასიაში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საქმიანობის განვითარება” მასალები. 23.09. 2010 წელი.
5. ევროსაბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
6. <http://24saati.ge/2010> წელი.
7. <http://justice.gov.ge/>
8. <http://www.police.ge/>

**ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც საერთაშორისო ხასიათის
დანაშაულობა
რეზიუმე**

ავტორის მიერ განხილულია აღნიშნულ დანაშაულზე არსებული საერთაშორისო კვლევების შედეგები. ნაჩვენებია ამ დანაშაულის ზრდის ტემპი და მისი თანამედროვე მსოფლიოსათვის საშიში ხასიათი. განხილულია საქართველოს როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოს მდგომარეობა და ის ზომები რომელიც სახელმწიფომ გაატარა ტრეფიკინგის დასამარცხებლად, რის შედეგადაც, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველო აღიარებულია როგორც ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო.

Ана Маисурадзе

**Торговля Людьюми как международная преступность
Резюме**

В статье рассмотрены исторические особенности и причины возникновения трафикинга. Автором, при этом широко использованы результаты международного исследования данного преступления. Показано, с какой скоростью это преступление прогрессирует и становится все опаснее для современного мира, определена роль и место Грузии в международном трафикинге. В конце статьи автором рассмотрены основные причины вызывающие трафикинг и характерные его особенности для нашей страны.

Ana Maisuradze

**Human Trafficking as International Crime
The Summary**

In the article author had discussed the latest results of international research on human trafficking, displaying the speed with which this crime is progressing and becoming more dangerous for the modern world. Article also discusses Georgian experience, which is a country of origin of victims of trafficking who managed, according to international studies, to become one of the most successful country in the world in combating Trafficking.

ქალთა დანაშაულობა

ქალთა დანაშაულობა, ისევე, როგორც ზოგადად დანაშაულობა, შედარებით მასობრივი, ისტორიულად ცვალებადი, სოციალურ-სამართლებრივი, ანტისაზოგადებრივი მოვლენაა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ამა თუ იმ პერიოდში სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლ-საწინააღმდეგო ქმედებების (დანაშაულების) ერთობლიობისაგან შედგება.

ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათების საკითხის სრულყოფილი შესწავლისათვის საჭიროა განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები, როგორიც არის ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლის ისტორიული ასპექტები, მისი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები, ქალთა დანაშაულობის დეტერმინაციისა და მიზეზების ზოგიერთი კრიმინოლოგიური თავისებურებები.

ქალთა დანაშაული, ერთ-ერთი აქტუალური თემაა, რომელიც მრავალი მკვლევარის ინტერესების სფეროს წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია ქალის განსაკუთრებული როლით და ფუნქციით, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.¹

ქალთა დანაშაულის გამოკვლევა აირეკლა დასავლეთის კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. მრავალი კრიმინალისტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სტატისტიკოსი დაკავებული იყო ქალთა დანაშაულობის თავისებურებების შესწავლით, მისი მიზეზების, მასშტაბების და ცვალებადობის დადგენით.

აღნიშნული დანაშაულის, მისი მიზეზების, დინამიკის, ეტიმოლოგიის და სტრუქტურის შესწავლა დაიწყო ჯერკიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში. ამ საკითხის შესწავლისა და შემდგომი კვლევის ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებაში დიდი წვლილი მიუძღვით მე-19 საუკუნის უდიდეს სტატისტიკოსებს აკეტლეს და გერის, რომლებმაც აღნიშნული საკითხის შესწავლით მივიდნენ დასკვნამდე, რომ დანაშაულის ჩადენისაკენ სწრაფვა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, სქესზე, მის პროფესიაზე, განათლების დონეზე, წლის პერიოდზე და სხვ.²

ქალთა დანაშაულობის შედარებით სიმცირის მიზეზები შემდგომ პერიოდში შეისწავლა ნ. ზელანდმა.³ ქალთა დანაშაულობის პრობლემის შესწავლაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ანთროპოლოგიურმა სკოლამ ჩ. ლომბროზოს თავკაცობით. ის ვ. ფერერისთან ერთად ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა დამნაშავე ქალების შესწავლით და ამ საკითხს რამოდენიმე ნაშრომი მიუძღვნა⁴.

¹ზ. გაბლიანი. ქალთა დანაშაული და მისი სახეები საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2010 წ., გვ. 116

²აკეტლე. ადამიანი და მისი შესაძლებლობების განვითარება. 1865წ., გვ. 7-8

³იქვე, გვ. 11

⁴ჩ. ლომბროზო, ვ. ფერერი. ქალები - დამნაშავეები და მებავეები. კიევი, 1903 წ., გვ. 5

ჩ. ლომბროზოს გამოკვლევას თავის შრომებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა დანაშაულობის ერთ-ერთი მკვლევარი ა. ბებელი¹.

ჩ. ლომბროზოს მიმდევარმა რუსეთში პ. ტარანოვსკაიამ დამნაშავე ქალების ცალკეული ტიპის შესწავლას რამოდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც ქალთა დანაშაულის უპირველეს მიზეზად სოციალურ პირობებს, გარემოს გავლენას, მაგალითს და აღზრდას ანიჭებდა².

ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების თეორიების მიმდევარმა ზემოთ აღნიშნულმა მეცნიერებმა, მთელი რიგი გამოკვლევების ჩატარებისა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების მიუხედავად, სრულყოფილად ვერ შეძლეს ქალთა დანაშაულობის მიზეზების დადგენა, ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური კონცეფციების დასაბუთება³.

აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც ტარდებოდა კრიმინოლოგიური გამოკვლევები ქალთა დანაშაულობის შესახებ. ამ საკითხს შეისწავლიდნენ არა მხოლოდ კრიმინოლოგები, არამედ ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა ამ მიმართულებით მეცნიერთა მუშაობა და შეიძლება ითქვას, რომ არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოკვლევა იქნა ჩატარებული ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათების შესახებ. ამჟამადაც, როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ასევე ჩვენს ქვეყანაში ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლა საინტერესო და აქტუალური საკითხია.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე კანონზომიერად იცვლება ქალის, როგორც პიროვნების მდგომარეობა.

ცხოვრების დიდ არენაზე გამოსვლამ, სოციალური კონტაქტების გაფართოებამ ქალს საშუალება მისცა, მონაწილეობა მიეღო საქმიანობის ბევრ ისეთ სფეროში, რომელიც ადრე მისთვის მიუწვდომელი იყო. თანდათანობით ქალები, ისევე, როგორც მამაკაცები, იკავებდნენ განსაზღვრულ ადგილს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, წარმოების სხვადასხვა დარგებში, მათ შორის ისეთებში, რომლებიც ადრე მამაკაცების პრივილეგიად ითვლებოდა. ქალის როლი საზოგადოებაში და შესაბამისად მისი სოციალური აქტივობა, განუხრელად იზრდებოდა.

ქალის საქმიანობის გაფართოების პროგრესულმა ტენდენციამ წარმოშვა მთელი რიგი ახალი მოვლენები და მომენტები, რომლებიც თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მის მდგომარეობასა და საქმიანობაზე. ამ საქმიანობის განსაზღვრა ხდებოდა იმავე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, რომლებითაც მამაკაცების საქმიანობისა. ამ ზოგადად

¹ ა. ბებელი. ქალი და სოციალიზმი. 1959 წ., გვ. 203

² პ. ტარანოვსკაია. ქალი - მკვლელი. 1902 წ., გვ. 11

³ კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. ავტორთა კოლექტივი, თბ. 2008 წ., გვ. 203

პროგრესულ პროცესში წარმოიშვა თავისი წინააღმდეგობები. მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს შორის არსებობდნენ ისეთებიც, რომლებსაც ობიექტური და სუბიექტური წესით განსაზღვრული კონკრეტული პირობების შემთხვევაში მიყვავდით ანტისაზოგადოებრივი ქმედებების წარმოშობისაკენ, კერძოდ დანაშაულებისაკენ, რომელთაც ჩადიდოდნენ ქალები.

დანაშაულობის კრიმინოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა დადგენა შეუძლებელია მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გარეშე, რომლის გამოვლენა და შესწავლა უნდა მოხდეს სამი ძირითადი განზომილებით:

– ქალთა დანაშაულობის მდგომარეობით, რაც უპირველეს ყოვლისა დანაშაულობის რაოდენობრივ მახასიათებელს წარმოადგენს და მოიაზრებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე დროის კონკრეტულ პერიოდში ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას და იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც დანაშაული ჩადინეს;

– ქალთა დანაშაულობის დონით, რაც ამ კატეგორიის დანაშაულთა კოეფიციენტი და შედარებითი მაჩვენებელია. მისი აღრიცხვა წარმოებს ქალთა დანაშაულობის რაოდენობიდან, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ რაოდენობის მოსახლეობაზე გაანგარიშებით ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩადენილი დონის მაჩვენებლები მხოლოდ შედარებით ციფრებში გამოიხატება;

– ქალთა დანაშაულობის დინამიკით, რაც ამ ტიპის დანაშაულობათა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებელს წარმოადგენს და დროის კონკრეტული პერიოდის ფარგლებში დანაშაულობას დინამიკაში ახასიათებს.

ქალთა დანაშაული, როგორც ირკვევა, თითქმის ყველა ქვეყანაში მწვავედ დგას. საქართველოში სტატისტიკური მონაცემებით 2009 წელში რეგისტრირებული იქნა ქალების მიერ ჩადენილი 734 დანაშაული, რაც დაახლოებით 200 ერთეულით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით და იმავე წელს საქართველოში რეგისტრირებული საერთო დანაშაულის 2,4 %-ს შეადგენს. ამავე წელს, საქართველოში ჩადენილ ოჯახური ძალადობის დანაშაულის ფაქტზე მოძალადეთაგან 13 ქალია. 2009 წელში ჩადენილ დანაშაულთა ფაქტზე დამნაშავე ქალთაგან 16 წლამდე ასაკის არის 6, 16-დან 24 წლამდე -106, 25-დან 34 წლამდე 193, ხოლო 34 წელს ზემოთ 429 პირი¹.

ქალთა დანაშაულობის მიზეზების ზოგიერთი კრიმინოლოგიური თავისებურებების შესწავლის გარეშე, ძნელია გავიგოთ ქალთა დანაშაულობაში მიმდინარე ცვლილებები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში კრიმინოლოგიური გამოკვლევათა არარსებობა გარკვეულ წილად აისახა ქალთა დანაშაულობის შესწავლაზეც. დღევანდელ დღემდე, არასაკმარისადაა შესწავლილი ქალთა დანაშაულობის ტენდენციებთან, დინამიკასა და მიზეზებთან დაკავშირებული საკითხები. მხოლოდ, ბოლო წლებში, დანაშაულობის მიზეზების კვლევისა და მისი თავიდან აცილების გზების

¹ინტერნეტის მასალა www.police.ge

დასახვის პროცესში, გაჩნდა ცალკეული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქალთა დანაშაულობაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, დაგვეხმარება მოვახდინოთ ქალი - დამნაშავეების კრიმინოლოგიური დახასიათება. ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევისას კი მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ ვლინდება ადამიანების კონკრეტულ ქცევაში ზოგადი სოციალური კანონზომიერებები. ამისათვის აუცილებელია ობიექტურად მოქმედი ფაქტორების ადამიანების მისწრაფებებთან შეთავსების თავისებურებების გამოვლენა¹.

ყველა ის მონაცემი, რომელიც ახასიათებს მამაკაც - დამნაშავეს, როგორც არის განათლების დაბალი დონე, ლოთობა, სამუშაოს მიმართ უინტერესობა, პარაზიტისმი, ამორალური ქცევა, ხშირ შემთხვევაში უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გარშემო მყოფ პირთა მიმართ და ა.შ. დამახასიათებელია ქალი - დამნაშავეებისათვისაც. მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობა არ არის ერთნაირი. როგორც მკვლევარები ადგენენ, ქალთა დანაშაულობა არა მხოლოდ უფრო მცირეა მამაკაცებთან შედარებით, არამედ თავისი ხასიათითაც განსხვავებულია არა მხოლოდ თავისი ზომებით, არამედ ხასიათითაც. ორივე სქესის სოციალური მდგომარეობა აისახება მათ დანაშაულობაზე². ქალთა დამნაშავეობის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები. განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, არასტაბილურობა, უმუშევრობა განაპირობებს ცხოვრების დაბალ დონეს. მრავალი ქალი ასრულებს არაკვალიფიციურ მძიმე სამუშაოს, ღებულობს დაბალ ანაზღაურებას. ასეთ პირობებში ნაწილი მათგანი არ ცდილობს შეინარჩუნოს სამუშაო ადგილი, ხშირად ამბობს უარს სამსახურზე, რის გამოც ფაქტურად უსახსროდ რჩებიან, შემდეგ კი იძულებული ხდებიან ჩაიდინონ დანაშაული.

ამასთან, ისეთი ფაქტორის როლი, როგორცაა ქალის ცხოვრებაში ოჯახის არსებობა-არარსებობა, დღემდე ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება და გავლენას ახდენს მის ქცევაზე. ქალი დამნაშავეების უმრავლესობისათვის განმსაზღვრელია შიდა ოჯახური ურთიერთობები. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ქალის არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით და ანტისოციალურ ქცევას. ქალები იძულებული არიან იზრუნონ ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე, რის გამოც მთელი დღე მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, ნაწილი მათგანი მძიმე და მავნე პირობებიან სამუშაოზე, ამავედროულად ისინი დაკავებულნი არიან საოჯახო საქმეებით. მძიმე სამუშაო და არასტაბილურობის შეგრძნება აუხეშებს, აგრესიულს ხდის ქალს. პროფესიული საქმიანობის განხორციელება, ოჯახში მუშაობა, ბავშვის აღზრდის ფუნქციის შესრულება და სხვა საოჯახო საქმეების შერწყმა

¹ა. მ. იაკოვლევი.სოციალურ-სამართლებრივი კვლევის საგანი. ჟურნალი „საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი“, №8, 1970 წ. გვ.47

ბ. ბუევა. სოციალური გარემო და პიროვნების შეგნება. მსუ, 1968 წ. გვ. 26-27; ვ. ნ.

კუდრიავეცივი. მიზეზობრიობა კრიმინოლოგიაში. მ. 1968 წ. გვ. 58; ვ. ნ. გერნეტი. მორალური სტატისტიკა. მ. 1922 წ. გვ. 136

იწვევს ქალის უნარის დაქვეითებას და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დიდ ალბათობას. აღნიშნულის გამო, ხშირია კონფლიქტები ოჯახში, ხდება განქორწინებები. სწორედ, ამიტომ არის რომ, მთელ რიგ დანაშაულებს ქალი ჩადის ოჯახური - ყოფითი საკითხების მოუგვარებლობის გამო.

ქალთა დანაშაულობის გარკვეული მიზეზი ხშირად ხდება ოჯახის დანგრევა, ოჯახში მეუღლეებს, ბავშვებსა და მშობლებს შორის სოციალური ერთობის დარღვევა. აღნიშნულის გამო, ადგილი აქვს ოჯახური ძალადობის ფაქტებს, რომლის მსხვერპლი ძირითადად ქალები და ბავშვები არიან, ამასთან ზოგჯერ თვითონ ქალები ჩადიან ამა თუ იმ სახის დანაშაულს.

გარკვეულად, ქალთა დანაშაულობას ხელს უწყობს ძირითადი ფასეულობების მნიშვნელოვანი რღვევა. უარყოფითი სოციალურ გარემოში ხშირად ფორმირდება ქალის განსაკუთრებული ტიპი, იცვლება ქალიშვილებისა და ქალების ცხოვრების წესი, რაც ხელს უწყობს ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულების და სტერეოტიპების ათვისებას, ქალთა ბუნების სოციალურ გარდაქმნას, რომელიც იწვევს მძიმე მორალურ - ფსიქოლოგიურ შედეგს – ნორმად მიიჩნევა თამბაქოს წევა, მრავალი სექსუალური პარტნიორის ყოლა, სექსუალური თავისუფლება, შრომის, საზოგადოების, ხალხის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, რაც მას უყალიბებს სხვადასხვა ანტისოციალურ ქცევას და დანაშაულისადმი მიდრეკილებას.

სასამართლო და საგამოძიებო საქმიანობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, ნასამართლევ ქალებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ კავშირი ოჯახთან და სამუშაო კოლექტივთან, სრულად ან ნაწილობრივ აქვს დარღვეული საკუთარი თავის პატივისცემისა და ადამიანური ღირსების გრძნობა, მათი შინაგანი რწმენა და მრწამსი არ არის მტკიცე, მათ არ აქვთ მყარი ზნეობრივი საფუძველი. საკმარისია მცირედენი, ცხოვრებისეული პრობლემა (მაგალითად უარი სამუშაოზე მიღებაზე, მცირე ხელფასი და ა.შ) და ისინი შეიძლება დაუბრუნდნენ ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესს, რაც თავისთავად ხდება ქალთა დანაშაულობის ერთ-ერთი მიზეზი.

ქალთა დანაშაულობის გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, როგორც არის ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, მათხოვრობა და სხვა. აღნიშნული ფაქტორები ქალებში იწვევს სისასტიკეს, შინაგან აგრესიას, რის გამოც ქალები მონაწილეობენ სხვადასხვა მძიმე სახის დანაშაულებში.

ქალთა დანაშაულობის სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ საჭირო და აუცილებელია მისი პროფილაქტიკა, ანუ იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომლებიც იწვევენ დანაშაულს. ამ საქმეში მეტად მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობა, რაშიდაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებმა, სხვა არასამთავრობო გაერთიანებებმა და თვით საზოგადოებამ.

გივი აბაშიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. გაბლიანი. ქალთა დანაშაული და მისი სახეები საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2010 წ.
2. ა. კეტლე. ადამიანი და მისი შესაძლებლობების განვითარება. 1865წ.
3. ჩ. ლომბროზო, ე. ფერერი. ქალები-დამნაშავეები და მეძავეები. კიევი, 1903 წ.
4. ა. ბებელი. ქალი და სოციალიზმი. 1959 წ.
5. პ. ტარანოვსკაია. ქალი-მკვლელი. 1902 წ.
6. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. ავტორთა კოლექტივი, თბ. 2008 წ.
7. ინტერნეტის მასალა www.police.ge.
8. ა. მ. იაკოვლევი. სოციალურ-სამართლებრივი კვლევის საგანი. ჟურნალი „საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი“, №8, 1970 წ.
9. პ. ბუევა. სოციალური გარემო და პიროვნების შეგნება. მსუ, 1968 წ.
10. ვ. ნ. კუდრიავეცი, მიზეზობრიობა კრიმინოლოგიაში. მ. 1968 წ.
11. ვ. ნ. გერნეტი. მორალური სტატისტიკა. მ. 1922 წ.

გივი აბაშიძე

ქალთა დანაშაულობა რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლის ისტორიული ასპექტები, მისი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები, ქალთა დანაშაულობის მიზეზები და თავისებურებები, ასევე ქალთა დანაშაულობის მდგომარეობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების, დონის, დინამიკასა და მიზეზებთან დაკავშირებული საკითხები, ქალთა დანაშაულის კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისა და კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების შესახებ, რადგან როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ასევე ჩვენს ქვეყანაში ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლა საინტერესო და აქტუალური საკითხია.

ნაშრომში გადმოცემულია ქალი - დამნაშავეების კრიმინოლოგიური დახასიათება, ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევის საკითხები, ქალთა დამნაშავეობის ძირითადი გამომწვევეი ის მიზეზები, რასაც მიყავს ქალი ანტისაზოგადოებრივი ქმედებების წარმოშობისაკენ, კერძოდ დანაშაულებისაკენ, რის გამოც ისინი იძულებული ხდებიან ჩაიდინონ დანაშაული, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, არასტაბილურობა, უმუშევრობა, ცხოვრების დაბალ დონე, შიდა ოჯახური ურთიერთობები, ოჯახური-ყოფითი საკითხები, ქალების მხრიდან სხვადასხვა ანტისოციალური ქცევა, დანაშაულისადმი მიდრეკილება, ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, როგორც არის ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, მათხოვრობა და სხვა.

ნაშრომში ყურადღება დაეთმო ქალთა დანაშაულობის პროფილაქტიკას, იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც იწვევენ აღნიშნულ დანაშაულს, ამ საქმეში სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობის, ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების, სხვა არასამთავრობო გაერთიანებების და საზოგადოების საქმიანობის საკითხებს.

**Женская преступность
Резюме**

В представленной работе рассмотрены исторические аспекты криминологического изучения женской преступности, тенденции и закономерности ее развития, а также вопросы состояния, численности и качественной характеристики, уровня, динамики и причин женской преступности, вопросы проведения криминологического исследования женской преступности и публикации научных трудов в криминологической литературе, поскольку как в современном мире, так и в нашей стране криминологическое изучение женской преступности является интересным и актуальным вопросом.

В работе переданы вопросы криминологического исследования женской преступности, криминологическая характеристика женщин-преступниц, переданы основные причины вызывающие женскую преступность, которые ведут женщину к антиобщественным действиям, в частности, к преступлению, что их вынуждает совершить преступление, какие социально-экономические факторы, в особенности существующие в стране в последний период политические и экономические изменения, нестабильность, безработица, низкая уровень жизни, внутрисемейные отношения, семейно-бытовые вопросы, разного вида антисоциальные поведения женщин, склонность к совершению преступления, антиобщественные явления наркомания, алкоголизм, проституция, попрошайничество и другое. В работе уделено внимание профилактике женской преступности, искоренению тех причин, которые вызывают указанную преступность, вопросам профилактической деятельности правоохранительных органов, деятельности женских правозащитных и других неправительственных организаций и общества в целом.

Givi Abashidze

**Criminological Description of Crime committed by Women
The Summary**

In the article are given criminological characteristics of crimes committed by women, its historical aspects, development trends and patterns, specific causes and characteristics, its quantitative and qualitative characteristics, levels, dynamics and issues related to the origins. Special attention is driven to modern criminological studies and publications, because in the contemporary world, as well as in our country, problem of above mentioned crime takes high interest and society tries to reduce it.

The paper focuses on the prevention of crime committed by women, the elimination of the reasons that cause the crime. In particular, the socio - economic factors, political and economic changes, instability, unemployment, low levels of life, internal family relations, various defiant behaviors - the crime predisposition, such are drug addiction, alcoholism, prostitution, beggarliness and other. Author, In the case of preventive law enforcement activities says, that attention should be drown to women's rights organizations, unions and other non-governmental actors.

ჩვენი მილოცვები

„დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ მთავარ კონსულტანტს, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, პროფესორ რომან შენგელიას ვულოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ კვლავაც ჩვეული ენერგიითა და შემართებით ეღვაწოს ქართული მეცნიერებისა და განათლების საკეთილდღეოდ.

ბატონო რომან!

მიიღეთ ჩვენი ცენტრის და ჟურნალის თითოეული ავტორის და მრავალრიცხოვანი მკითხველების დიდი სიყვარული საუკეთესო სურვილებით.

ამავდროულად, მკითხველს ვაცნობებთ, რომ პროფესორ რომან შენგელიას საიუბილეო თარიღს მიემდგვნა სამეცნიერო კრებული „სამართლის პრობლემები“ პროფესორ ლადო ჭანტურიასა და სამართლის დოქტორის ეკატერინე შენგელიას რედაქტორობით. აღნიშნულ კრებულში გამოქვეყნებულია ქართველი მეცნიერი იურისტების სხვადასხვა თაობათა საუკეთესო წარმომადგენლების, პროფესორების: ავთანდილ დემეტრაშვილის, ჯემალ გახოვიძის, ბესარიონ ზოიძის, ზურაბ ძლიერიშვილის, დავით ძამუკაშვილის, ვალერი ხრუსტალის, მზია ლეკვეიშვილის, გურამ ნაჭყებias, ნონა თოდუას, გია მეფარიშვილის, ვენედი ბენიძის, შენგელი ფიცხელაურის, მალხაზ ბაძალუას, გიორგი თოდრიას, და სხვათა მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევების ამსახველი მასალები.

პატივისცემით,

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია

Наши поздравления

Руководства “центра исследования и прогнозирования преступности” и редакционная коллегия научно-практического журнала “Криминолог” поздравляет и выражает наилучшие пожелание по случаю 70-летие со дня рождения главного консультанта центра и члена редакционной коллегии журнала “Криминолог” профессора Романа Шенгелия.

Уважаемый, Роман!

Желаем вам прекрасного здоровья на многие годы и надеемся, что вы будете продолжать активную деятельность на блага процветания грузинской науки и просвещения.

Одновременно с этим нашим читателям сообщаем, что ко дню рождения юбиляра приурочено издание сборника “Правовые проблемы”, под редакции профессора Ладос Чантурия и доктора права Екатерина Шенгелия. В указанном сборнике опубликовано научные исследования учёных-юристов. В частности - профессоров: Автандила Деметрашвили, Бессариона Зоидзе, Джемала Гахокидзе, Зураба Дзлиеришвили, Давида Дзамукашвили, Валери Хрустали, Мзия Леквеишвили, Гурама Начкебия, Нана Тодуа, Гии Мепаришвили, Венеди Бенадзе, Шенгели Пицхелаури, Малхаза Бадзагуа, Георгия Тодриа и других.

Редакционный совет

Our Congratulations

We congratulate Professor Roman Shengelia – the main consultant of “The Centre of Study and Prediction of Crime” and the member of the Editorial Board of the scientific-practical journal “Criminologist” with 70th birthday anniversary. We wish him to continue doing his job with the usual energy and inspiration for the welfare of Georgian science and education.

Mr. Roman!

Please, accept our heartiest congratulations and best wishes from each of us and numerous readers of our journal.

We would like to inform our readers that the scientific volume “Problems of Law”, dedicated to Professor Roman Shengelia’s birthday anniversary date had been issued, edited by the Professor Lado Chanturia and the Doctor of Law Ekaterine Shengelia. The latest is composed of articles of the following Georgian professors and Doctors of Law: Demetrashvili Avtandil, Zoidze Besarion, Dzierishvili Zurab, Gakhokidze Jemal, Dzamukashvili David, Khrustali Valeri, Lekveishvili Mzia, Najkebia Guram, Todua Nona, Meparishvili Gia, Benidze Venedi, Pitskhelauri Shengeli, Badzagua Malkaz, Todria Giorgi, and others.

Editorial council

რემბისტრიბუმი დანაშაულის სტატისტიკა

იანვრიდან - იანვრამდე

როცითი №№	დანაშაულის სახეობა		2009 წლის 12 თვე		2010 წლის 12 თვე		+ მატება - კლება	პროცენტი %			
			სულ რეგისტრირებულია	მათ შორის		სულ რეგისტრირებულია			მათ შორის		
				გახსნილია	გახსნის პროცენტი				გახსნილია	გახსნის პროცენტი	
1	2		3	4	5	6	7	8	9	10	
1.	დანაშაულობათა საერთო რაოდენობა		35949	17659	49.1	34739	17101	49.2	- 1210	3.4	
2.	მათ შორის	მძიმე	11093	6087	54.9	9987	5779	57.9	- 1106	10.0	
3.		ტერორიზმი	2	1	50.0	1	1	100	- 1	50.0	
4.		ბანდიტიზმი									
5.		განზრახ მკვლელობა	205	112	54.6	180	97	53.9	- 25	12.2	
6.		მკვლელობის მცდელობა	289	225	77.9	238	217	91.2	- 51	17.6	
7.		ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	134	85	63.4	126	105	83.3	- 8	6.0	
8.	მათ შორის	განსაკუთრებით მძიმე	10	4	40.0	11	8	72.7	+ 1	10.0	
9.		გაუპატიურება	84	51	60.7	82	40	48.8	- 2	2.4	
10.		თავისუფლების უკანონო აღკვეთა	37	18	48.6	31	22	71.0	- 6	16.2	
11.	მათ შორის	ანგარებით	9	1	11.1	4	4	100	- 5	55.6	
12.		მძევლად ხელში ჩაგდება	27	7	25.9	5	3	60.0	- 22	81.5	
13.		ქურდობა	11473	3241	28.2	11371	3563	31.3	- 102	0.9	
14.	მათ შორის	მძიმე	4044	1314	32.5	3761	1375	36.6	- 283	7.0	
15.		ბინებიდან	1860	487	26.2	1552	409	26.4	- 308	16.6	
16.		ავტომობილების	154	70	45.5	117	74	63.2	- 37	24.0	
17.		პირუტყვის	417	172	41.2	417	132	31.7		სტაბილური	
18.		მობილური ტელეფონების	449	112	24.9	402	119	29.6			
19.		პარცვა	958	429	44.8	638	338	53.0	- 320	33.4	
20.	მათ შორის	მძიმე	702	314	44.7	422	213	50.5	- 280	39.9	
21.		ავტომობილების	16	13	81.3	7	5	71.4			
22.		მობილური ტელეფონების	58	38	65.5	40	27	67.5			
23.		ყაჩაღობა	700	320	45.7	398	211	53.0	- 302	43.1	
24.	მათ შორის	განსაკუთრებით მძიმე	596	254	42.6	315	162	51.4	- 281	47.1	
25.		ავტომანქანის	30	17	56.7	22	21	95.5	- 8	26.7	
26.		მობილური ტელეფონების	28	14	50.0	17	11	64.7			
27.		თაღლითობა	1791	772	43.1	1326	618	46.6	- 465	26.0	
28.		გამომალვა	124	74	59.7	77	33	42.9	- 47	37.9	
29.	მათ შორის	მძიმე	44	30	68.2	30	11	36.7	- 14	31.8	
30.		ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შექმნა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გასაღება	1155	935	81.0	1075	881	82.0	- 80	6.9	
31.	მათ შორის	მძიმე	38	30	78.9	40	29	72.5	+ 2	5.3	
32.		ხულიგნობა	524	409	78.1	435	358	82.3	- 89	17.0	
33.	მათ შორის	მძიმე	167	131	78.4	152	125	82.2	- 15	9.0	
34.		ნივთის დაზიანება ან განადგურება	945	315	33.3	836	300	35.9	- 109	11.5	
35.	მათ შორის	მძიმე	135	23	17.0	119	28	23.5	- 16	11.9	
36.		ავტომანქანის დაუფლება									
37.		ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა	2453	948	38.6	2607	776	29.8	+ 154	6.3	
38.	მათ შორის	მძიმე	493	332	67.3	473	295	62.4	- 20	4.1	
39.	შორის	მათ შორის	დაზარალებულის სიკვდილი	453	296	65.3	420	244	58.1	- 33	7.3

40.	არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული	595			543			- 52	8.7
41.	ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა	6336	6092	96.1	5465	5098	93.3	- 871	13.7
42.	მთ შორის მძიმე	2477	2355	95.1	2316	2201	95.0	- 161	6.5
43.	ნარკოტიკების კონტრაბანდა	100	96	96.0	116	108	93.1	+ 16	16.0
44.	ნარკოტიკების რეალიზაცია	131	115	87.8	167	143	85.6	+ 36	27.5
45.	ნარკოტიკების შემ. მცენარ. უკანონო დათესვა	113	112	99.1	121	117	96.7	+ 8	7.1
46.	დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ	301	90	29.9	326	98	30.1	+ 25	8.3
47.	მთ შორის ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა	276	82	29.7	278	76	27.3	+ 2	
48.	სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება	136	49	36.0	112	31	27.7	- 24	17.6
49.	სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემა	117	13	11.1	75	6	8.0	- 42	
50.	მექრთამეობა	106	89	84.0	143	113	79.0	+ 37	34.9
51.	მთ შორის მძიმე	63	48	76.2	116	90	77.6	+ 53	84.1
52.	სამსახურებრივი სიყალბე	32	11	34.4	51	28	54.9	+ 19	59.4
53.	სამსახურებრივი გულგრილობა	108	36	33.3	85	24	28.2	- 23	21.3
54.	მითვისება ან გაფლანგვა	301	103	34.2	285	101	35.4	- 16	5.3
55.	მთ შორის მძიმე	158	85	53.8	163	85	52.1	+ 5	3.2
56.	ფალსიფიკაცია	33	21	63.6	26	22	84.6	- 7	21.2
57.	მთ შორის მძიმე				6	6	100	+ 6	
58.	აქციზური მარკის გარეშე საქონლის გამოშვება შენახვა, რეალიზაცია, გადაზიდვა	16	12	75.0	49	42	85.7	+ 33	206.3
59.	მთ შორის მძიმე	4	4	100	1	1	100	- 3	75.0
60.	ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის დამზადება, გასაღება	97	22	22.7	86	19	22.1	- 11	11.3
61.	მთ შორის მძიმე	91	18	19.8	84	18	21.4	- 7	7.7
62.	საბაჟო წესის დარღვევა	58	36	62.1	80	54	67.5	+ 22	37.9
63.	მთ შორის მძიმე	32	24	75.0	30	25	83.3	- 2	6.3
64.	გადასახადისათვის თავის არიდება	133	15	11.3	408	27	6.6	+ 275	206.8
65.	სასამართლოს უპატივცემულობა	1	1	100				- 1	100.0
66.	მტკიცებულების განადგურება				2	1	50.0	+ 2	
67.	დანაშაულის დაფარვა	30	28	93.3	29	28	96.6	- 1	3.3
68.	დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ	238	179	75.2	128	77	60.2	- 110	46.2
69.	მთ შორის დეზერტირობა	4	4	100	2	1	50.0	- 2	50.0
70.	სხვა დანარჩენი	7005	2920	41.7	7963	3769	47.3	+ 958	13.7

ღამნაშაპითა ძმნა	2009 წლის 12 თვე	2010 წლის 12 თვე	+ მატება / - კლება	პროცენტი
იძებნობდა	5469	4950	-519	9.5
დაიძებნა	1855	1375	-480	25.9
ძებნის შედეგი %	33.9	27.8	-6.1	